

178  
1968



# ප්‍රක්ෂණතා සාමාන්‍යතාලීසි

සි-100 බුජාරු

වාසාගත්වාදීම් සහ පොදු පාලන මධ්‍ය පාලන වාහන ප්‍රක්ෂණතාලීසි

1968

6



ცოდნის ეპლვება თავისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

ორგანიზაცია ტეატრის

# საბჭოთა სამართადი

№ 6  
ნოემბერი—დეკემბერი

1968 წელი

გამოცემის XV ზოლი

საქართველოს სსრ გენერალური სასამართლოს, პრეზიდენტის და  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთანადსებული იურიდიკული კომისიის ორგანო  
ო რ თ ვ ი უ რ ი ჭ უ რ ი ლ ი

შურნალის ეს ნომერი მოქმედება თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტის

## ზ ი ნ ა ბ რ ს ი

ვ. აბაშვაძე — იურიდიული მეცნიერების განვითარების თბილისის უნივერსიტეტში . . . . .	3
სახალხო დემოკრატია — მშრომელთა რევოლუციური მონაბოვარი . . . . .	15
გრ. ერემოვა — კანონი საბჭოთა მოქალაქეობის შესახებ . . . . .	26
% წულადა — სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბო- როტად გამოყენებით . . . . .	32
რ. უნგელია — საბანქო სესხის დახმარებით აშენებული საცხოვრებელი სახლის სამართ- ლებრივი მდგომარეობა . . . . .	41
ლ. ადგიშვილი — სრულყოფით ზედამხედველობა და კონტროლი მოზარდთა შრომის კა- ნონმდებლობის დაცვისადმი . . . . .	50
ს. ჯაფარიძე — სამეურნეო რეფორმა და სამოქალაქო სამართალი . . . . .	57
ნ. წერეთელი — სოციალისტური მრეწველობის ახლებურად მართვის ზოგიერთი სა- მართლებრივი საკითხი . . . . .	62
ი. სურგულაძე — ქართული სამართლის ისტორიის საკითხები აკაკი შანიძის შრომებში . . . . .	70
ვ. მეტრევლი — ილია ჭავჭავაძის შეხედულებაზი სახელმწიფოს შესახებ . . . . .	74
ჩვენი ინტერვიუ . . . . .	84
საიუბილეო ღონისძიებები . . . . .	86
ინფორმაცია . . . . .	90
ბიბლიოგრაფია . . . . .	93

10.755.

## СОДЕРЖАНИЕ

<b>В. Абашмадзе — Развитие юридической науки в Тбилисском университете</b>	3
<b>Установление народной демократии — величайшее завоевание трудящихся</b>	15
<b>Гр. Еремов — Закон о советском гражданстве</b>	26
<b>З. Цулана — Хищение государственного имущества злоупотреблением служебным положением</b>	32
<b>Р. Шенгелиа — Правовое положение жилого дома, построенного с помощью банковской ссуды</b>	41
<b>Л. Адеишвили — Совершенствовать надзор и контроль над соблюдением законодательства о труде подростков</b>	50
<b>С. Джапаридзе — Хозяйственная реформа и гражданское право</b>	57
<b>Н. Церетели — Некоторые правовые вопросы управления социалистической промышленностью</b>	62
<b>И. Сургуладзе — Вопросы истории грузинского права в трудах Акакия Шанидзе</b>	70
<b>В. Метревели — Взгляды Ильи Чавчавадзе о государстве</b>	74
<b>Наши интервью</b>	84
<b>Юбилейные мероприятия</b>	86
<b>Информация</b>	90
<b>Библиография</b>	93

---

### სარჩევამის კოლეგია

შემ. № 164  
ტირაჟი 12.700  
უ 07147

თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ვ. აბაშმაძე,  
ო. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,  
თ. დადიანი, ვ. ინწყირველი, მ. ლომიძე,  
ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ხ. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 13/I-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/III-69 წ., გაღალდის ზომა 70X108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4.

საქ. კა ცე-ის გამოცემლის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

# იურიდიული მეცნიერების განვითარება თბილისის უნივერსიტეტი

პროფ. ვ. აბაშვაძე

საქართველოში იურიდიული მეცნიერების შესწავლას უძველესი ტრადიციები აქვს. ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევისა და ერთიანი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისთანავე სამეცნ ხელისუფლების გარშემო შემოკრებილი პოლიტიკური იდეოლოგები (ე. მთაწმინდელი, გ. მთაწმინდელი და სხვ.) დიდ მუშაობას ეწვიან იურიდიულ მეცნიერებაშიც, უცხოურიდან თარგმნიან სამართლის წიგნებს, ადგნენ მათ კომენტარებს და ა. შ. ამ მეცნიერებისადმი კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ინტერესი დავით აღმაშენებლის ეპოქაში, მრავალეროვანი ქართული სახელმწიფო შექმნისა და აღზევების შემდეგ. შესასუკუნების ეპოქაში დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულ გელათის აკადემიაში სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან ერთად ფართოდ ისაზავლებოდა იურისპუდიცია.

X — XII საუკუნეებიდან ჩვენამდე მოღწეული სიგელ-გუჯრები, ანდერძები და სხვა საკანონმდებლო მასალები ისტორიულ წყაროებთან ერთად ცხადყოფენ ამ ეპოქის საქართველოს იურიდიული მეცნიერების განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს.

ერთიანი ფეოდალური საქართველოს ცალკეულ სამთავროებად დაშლის, მეურნეობის რეგრესის, უცხოელთა სისტემატური შემოსევებისა და სხვა მიზანების გამო ინტერესი სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერული პრობლემებისადმი შემდეგში შესუსტდა. ეს პერიოდი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა (XVI — XVIII სს.).

მაგრამ XVIII საუკუნიდან რუსეთთან დაახლოების შემდეგ, როდესაც დაისახა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური აღორძინების პერსპექტივები, კვლავ გაჩადდა ინტენსიური მუშაობა იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა დარგში. დაიწყო არა მარტო კანონმდებლების შედეგა, არამედ ქართული სამართლის ისტორიის შესწავლაც. ეს საკითხები პირველად შედარებით კომპაქტურად დაამუშავა ვაჟუშტი ბაგრატიონმა. მის შემდეგ ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს თავიანთ შრომებში განიხილავდნენ: გახტანგ ირაკლის-ძე ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონი, იოანე ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, დ. ფურცელაძე, ნ. ურბნელი (ზოგანიშვილი), გ. თარხნიშვილი, ა. ხახანაშვილი, ს. აგალიანი, ს. ესაძე, ნ. მარი, ექ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი და სხვები.

ამ მდიდარი ტრადიციების არსებობით უნდა აიხსნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იურიდიული ფაკულტეტის ჩამოყალიბება, რითაც დაიწყო საქართველოში იურიდიული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი.

როგორც მთელი ქართული მეცნიერებისა და კულტურის, ისე იურიდიული მეცნიერების შესწავლის ამ ახალი ეტაპის მეღროვე იყო აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა იურიდიული მეცნიერების ახალ დარგს — ქართული სამართლის ისტორიას. მეცნიერების ამ ახალ დარგში ნაყოფიერი მუშაობის შედეგად აკად. ივ. ჯავახიშვილმა 1928—1929 წლებში სამ წიგნად გამოაქვეყნა ქართული სამართლის ისტორია.

აკად. ივ. ჯავახიშვილის ამ კაპიტალურ შრომებში დამუშავებულია ქართული სამართლის ისტორიის საკითხები. დიდალი პირველწყაროების მეცნიერული ანალიზის

საფუძველზე ავტორის მიერ დადგენილია IX—XIII საუკუნეების ფეოდალური საქართველოს სამართლას სისტემა, დამუშავებულია ამ სისტემის ცალკეული დარგები და ინსტიტუტები, გარევეულია ქართული სამართლის ტერმინები.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაამკვიდრა ქართული სახელმწიფო ბრიობის და სამართლის ისტორიის მეცნიერული შესწავლის დიდი ტრადიციები, რამაც უფრო გააძლიერა ინტერესი მეცნიერების ამ დარგისადმი. შემდგომში ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს შექვენ თავიანთ გამოკვლევებში კ. გევალაძე, ა. შანიძე, ს. ყაუხიშვილი, გ. წერეთველი, ა. ბარამიძე, პ. ინგოროვა, ირ. სურგულაძე, შ. მესხია, გ. გრიგოლია, დ. გვრიტიშვილი, ვ. გაბაშვილი, პ. გუგუშვილი და სხვ.

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები განხილული აქვთ ნ. დუბროვინს, ვ. რომანოვსკის, ნ. კორკუნოვს, ს. იუშკოვს და სხვ. საზღვარგარეთოელი მეცნიერებიდან — რ. დარესტს, ფ. ჰოლდაგს, ა. ალენს, დ. ლანგს და სხვებს.

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლისათვის დიდ მუშაობას ეწევა და აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ დაწყებულ საქმეს განაგრძობს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას და თეორიის კათედრა (გამგე პროფ. ივ. სურგულაძე), რომელმაც თავის გარშემო შემოიკრაბა იურისტ-მეცნიერთა ჯგუფი საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის პრობლემების სისტემატური დამუშავების მიზნათ.

ფართოა იმ პრობლემების წრე, რომლებიც დამუშავებული აქვს თვით პროფ. ივ. სურგულაძეს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ქართლის სახელმწიფო გადასახადების საკითხები გვიანდეთ დალურ პერიოდში, XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში რუსული მმართველობის სისტემის შემოღებისა და რუსული მმართველობის სისტემაში ქართული და რუსული სამართლის საწყისების ურთიერთობის პრობლემები და სხვ.

პროფ. ივ. სურგულაძეს დამუშავებული აქვს აგრეთვე გვიანდეთ დალური საქართველოს გლეხთა კატეგორიებისა და გადასახადების პრობლემები, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში. გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორიიდან მას მონიკრაფიულად შესწავლილი აქვს ათაბაგობის ინსტიტუტი.

პროფ. ივ. სურგულაძე მუშაობს ქართული ფეოდალიზმის თავისებურებებზე. ამ პრობლემიდან მას დასმული, შესწავლილი და განხილული აქვს მთელა რიგი საკითხები: მომწიფებული და განვითარებული ფეოდალიზმის სხვაობა; პატრონულობა, როგორც სენიორალურ-ვასალური დამოკიდებულება; ქართული ფეოდალიზმის პერიოდიზაციის საფუძვლები; ადრინდელი ფეოდალიზმი საქართველოში (III — IV, VIII — IX საუკუნეები); ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები; საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი საქართველოში; ყიდვა-გაყიდვის ინსტიტუტის თავისებურება ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით; მამასახლისობის ინსტიტუტი საქართველოში; მთავრისა და ვაზიორის ინსტიტუტების ურთიერთობა და სხვა. მის მიერ დამუშავებულია ქართული ფეოდალური სისტემის სამოქალაქო სამართლის, საპროცესო და სამოსამართლო სამართლის ინსტიტუტების სისტემა ორი პერიოდის მიხედვით. XVI—XVIII საუკუნეების ქართული ფეოდალური სამართლის ისტორია სისტემატიზებული სახით პირველად არის დამუშავებული პროფ. ივ. სურგულაძის მიერ.

პროფ. ივ. სურგულაძე უნივერსიტეტში კითხულობს, აგრეთვე, საქართველოს

პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის კურსს, რაც პირველად 1967-68 სასწავლო წელს იქნა შემოღებული.

პროფ. ი. სურგულაძეს საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის დარგში დამუშავებული აქვთ შემდეგი საკითხები: ექვთიმე მთაწმინდელის შეხედულებანი სამართალზე, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფეხისტყაოსნის“ მიხედვით, სახელმწიფოს ფორმის საკითხები „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სულხან-საბა რჩელიანის, იოანე ბაგრატიონის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, დავით ბაგრატიონის შეხედულება ბრალზე, რუსთაველის პოლიტიკური შეხედულებანი.

ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერულ კვლევა-ძიებაში საყურადღებო წვლილი შეიტანა აკად. ი. დოლიძემ.

მის შრომებში შესწავლილი და გამოკვლეულია ქართული სამართლის ეროვნული და უცხო წყაროების ურთიერთდამოკიდებულება. მან დაადგინა, რომ ქართული სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტის საწყისები ძველაღმოსავლური, კერძოდ, ძველებრაული სჯულმდებლობიდან მომდინარეობს; ქართული სამართლის ერთ-ერთ წყაროს მოსეს სამართლის წიგნი წარმოადგენს, რომელიც თავისებურად გადამუშავებული ქართული ვერსიის სახით დამკვიდრდა ეროვნული სჯულმდებლობის სამართლის წიგნებსა და საკანონმდებლო კრებულებში.

აკად. ი. დოლიძის მიერ წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა აგრეთვე, რომ ქართული სამართლის ერთ-ერთ უძველეს წყაროს შეადგენს ბერძნულ-რომაული სამართალი, რომელიც თავისებური სახით ძველი დროიდანვე მოქმედებდა საქართველოში. შუა საუკუნეების ქართულ სამართალში იგრძნობა ბიზანტიური კანონმდებლობის გავლენაც, რაც ასახულია ერთი მხრივ ეროვნული სჯულმდებლობის ძველებში, ხოლო მეორე მხრივ თარგმნილ კანონებში („სამართალი ბერძნული“), ასევე მოქმედ სამართლად რომ ითვლებოდა საქართველოში.

აკად. ი. დოლიძის მიერ გამოკვლეულია აგრეთვე ქართული სამართლის წიგნებიც (ბექასა და აღბუღას, გიორგი ბრწყინვალის და ვატტანგ VI-ის კანონები) და დადგენილია მათი წყაროები.

სენებული საკანონმდებლო ძეგლების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ X III — X IV სს. ქართული სამართალი იცნობს ფეოდალური სამართლის ყველა ძირითადი დარგის განვითარებულ ინსტიტუტებს, საკუთრების სამართლისა და ნივთების კლასიფიკაციის თავისებურ სისტემას, სასამართლო გამოცდის ფორმებს, ორდალიების სახელწოდებით რომ არის ცნობილი.

ბოლო დრომდე სრულად შეუსწავლელი იყო სასჯელთა სისტემისა და სახეების საკითხი ფეოდალური დაქასებულობის პერიოდის საქართველოში. აკად. ი. დოლიძემ გამოიკვლია სასჯელთა მთელი რიგი სახეები, დაადგინა მათი შინაარსა და მოგვცა მათი განსაზღვრული კლასიფიკაცია, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კომპონიციების საჯარო ელემენტის არსებობის საკითხს ქართულ ფეოდალურ სისხლის სამართალში. წინააღმდეგ ბურჟუაზიულ მკვლევართა შეხედულებისა დადგინდა, რომ ქართული სამართლისათვის ცნობილი იყო საჯარო ხასიათის მთელი რიგი ქონებრივი სასჯელები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული სამართლის ძეგლების პუბლიკაციის დიდი მნიშვნელობა. ტექსტები გამოიცემა ხუთ ტიმად. უკვე გამოქვეყნდა ორი ტომი. ტექსტები დადგენილია ძველი ხელნაწერების მიხედვით. პუბლიკაციას ერთვის ბეჭედი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია.



ქართული სამართლის ისტორიის საკითხების გამოკვლევასთან ერთად ყျრადღება ექცეოდა სამართლის ზოგადი ისტორიის საკითხების შესწავლასაပါ; გამოკვეყნდა აკად. င. დოლიძის ნაშრომები, რომლებშიც განხილულია ძველაღმოსავლური და დაქးაქးული ფეოდალიზმის ხანის სამართლის საკითხები.

პროფ. ალ. გაჩეიშვილი, რომლის უမთავრესი შრომები მიძღვნილია სისხლის სამართლისადმი, ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაშიც. პროფ. ალ. გაჩეიშვილმა სამი წიგნი მიუძღვნა სხვადასხვა დროს ქართული სამართლის ისტორიას. პირველ ორ წიგნში აყტორს განხილული აქვს ქართული სისხლის სამართლის პროცესისა და სასამართლო ორგანიზაციის საკითხები. მესამე წიგნში განხილულია საკუთრების ფორმები ფეოდალურ საქართველოში.

საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიისადმია მიძღვნილი პროფ. ს. ჯორბენაძის შრომების ნაწილი. პროფ. ს. ჯორბენაძემ შეისწავლა ი. ჭავჭავაძის სამართლებრივი შეხედულებანი, სპეციალურად გამოიკვლია ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულება სიკვდილით დასჯის მიმართ და ამ საკითხს მიუძღვნა ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე — სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მებრძოლია“. პროფ. ს. ჯორბენაძემ საგანგებოდ შეისწავლა დეკაბრისტების ერთ-ერთი იდეური წინამორბედის ი. გ. ჭილაშვილის მოღვაწეობა და სამართლებრივი შეხედულებანი, განსაკუთრებით კი 1812 წელს მიერ გამოქვეყნებული წიგნი «Начертание права природного».

საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საკითხებს იკვლევს პროფ. ვ. აბაშიძე, რომელმაც უკანასკნელ წლებში გამოაქვეყნა სამეცნიერო შრომები შეუსაუკუნების საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. მის მიერ შესწავლილია დავით აღმაშენებლის და შოთა რუსთაველის პოლიტიკური მოძღვრებანი და აგრეთვე ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია. ჩევნამდე მოღწეული XII საუკუნის ქართული ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე პროფ. ვ. აბაშიძემ შეძლო გამოკვლია დავით აღმაშენებლის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და მათი არსის, სახელმწიფო ფორმების, სამართლის სახეებისა და სტატა შესახებ. საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დავით აღმაშენებლის შეხედულებას ბუნებითი სამართლის შესახებ, რომელიც პირველად გამოკვლია პროფ. ვ. აბაშიძემ.

ასევე საყურადღებოა პროფ. ვ. აბაშიძის გამოკვლევა შ. რუსთაველის პოლიტიკურ მოძღვრებათა შესახებ. „ვეფხისტყაოსანთან“ XII საუკუნის ისტორიული ძეგლების შეპირისპირების ვზით ავტორმა დაადგინა, რომ შ. რუსთაველის შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ წარმოადგენს თამარ მეფის მიერ „ერთნებაობით და თანადგომით“ ქვეყნის მართვის ახალი სახელმწიფო მიზანის თეორიულ დასაბუთებას.

დიდი ხნის განმავლობაში შეუსაუკუნების ქართული ისტორიოგრაფიის მეტად საინტერესო საკითხებს წარმოადგენდა ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. განსაკუთრებით სადაცო იყო ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური შემადგენლობა და ამ დასის პოლიტიკური პროგრამის კლასობრივი შინაარსი. ჩევნამდე მოღწეული XII საუკუნის ქართული წყაროების კრიტიკული შექმანისა და ქართული საბჭოთა ისტორიული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ვ. აბაშიძემ დაადგინა ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგიის ანტიფეოდალური შინაარსის იურიდიული საფუძვლები.

დოც. მ. კეკელიას მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს რუსეთთან შეერ-

აუბის წინაპერიოდში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხები. უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნდა მისი საყურადღებო გამოკვლევები ამ პრობლემებზე.

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლას ისტორიის საკითხებზე მუშაობენ აგრეთვე სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრის წევრები ნ. კორძაია-სამადშვალი და ნ. სუმბაძე.

სამოქალაქო სამართლის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთ-ერთი უძველესი კათედრაა. მას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ქართველი იურისტები პროფ. ლ. ანდრონიკაშვალი და პროფ. გ. ნანეგიშვილი.

ქართველი ცივილისტი დოც. გ. რცხილაძე, რომელიც სამოქალაქო სამართლის კათედრაზე მუშაობდა, აუტორია საინტერესო გამოკვლევებისა საენდიგაციო სარჩევლის, შექმნითი ხანდაზმულობის, აგრეთვე, ზოგადი მოძღვრებისა ხელშეკრულების შესახებ.

სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგის, პროფ. ს. ჯორბენაძის ძირითადი ნაშრომები მიღებინილია სამოქალაქო სამართლის აქტუალური პრობლემებისადმი. იგი იყვალებს სამართლის ცენტრალურ ინსტიტუტს — საკუთრების სამართალს, პროფ. ს. ჯორბენაძის შრომებში საინტერესო მიხედვები და დასკვნებია საზოგადოების ვაკვითარების სხვადასხვა ეტაპების მიხედვით წარმოების ფორმებისა და საკუთრების ფორმების თანაფარდობის, საკუთრების წარმოშობის საფუძვლების კლასიფიკაციის შესახებ.

პროფ. ს. ჯორბენაძემ სპეციალურად გამოიკვლია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ჩამოყალიბება და განვითარება სოციალისტური საკუთრების წარმოშობის გზებზე, სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობის როლი და მრავალმხრივი პროცესი სსრ კაგშირში, სახელმწიფო კაპიტალიზმის როლი გარდამავალ პერიოდში, სახელმწიფო საკუთრების გაჩენის თავისებურება საბჭოთა საქართველოში, სოციალისტური საკუთრების ფორმები საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში, მოქალაქეთა პირადი საკუთრება სოციალიზმის დროს, განსაკუთრებით კი პირადი საკუთრება საცხოვრებელ სახლზე. მის მიერ განვითარებულია ახალი თვალსაზრისი სამოქალაქო სამართალში ანალოგის გამოყენების პირობების შესახებ.

პროფ. ს. ჯორბენაძემ განვითარა ორიგინალური კონცეპცია უკიდურესი აუცილებლობის შედეგების შესახებ სამოქალაქო სამართალში, რამაც ფართო გამოხმაურება ჰქონა სპეციალისტთა შორის და სამოქალაქო სამართლის კოდექსების შედგენის დროს. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით პროფ. ს. ჯორბენაძის შრომა „უკიდურესი აუცილებლობა საბჭოთა სამოქალაქო სამართალში“ ითარგმნა გერმანულ ენაზე.

პროფ. ს. ჯორბენაძის მიერ განზოგადოებულია სახელმწიფო სოციალისტურ საწარმოთა ქონებრივი დამოკიდებულების განვითარების ეტაპები მათ იურიდიულ პირად აღიარებამდე. მან სპეციალურად გამოიკვლია სამოქალაქო სამართლის ახალი ინსტიტუტის — მეცნიერული აღმოჩენის სამართლებრივი ასპექტები. მის მიერ წამოყენებულია წინადადებანი ავტორისა და მისი მემკვიდრეობის პირადი უფლებების აზლებურად მოწესრიგებისათვის.

სამჯახო სამართლის სახელმძღვანელოში, რომელიც 1957 წელს გამოქვეყნდა, პროფ. ს. ჯორბენაძემ შეისწავლა და წარმოგვიდგინა საჯახო სამართლის წყაროების, დაქორწინების პირობების, მარტოხელა დედის უფლებრივი მდგომარეობის, მეუღლეთა თანაზიარი საკუთრებისა და სხვა პრობლემები.

სამოქალაქო სამართლის აქტუალურ პრობლემებს ეხება აგრეთვე დოც. ნ. წერე-



თლის შრომები. მათ შორის საყურადღებოა ბრალის პრინციპი გალდებულებათა დარწევებისათვის სოციალისტურ ორგანიზაციათა სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობაში, პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო სტრუქტურის დადგრნა, ახალ სამეცნიერო რეფორმაზე გადსვლასთან დაკავშირებით საწარმოების მატერიალური პასუხისმგებლობა გალდებულებათა შეუსრულებლობისათვის და ა. შ.

შრომის სამართლის პრობლემების გამოკვლევას ისახავს მიზნად დოც. ე. ნეიძის სამეცნიერო შრომები. ისინი ექვება შრომის სამართლის ისეთ საკანონო საკითხებს, როგორიც არის საბჭოთა შრომის სამართლის საგანი და სისტემა, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ძირითადი საფუძვლები, მუშავთა მატერიალური პასუხისმგებლობა საწარმოსათვის მიყენებული ზიანის გამო, სსრ კაგშირში მუშა-მოსამსახურეთა შვებულებების სისტემა, მომავალ შრომის კანონთა კოდექსში კოლექტიური ხელშეკრულების ცნების ფორმულირება, შრომის დისციპლინის არსი, მისი მოწესრიგების მეთოდები და ა. შ.

ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობალების შექმნისა და განმტკიცებისადმია მიძღვნილი პროფ. ნ. ლომსაძის სამეცნიერო შრომები. ავტორის მიერ ამ შრომებში, წამოყენებული ზოგიერთი წინადაღება და რეკომენდაცია გამოყენებულ იქნა საკოლმეურნეო სამართლის კანონმდებლობაში. 1950 წელს გამოქვეყნდა პროფ. ნ. ლომსაძის წანადაღებანი კოლმეურნეობებში მმართველობის ორგანოების არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და კოლმეურნეობებში იურისკონსულტთა თანამდებობების შემოღების შესახებ, 1957 წელს საკოდიფიკაციო მუშაობასთან დაკავშირებით გამოვიყენდა პროფ. ნ. ლომსაძის შრომა „მიწისა და საკოლმეურნეო კანონმდებლობაში ცელი-ლება-დამატებათა შესახებ“. 1961 წელს გამოიცა პროფ. ნ. ლომსაძის მიერ შედგენილი კრებული მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო ურთიერთობის საკითხებზე. მანვე სრულყოფილად გამოიკვლია ბუნების დაცვის სამართლებრივი საკითხები. პროფ. ს. ჯორბენაძეს და პროფ. ნ. ლომსაძეს წამოყენებული აქვთ წინადაღებანი ბუნების დაცვის კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე.

მნიშვნელოვანი გამოკვლევების აგტორია დოც. ლ. ჯომარჯიძე. მან სპეციალური შეისწავლა ჩვენი ქვეყნის საქაშრო საწარმოთა განვითარების ეტაპები და მათი უფლებრივი მდგომარეობა, კოპერაციის უფლებრივი მდგომარეობა, დაამუშავა აგრძელებული სამშენებლო ორგანიზაციათა, როგორც იურიდიული პირების საქმიანობის თავისებურებანიც.

ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სამოქალაქო სამართლის პროცესში პროფ. დ. პოლუმორდვინოვი. მისმა გამოკვლევებმა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის, სასამართლო გადაწყვეტილების მოტივების, ადმინისტრაციული იუსტიციის და სხვათა შესახებ ფართო გამოხმაურება და სპეციალისტების აღიარება პოვა.

იურიდიული ფაკულტეტის დაარსებიდანვე ნაყოფიერი მუშაობა დაიწყო სისხლის სამართლის მეცნიერებაში.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მიხედვით სისხლის სამართლის მეცნიერების ძირითადი პრობლემების შესწავლას ისახავდა მიზნად დოც. ე. ბოჭორიშვილის შრომები „მარქსიზმი და სისხლის სამართალი“ და კრებული „მარქსიზმის კლასიკოსები დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“.

სისხლის სამართლის განვითარების საქმეში დიდი წელი შეიტანა პროფ. ალგაჩევიშვილმა, რომელიც ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის კათედრას. 1955 წელს გამოქვეყნდა ალ. ვაჩევიშვილის მონოგრაფია „სისხლის სამართლის პროცესი“ ამ მონოგრაფიაში ავტორი არკვევს სისხლის სამართლის პროცესის არსა და ცნებას,

განმარტავს სისხლის სამართლის პროცესის ურთიერთდამოკიდებულებას სამართლის სხვა დარგებთან და ზოგადი ხასიათის სხვა საკითხებს. ნაშრომის მეორე კარში ავტორი ვრცლად იკვლევს მონათმფლობელური რომის და საბერძნების სისხლის სამართლის პროცესს, ფეოდალური ეპოქის ინკიზაციურ პროცესს მისი წარმომზობი კვონთმიური და სოციალურ-პოლიტიკური პირობების დახასიათებებით, აგრეთვე მე-18 საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციას კანონმდებლობას სისხლის სამართლის პროცესის დარგში და 1808 წლის საპროცესო კოდექსს, რომელიც ზოგიერთი ცვლილებითა და დამატებით დღესაც მოქმედებს საფრანგეთში.

1957 წელს გამოქვეყნდა პროფ. ალ. გაჩიაშვილის „დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში“ ამ ნაშრომში გადმოცემული და კრიტიკულად განხილულია ყველა ძირითადი ბურჟუაზიული ოქონია ბრალის საკითხზე, განხილულაა აგრეთვე საბჭოთა კრიმინალისტების შეხედულებანი. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს დანაშაულის სუბიექტურ მხარეს და გვაძლევს ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების ემციური მომენტის მეცნიერულ განხილვას. ამ პრობლემას არა მარტო ოქონიული, არამედ დიდი პრაქტიკულა მნიშვნელობაც აქვს, რადგან სწორედ სუბიექტური მომენტი წარმოადგენს პასუხისმგებლობის საფუძველს, რომლის სწორი გაგებაც უადვილებს მართლმაჯულების ორგანოებს თავიანთი მოვალეობის წარმატებით შესრულებას.

პროფ. ალ. გაჩიაშვილის მონოგრაფიაში „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“ დიდი სიფაქიზითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით გარკვეულია სასჯელის შინაარსი და მიზნები საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით და მისი განსხვავება სოციალური დაცვის ღონისძიებებისაგან. ავტორი ამასთან ერთად დეტალურად აშენებს ბურჟუაზიულ ოქონიებს სასჯელის შესახებ, აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიების ბუნებას ბურჟუაზიულ სამართალში და სასჯელისა და სოციალური დაცვის ღონისძიებების საკითხებს სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოთა სისხლის სამართალში.

სისხლის სამართლის შეცნიერებაში ნაყოფიერად მუშაობს პროფ. ბ. ფურცხვანიძე, რომელიც პროფ. ალ. გაჩიაშვილის შემდეგ განაგებს სისხლის სამართლის კათედრას. პროფ. ბ. ფურცხვანიძე წლების მანძილზე იყო ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო და პროკურატურის ორგანოებში ხელმძღვანელ სამუშაოზე, ამასთან ერთად 1938 წლიდან სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა უნივერსიტეტში.

პროფ. ბ. ფურცხვანიძე 1945-1947 წწ. იყო იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, 1947-52 წწ. განაგებდა სამოსამართლო სამართლის კათედრას, ხოლო 1964 წელს არჩეულ იქნა სისხლის სამართლის კათედრის გამგედ.

პროფ. ბ. ბურცხვანიძეს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის დარგში დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს ორმოცამდე დასახელების გამოკვლევა, მონოგრაფია, ბროშურა და მეცნიერული სტატია.

1944 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ამ თემას საკმაო ყურადღება არ ჰქონდა დათმობილი.

ნაშრომში მთელი სისრულით არის მოცემული ამ საკითხზე კლასობრივი საზოგადოების კანონმდებლობის მიმოხილვა სათანადო იურიდიული ანალიზით. მონოგრაფიის მთავარ ნაწილს შეადგენს პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა (შეურაცხყოფა, ცილისწამება) საფუძვლიანი განხილვა საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით.

1952 წုံးလး გამოქვეყნდა မისი ნაშრომი „დანაშაულებრივი აბორტი და მასთან ბრძოლა“, რომელဖြင့် မოცေးမျှလှ იყ့ ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებრივ-ბოლიტიკური မნიშ်ဗျာကျော်၊ မისი იურიდიულာ ანალიზი და ამ კატეగორიის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა.

მონოგრაფიის — „პასუხისმგებლობა დანაშაულის განუცხადებლობისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით“ (1956 წ.) გამოქვეყნდებას დიდი მნიშ်ဗျာကျော် პျော်ရွှေ არა მარტო მის გამო, რომ იგი წარმოადგენდა დამსმარე სახელმძღვანელოს სტუდენტებისათვის, არამედ აგრეთვე იმატომაც, რომ იგი ხელს უწყობდა დანაშაულობათან ბრძოლის საქმეში მოქალაქეობრივი მოვალეობის ამაღლებას.

კრცელი გამოკვლეული „დანაშაული შრომითი ურთიერთობის სფეროში“ (1958 წ.) მიძღვნილია საბჭოთა სისხლის სამართლას ერთ-ერთი მნიშ်ဗျာကျော် და რთული პრობლემისადმი და წარმოადგენს დამსმარე სახელმძღვანელოს როგორც სტუდენტებისათვის, ისე იუსტიციის დარგის პრაქტიკული მუშაკებისათვისაც.

პროფ. ბ. ფურცხვანიძის ხანგრძლივი მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობის ნაყოფს წარმოადგენს უკანასკნელი წლების მანძილზე მის მიერ შედგენილი და გამოცემული ფუნდამენტური სახელმძღვანელოები: „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი“ (1963 წ.) და „საბჭოთა სისხლის სამართლი“ (განსაკუთრებული ნაწილი) 1966 წ. ეს შრომები პირველი ქართული სახელმძღვანელოების სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში.

სახელმძღვანელოები აგებულია როგორც საკუშირო კანონმდებლობის ისე საქართველოს სსრ კანონმდებლობის ძირითად დებულებებზე. თეორიული საკითხების გაშუქებასთან ერთად მასში განმარტებულია მრავალი პრაქტიკული საკითხი, ახსნილია აგრეთვე თავისებურებანი, რაც ახასიათებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის კანონმდებლობას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს პროფ. ბ. ფურცხვანიძის დიდი წვლილი საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცეს კანონმდებლობის მომზადებაში.

სისხლის სამართლის დარგში ფართო და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პროფ. თ. წერეთელი, რომელიც უნიგერსიტეტში მუშაობასთან ერთად განაგებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორს.

პროფ. თ. წერეთლის გამოკვლეულები მიძღვნილია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის თეორიული საკითხებისადმი. მისი რამდნიმე ნაშრობი დანაშაულის ობიექტურ მხარეს შეეხება. მათ შორის აღსანიშნავია მონოგრაფია „დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი“ (გამომ. „მეცნიერება“, 1966 წ.), რომელშიც აეტორი დანაშაულებრივი ქმედობის არსის დადგენისათვის იყენებს საბჭოთა ფსიქოლოგიის მოძღვრებას ნებელობითი აქტის შესახებ, ამავე დროს განსაზღვრავს დანაშაულებრივი შედეგის ცნებას და ნის მნიშ်ဗျာကျော် მას განასაზღვრავს და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორს. დანაშაულის ობიექტურ მხარეს შეეხება აგრეთვე თ. წერეთლის ძირითადი ნაშრომი „Причинная связь в уголовном праве“ (I გამოც. თსუ, 1957, მე-2 გამოც.— „Госюризdat“ 1963). ნაშრომი წარმოადგენს კრცელ მონოგრაფიას. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მიზანზობრივი კავშირი პასუხისმგებლობის პირველი (მაგრამ არა ერთადეფრთი) ობიექტური პირობაა და რომ პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველს მზოლოდ საზოგადოებრივად საშიში მიზანზობრიობა წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით თ. წერეთელი იკვლევს გარემოებებს, რომლებსაც მნიშ်ဗျာကျော် აქვს ქმედობის სა-

ზოგადოებრივი საშიშროების დადგენისათვის. ამავე ნაშრომში დასაბუთებულია დანა-შაულებრივი უმოქმედობის კაუზალური ხასიათი. თ. წერეთლის აღნიშნულ ნაშრომშე გამოქვეყნდა შეიძიო რევენტია, მათ შორის მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნგრეთის სოციალისტური რესპუბლიკის უნგრნალებში.

რამდენიმე გამოკვლევა თ. წერეთელმა დანაშაულის შედგენილობისა და საზოგადოებრივია საშიშროების პრობლემას მიუძღვნა. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ წერილი „დანაშაულის შემადგენლობა როგორც სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი“ (ურნ. «Советское государство и право» 1954 წ. № 5, თანაავტორი ვ. მაყაშვილი), რომლითაც აღნიშნული უურნალის ფურცლებზე დაიწყო ფართო დისკუსია დანაშაულის შემადგენლობის შესახებ და რომელიც რამდენიმე უცხო ენაზეა თარგმნილი (უნგრულ, პოლონურ, იაპონურ ენებზე).

თ. წერეთლის მთელი რიგი გამოკვლევები შექმნა ბრალის საკითხებს. ამ ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს: „გაუფრთხალებლობა საბჭოთა სისხლის სამართალში“, სადაც დასაბუთებულია გაუფრთხილებლობის ობიექტური პასტრაბის მნიშვნელობა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის (თანაავტორი ვ. მაყაშვილი). ნაშრომში „პასუხისმგებლობის საფუძვლები საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით“ (1953 წ.) თ. წერეთელი ადგენს დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა ორგანულ კავშირს. მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „ბრალის ცნების საკითხისათვის“ („მაცნე“, 1960 № 1), სადაც დასაბუთებულია, რომ ბრალის ცნება არ ამოიწურება მისი ფსაქლოგიური შინაარსით, არამედ მოიცავს სუბიექტური განწყობილების მორგალური გასაკიცხაობის მომენტსაც, და, ბოლოს „ბრალი“ როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი“ (უნგრული იურიდიული უურნალი „Jogtudománnyi közlöny“, 1967 წ. № 1).

რამდენიმე ნაშრომი თ. წერეთელმა დანაშაულის განვითარების სტადიებს მიუძღვნა. მათ შორის უფრო მნიშვნელოვნია: „რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება დანაშაულის მცდელობის ცნების აგებისათვის“ (თსუ შრომები, 1942 წ. ტ. 24) და მონოგრაფია — „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“ (გამ. „მეცნიერება“ 1961 წ.). ამ შრომებში მცდელობის საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთებისათვის გამოყენებულია საფრთხის ცნება, ხოლო თვით საფრთხის ცნება გაშუქებულია რეალური შესაძლებლობის კატეგორიის მეშვეობათ. ამ დებულებამ ლიტერატურაში მხარდაჭერა პპოვა (იხ. მაგალითად A. A. Пионтковский, Учение о преступлении, 1961, стр. 483—491).

პროფ. თ. წერეთლის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც თანამონაწილეობის პრობლემები. ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომთაგან უნდა მოვიხსენიოთ მონოგრაფია „თანამონაწილეობა დანაშაულში“ (მეცნიერება“, 1965 წ.), რომელშიც ნაჩვენებია, რომ მიზეზობრივი კავშირის ხასიათი საფუძლად უდევს სხვადასხვა სახის თანამონაწილეთა გამიჯვნას ერთმანეთისაგან და დადგენილია კრიტერიუმები თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდავიდუალიზაციისათვის.

პროფ. თ. წერეთლის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა „იურიდიული ტერმინოლოგია“, რუსულ-ქართული ნაწილი (გამომც. „მეცნიერება“, 1963 წ.)

იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან აგრეთვე საპროცესო სამართლისა და კრიმინალისტიკის დარგში პროფ. ბ. ხარაზიშვილი

ლი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ა. ფალიაშვილი და დოცენტი მ. ლუკავიაშვილი.

პროფ. ბ. ხარაზიშვილის მიერ უნივერსიტეტში მუშაობის მანძილზე შედგენილ და გამოცემულ შრომებს შორის აღსანიშნავია: კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), 1954 წ., კრიმინალისტიკა (განსაკუთრებული ნაწილი), 1956 წ. ეს ნაშრომები წარმოადგენს პირველ ქართულ დამხმარე სახელმძღვანელოებს კრიმინალისტიკაში. ბ. ხარაზიშვილის მონოგრაფია «Вопросы мотива поведения преступника в Советском праве» (1963 წ.). წარმოადგენს სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის და კრიმინალისტიკის დარგებში. მასში დეტალურად არის გაშუქებული დამნაშავის ქვევის მოტივების საკითხები საბჭოთა სამართლის მიხედვით, აგრეთვე გარკვეულია მოტივის ცნება ფსიქოლოგიურ ფალსაზრისით.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ა. ფალიაშვალი მოწვეულ იქნა თბილისის უნივერსიტეტში სამუშაოდ 1959 წელს.

ამ დროიდან დაწყებული იგი ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევა კრიმინალისტიკისა და სისხლის სამართლის პროცესის დარგებში, კითხულობს ლექციებს „სასამართლოსა და პროკურატურის ორგანიზაციას“ და „საპროკურორო ზე-დამხედველობაში“.

ა. ფალიაშვილი ავტორია 40-მდე შრომისა, რომლებიც გამოქვეყნებულია მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ხარკოვის და სსრ კავშირის სხვა ქალაქების, აგრეთვე საზღვარგარეთის (უნგრეთი) სპეციალურ იურიდიულ ჟურნალებში. მის მიერ 1963 წელს დაწერილია (პროფ. ს. ბოროდინთან თანაავტორობით) და მოსკოვში გამოიცა სერიოზული გამოკვლევა «Теория и практика судебной экспертизы».

დოც. მ. ლეკვეიშვილი მოწვეულ იქნა უნივერსიტეტში 1964 წელს. მ. ლეკვეიშვილი ავტორია რამდენიმე შრომისა, რომელთაგან აღსანიშნავია „სასამართლო პროცესი XVII—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში“ (1962 წ.). ამ ნაშრომში განმარტებულია ქართული საპროცესო სამართლის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ეს ნაშრომი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ქართული სამართლის ისტორიის კურსში. დოც. მ. ლეკვეიშვილი ამჟამად მუშაობს არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობასთან ბრძოლის პროცესში.

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის პრობლემებას მეცნიერული დამუშავება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაკავშირებულია პროფ. ალ. ვაჩევიშვილის სახელთან. 1932 წელს პროფ. ალ. ვაჩევიშვილმა გამოიქვეყნა ლექციების კურსი „სოციოლოგია“ (ნაწ. I). ეს წიგნი, რომელიც სოციოლოგიაში ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს შედგენის პირველ ცდას წარმოადგენდა, აშუქებდა პლატონის, არისტოტელებს და სხვ. შეხედულებებს, აგრეთვე მთელ რიგ ბურჯუაზიულ ავტორთა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ მოძრვებას.

ალ. ვაჩევიშვილის დასახელებული წიგნი ამჟამადაც გარკვეული ინტერესის შემცველია როგორც მაღალ მეცნიერულ დონეზე შედგენილი საცნობარო მასალა სოციოლოგიაში. 1927 წელს კი პროფ. ალ. ვაჩევიშვილი აქცენტის „სამართლის ზოგად თეორიას“. ამ წიგნმა, რომელშიც განხილულია სამართლის ბურჯუაზიული თეორიის ყველა საკითხი და გამოჩენილი ბურჯუაზიული იურისტების ძირითადი შეხედულებანი, დიდი დამხმარება გუწია თავის დროზე სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების სტუდენტებს სამართლის თეორიის არსებითი მნიშვნელობის პრობლემების მშობლიურ ენაზე შესწავლაში.

1930 წელს გამოვიდა პროფ. ალ. ვაჩევიშვილის შრომა „კელზენის მოძღვრება სა-

ჰელმწიფოსა და სამართალზე“. ავტორი ამ ნაშრომში გადმოსცემს ცნობალი აქსტრიული იურისტის პ. კელშენის მოძღვრებას სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ.

სამართლის თეორიის პრობლემებზე მუშაობდა აგრეთვე პროფ. გ. ნანგიშვილი.

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის პრობლემებს დაუკავშირა თავისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა პროფ. გ. ინწკირველმა. ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წლიური გეგმების შესაბამისად მის მიერ შესრულებული იყო ისეთი თემები, როგორიცაა: „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სახელმწიფოს ტიპებისა და ფორმების შესახებ“, „საბჭოთა სახელმწიფოს სამეცნიერო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქციები“, „სამართლის წყაროები“, „სამართლის ნორმები“, „სამართლის სისტემა“ და სხვ. ამის შედეგად შეიქმნა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სახელმძღვანელო, რომელიც მესამედ 1967 წელს გამოიცა.

პროფ. გ. აბაშეძე წლების განმავლობაში მუშაობდა აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს თეორიის აქტუალურ საკითხებზე, რომლებსაც იურიდიულ მეცნიერებაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ უკანასკნელ პერიოდში. 1958 წელს გამოქვეყნდა მისი სამეცნიერო სტატია „საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო ფუნქცია მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე“, რომელშიც კრიტიკულად არის განხილული საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო ფუნქციის შესახებ წინათ არსებული შეხედულებანი და დასაბუთებულია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო ფუნქციის არსის განმასაზღვრელ მხარეებს წარმოადგენს გარედან თავდასხმისაგან ქვეყნის სამხედრო ოავდაცვა, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანარსებობისათვის ბრძოლა და სოციალისტური სისტემის ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა. მოგვიანებით გამოქვეყნდა პროფ. გ. აბაშეძის მონოგრაფია „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები“, რომელშიც საბოლოოდ შეჯამებულია აგტორის მოსაზრებანი საბჭოთა სახელმწიფოს თეორიის ცალკეულ საკითხებზე.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს თეორიის აქტუალური საკითხების დამუშავებას ითვალისწინებდა აგრეთვე პროფ. გ. აბაშეძის შრომა „საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფო“, რომელიც გამოქვეყნდა 1965 წელს. შრომაში შესწავლით დიქტატურის სახელმწიფოს თავისებურებანი, დამოკიდებულება პროლეტარიატის დიქტატურასა და სახელმწიფოს შორის, საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები და ფუნქციები, საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფო და დემოკრატია და ა. შ.

საბჭოთა სახელმწიფო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის დარგში მრავალრიცხვობინი გამოკვლევები ეკუთვნის პროფ. გრ. ერემოვს. კერძოდ, მან დაამუშავა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების საკითხები მონოგრაფიაში „საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები“, (1960 წ.) აქარისა და აფხაზეთის კონსტიტუციების ისტორია, სსრ კავშირის საზოგადოებრივი და საზელმწიფო პაპარატის მუშაობის, მოქალაქეთა უფლებების საკითხები. მისივე ავტორობით გამოიცა საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო. ადმინისტრაციული სამართლის დარგში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ახალგაზრდა მეცნიერი დოც. გ. ლორია, რომელმაც 1967 წელს გამოსუა სერიოზული გამოკვლევა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხებზე საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით.

ქართული იურიდიული მეცნიერებისათვის მეტად მნიშვნელოვან პრობლემას წარ-



მოადგენს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი. სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა სადოქტორო დისერტაცია პროფ. ვ. ფარეჯოსაძემ. თავის გამოკვლევაში იგი ასაბუთებს, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია, რსფსრ-ისა და და სსრ კავშირისაგან განსხვავებით, იყო საბჭოთა ფედერაციის ახალი ფორმა, სუერნული რესპუბლიკების ერთ კავშირში გაერთიანების პირველი ცდა.

ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა დარგს წარმოადგენს საერთაშორისო სამართალი. უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე საერთაშორისო სამართლის საკითხების დამუშავებას ხელი მოჰკიდეს: პროფ. დ. ენუქიძემ, პროფ. ლ. ალექსიძემ, დოც. გ. უვანიამ და დოც. ს. მამულიამ. პროფ. ლ. ალექსიძემ დამუშავა საერთაშორისო სამართლის ცალკეული აქტუალური პრობლემები, მათ შორის ისეთი საკვანძო თეორიული საკითხი, როგორიც არის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის კლასობრივი არსი (იხ. ურნ., «Советское государство и право», № 6, 1967 წ.).

ამავე დროს იგი მუშაობს საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის შესწავლაზე. პროფ. ლ. ალექსიძემ შეადგინა დამსმარე სახელმძღვანელოც საერთაშორისო სამართალში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები სასწავლო-პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფასა და განვითარებაში. შრომებში წამოყენებულია მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებანი საბჭოთა სამართლის სხვადასხვა დარგში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით. ამ მოსაზრებათა დიდი ნაწილი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საბჭოთა კანონმდებლობაში შეტანალ ცვლილებათა საფუძველი გახდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის ჩამოყალიბება მიზნად ისახავდა საქართველოში სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერების შემდგომ განვითარებას, უმაღლესი იურიდიული განათლების შენონე კადრებით ქართული ეროვნული სახელმწიფოს განმტკიცებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა წარმატებით შეძლო მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულება. თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერებულ იურისტ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მძლავრი არმია კვლავაც წარმატებით იმუშავებს საბჭოთა იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის თავისი აღმზრდელის სასახლოდ, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

## სახალხო დემოკრატიის გამარჯვება ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში წარმოადგენს ისტორიული განვითარების კანონზომიერ შედეგს, დიდი ოქტომბრის იდეათა ახალ ტრიუმფს.

ოქტომბრის რევოლუცია იყო მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის პირველი ეტაპი, სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია არის მისი გაგრძელება, მეორე ეტაპი.

სახალხო-დემოკრატიული წყობილების წარმოშობა დიდი ოქტომბრის იდების ზემინა იმიტომ, რომ იგი შესაძლებელი გახდა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობისა და ფაშისტურ გერმანისა და იმპერიალისტურ იაპონიაზე საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების პირობებში. სახალხო-დემოკრატიულ რევოლუციებში დიდი ოქტომბრის განმათავისუფლებელმა იდეებმა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებმა იზემდეს ახალი ისტორიული გამარჯვება.

ოქტომბრის რევოლუციამ გაწყვიტა კაპიტალიზმის ერთანი ჭაჭვი, რითაც ღამიწყო ამ ფორმაციის საერთო კრიზისი. სსრ კავშირში სოციალიზმის ლამაცვიდრებამ და საბჭოთა სახელმწიფოს მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებებმა დააჩარეს კაპიტალიზმის კვლომის პროცესი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალიზმის ფრონტის ჭაჭვი ბევრ რევოლუციი შესამჩნევად დასუსტდა. პირველ რიგში მას შეერყა საფუძველი დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებში, კერძოდ ჩინეთში, კორეაში, ვიეტნამსა და სხვა ქვეყნებში, აგრეთვე ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში. ამ ქვეყნების ხალხები თვით მოვლენათა მსვლელობამ მიიყვანა იმ შეგნებამდე, რომ იარაღი აელოთ ხელში და მოეპოვებინათ ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისუფლება. კაპიტალიზმია ამ ქვეყნების ხალხები უმძიმეს პირობებში ჩააყენა, მოუტანა მათ საშინელი გაჟირვება და ხელმოკლეობა, წართვა ეროვნული დამოუკიდებლობა, დაუმორჩილა ისინი მსოფლიო მონოპოლისტური კაპიტალიზმის ყველაზე მტაცებელ დაჯგუფებებს.

ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახალხო-დემოკრატიის ქვეყნების უმრავლესობის რევოლუციამდელი ისტორია — ეს არის კაპიტალიზმის პირობებში სუსტი სახელმწიფოს ტიპიური ტრაგიკული ისტორია. მათ ბედ-იღბალს ერთად ან მონაცემლეობით განავებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის იმპერიალისტები. ესათ იუ ის აღმიავლი იმპერიალისტური ჭავუფი ან ძლიერი მონოპოლისტური სახელმწიფო უარს არ ამბობდა მათ ხარჯზე გადაეკეთებინა მსოფლიო, გამდიდრებულიყო ამ ქვეყნების ხალხების გაძარცვით.

შეღარებით ძლიერი უცხოეთის კაპიტალი ათეული წლების მანძილზე მეოთხოეული აქცევდა ამ ქვეყნებს გასალების ბაზრებად და ნედლეულის წყაროებად, ხელოვნურად ამზრტუჭებდა მათ სამეურნეო განვითარებას. ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკაში უცხოეთის

კაპიტალის შეჭრის მასშტაბებზე ერთგვარ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცნობები:

1937 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით უცხოეთის კაპიტალი ფლობდა პოლონეთის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის 52 პროცენტს, ქიმიური მრეწველობის 59,9 პროცენტს და ნავთობმოპოვების 87,5 პროცენტს. 1938 წელს ასევე 271 კარტელიდან 100 უშუალოდ ეკუთვნიდა უცხოეთის კაპიტალს, ხოლო დანარჩენს კონტროლს უწევდა იგივე უცხოეთის კაპიტალი.

1938 წელს პოლონეთიდან უცხოელმა კაპიტალისტებმა და ბანკირებმა მოგების სახით ამოქაჩეს 172 მილიონი ზლოტი<sup>1</sup>.

ასეთივე მდგომარეობა იყო ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.

მაგალითად, ბულგარეთის მრეწველობაში 1935 წლის მონაცემების მიხედვით უცხოეთის კაპიტალი ფლობდა მთელი სააჯციო კომპანიების 48,7 პროცენტს, ხოლო სხვა დარგებში კიდევ უფრო მეტს; შაქრის მრეწველობაში — 95,4, მშენებლობაში — 78,6, ენერგეტიკაში — 74,4, ქიმიურ მრეწველობაში — 57,5, თამბაქოს მრეწველობაში — 67,6 და ა. შ. რუმინეთში, რომლის სამეურნეო ცხოვრებაში წამყვანი ადგილი ეჭირა ნავთობის მრეწველობას, მთელი კაპიტალის 76 პროცენტი ეკუთვნილია უცხოელებს, ხოლო დანარჩენი რუმინელ კაპიტალისტებს, მეორე ორის დაწყების წინ ნავთობის მრეწველობა მთლიანად ჰიტლერული გერმანიის ხელში ვადავიდა.

უცხოეთის მსხვილ კაპიტალზე დამკიდებულება დამლუპველად მოქმედებდა ამ ქვეყნების ეკონომიკაზე, განსაკუთრებით მშრომელი მასების მდგომარეობაზე.

ადგილობრივი კაპიტალისტების და მემამულეთა ჩაგრას თან ერთოდა უცხოეთის კაპიტალის ბატონობაც, რასაც შედეგად მოსდევდა მშრომელთა ექსპლუატაციის გაძლიერება. კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი სულ უფრო ღრმავდებოდა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საერთაშორისო კაპიტალიზმა ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს დააკისრა სანიტარული სარტყელის როლი.

იმპერიალიზმი მიზნად ისახავდა გადაექცია ეს ქვეყნები სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისა და ინტრიგების სამხედრო-პოლიტიკურ პლაცდარმად. ამას ქვეყნის შიგნით თან სდევდა გადასვლა პოლიტიკურ რეაქციაზე, სახელმწიფოებრივი წყობილების ფაშიზაციაზე, იდეოლოგიურ სფეროში კი — სისტემატური, აღვირასხილი ანტისაბჭოთა პრობაგანდა.

კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავების პირობებში, ამ ფორმაციის მზარდი საერთო კრიზისის ვითარებაში ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები აღმოჩნდნენ შედარებით სუსტი რგოლები დიდი ოქტომბრის რევოლუციის მიერ გაწყვეტილ კაპიტალიზმის ჯაჭვში.

<sup>1</sup> «Профсоюзы в народной Польше», Варшава, 1954, გვ. 7 — 8.

ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ეპროპის ქვეყნების მაშინდელი მდგრადარეობა ნათლად გვიჩვენებს, თუ რა გაჭირვება მოაქვს კაპიტალიზმს მშრომელი მასებისათვის.

ხელმოკლეობა, სიღარიბე და შიმშილი იყო მშრომელთა ხელი. ხალხის მასების სიღარიბე ისეთ მასშტაბებს იღებდა, რომ მათი დაფარვა არ შეეძლო თვით ბურჯუაზიულ სტატისტიკასაც.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ბულგარელი გლეხი წელიწადში ხარჯავდა საშუალოდ 2,051 კგ შაქარსა და 1,1 კგ ცხოველურ ცხის.

1939 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ცხოველური ცხის მოხმარება ბულგარელი მუშის ოჯახში თითოეულ სულზე შეადგენდა საშუალოდ 790 გრამს წელიწადში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი ცნობების გამოქვეყნების დროს ბურჯუაზიული სტატისტიკა ჩვეულებრივ ალამზებს საქმის ვითარებას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად საშინელი იყო სურათი სინამდვილეში.

სისტემატურ პაუპერიზაციას განიცდიდნენ მოსახლეობის სხვა ფენებიც. წვრილი მეწარმენი და ხელოსნები კოტრდებოდნენ და ავსებდნენ პროლეტარიატის რიგებს. ხელმოკლეობას განიცდიდა დემოკრატიული ინტელიგენციაც.

იმ დროს, როდესაც ერთ პოლუსზე ბურჯუაზია ეროვნული ინტერესების დალატისა და სხვა ქვეყნების მონაპოლიების წინაშე მღექვნელობის საფასუად, უცხოელი იმპერიალისტების ნასუფრალით მდიდრდებოდა, ფუფუნებაში ცხოვრობდა, მეორე პოლუსზე მშრომელთა მასებში შიმშილი და სიღარიბე სუფევდა.

ხალხისათვის ნამდვილ უბედურებას წარმოადგენდა უმუშევრობა. ომაშედელ ჩეხოსლოვაკიაში 900 ათასი უმუშევარი დახეტიალობდა, ასი ათასობით კაცი ნახევრად უმუშევარი იყო.

„თუ 1929 წლის მსოფლიო უმუშევრობის, ინდექსად მივიღებთ 100-ს, მაშინ 1936 წელს პოლონეთში, ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის ინდექსი შეადგენდა 466, ხოლო 1938 წლის მეორე კვარტალში — 490-ს. 1938 წელს პოლონეთის მრეწველობაში დაკავებულ 808 ათას მუშა-მოსამსახურეზე, ოფიციალური მონაცემებით მოდიოდა 457 ათასი უმუშევარი<sup>2</sup>.

1929 წელს პოლონეთში უმუშევრობამ მოიცვა მუშების ნახევრარი. იმავა პერიოდში ჩეხოსლოვაკიაში არ მუშაობდა მილიონზე მეტი მუშა, რუმინეთში — მუშების ერთი მესამედი.

როგორც ცნობილია, კაპიტალისტურმა ეკონომიკამ ამ ქვეყნებში არა ერთხელ განიცადა დამანგრეველი კრიზისები. 1929 წლის კრახის შემდეგ მანველარ შესძლო წელში გასწორება. კრიზისულმა მოვლენებმა ქრონიკული ხასიათი მიიღო. კრიზისებს თან მოჰქონდა უმუშევრობის გიგანტური ზრდა, შიმილი და სიკვდილი.

<sup>2</sup> «Профсоюзы в народной Польше», Варшава, 1954, გვ. 9.

2. საბჭოთა სამართლი № 6.

1933 წელს პოლონეთში გამოვიდა კრებული სათაურით „უმუშევრის ჩანაწერები“. ით რაზე ოცნებობს „ჩანაწერებში“ 25 წლის ვარშაველი მუშა:

„რა ბედნიერი ვიქენებოდი, რომ რაიმე სამუშაო მეშოვნა. ეს იქნებოდა საუკეთესო ჯილდო — ჩემი ყველა სურვილისა და განზრახვის განხორციელება. შევძლებდი სწავლას, კვლავ ძველებურად ვიოცნებებდი, დაგინახავდი ღიმილს მშობლების სახეზე, შევიცნობდი ცხოვრების სიხარულს... ვიცხოვრებდი, მაგრამ ეს ყველაფერი ილუზია, დაღუპული ადამიანის ოცნებაა.“

უმუშევრობას განუყრელად თან სდევდა შიმშილი.

„...მშია,“ — ჩივის სტუდენტი, რომელიც ეძებს სამუშაოს და გასამრჩელოს. — „ეს ერთადერთი სურვილი — ამოივსო კუში — კლავს ჩემში ყველა სხვა აზრს და ამის გამო კიდევ უფრო ვიტანჯები“.

„...მიუხედავად იმისა, რომ შიმშილისაგან თითქმის მკვდარი ვიყავი, რწმენა არ შემრყევია“, — წერს 22 წლის ვარშაველი კალატოზი, — „ველოდებოდი რაღაც გარდაქმნებს. რა გამოვა იქიდან, თუ მე დღეს თავს მოვიკლავ? ვეკამათებოდი ჩემს თავს. იქნებ ხვალ სჭირო ადამიანი გავხდე? და განვაკრძობდი ცხოვრებას“.

მაგრამ ყველა როდი უძლებდა გაჭირვებას. პოლონეთის გაზეთებში გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების შიხედვით 1932 წლის მხოლოდ ერთ ღამეს — 8 იანვარს, ვარშავაში უმუშევრობასთან დაკავშირებით აღრიცხული ცქანა თვითმკვლელობის 13 შემთხვევა.

აღვილი წარმოსადგენია, რა მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა იმ „ბედნიერებს“, რომლებიც რაღაცა სასწაულით ახერხებდნენ სამუშაო ადგილის შენარჩუნებას. ისინი იძულებული იყვნენ შეგუებოდნენ შჩომის არადამიანურ პირობებს; ექსპლოატაციის ყველაზე უსინდისო ფორმებს, მათხოვრულ ხელფასს.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული არ შეიძლება შეედაროს იმ საშინელებებს, რაც ამ ქვეყნების ხალხებს პიტლერიზმა მოუტანა.

ხელისუფალნი, რომლებიც გერმანული იმპერიალიზმის სამხედრო ავანტიურისაგან მოგებას ელოდნენ, ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ პიტლერთან კავშირის დამყარებაში. გერმანიის იმპერიალიზმი გამოდიოდა, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის დამკვრელი ძალა და ამ ქვეყნების მოფაშისტო მთავრობები სიამოვნებით კმაყოფილდებოდნენ პიტლერელების ლაქიების როლით.

საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ ამ ქვეყნების სამხედრო-სტრატეგიულ პლაცარმად გადაქცევას შედეგად მოჰყვა კლასობრივ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება, ბურუუაზის აშკარა პროფაშისტური ღიქტატურის დამყარება. რუმინეთს განაგებდა პიტლერის დამქაში ანტონესკუ, ამავე როლს ასრულებდნენ პოლონეთში — პილსუდსკი, უნგრეთში — აღმირალი ხორტი, აღბანეთში — ახმედ ზოგუ, ბულგარეთში — მეფე ბორის კობურგსკი, ფილოვი და კომპანია ია ა. შ.

ამ ქვეყნების მმართველი წრეები იმედოვნებდნენ, რომ ჰიტლერის კავშირით ერთი მხრივ განამტკიცებდნენ ქვეყნის შიგნით თავის მდგომარეობას, ხოლო მეორე მხრივ მონაწილეობას მიიღებდნენ სსრ კავშირის ტერიტორის დანაწილებაში.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების სამარცხებინ „მიუნხენის პოლიტიკა“, ფაშისტებთან პირის შეკვრისა და დათმობების, მშვიდობისმყვარე ხალხების ინტერესების გაუკონარი ღალატის პოლიტიკა კაცობრიობას უდიდეს მსხვერპლად დაუჭდა. დასავლეთის სახელმწიფოების მმართველებს თავი მოჰქონდათ მშვიდობისმყოფელ ანგლოზებად. სინამდვილეში კი ისინი ცდილობდნენ ჰიტლერული გერმანიის მახვილი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიემართათ.

მათი ვარაუდით სოციალიზმის ქვეყანა განადგურდებოდა, ერთდროულად დასუსტდებოდა გერმანია — კონკურენტი და მოწინააღმდეგი. მიუნხენელთა ლაქუცი სხვა არაფერი იყო, თუ არა იმპერიალისტების გარიგება, ვაჭრობა, რომლის წყალობითაც მთელი ხალხები და სახელმწიფოები ჰიტლერს ეწირებონ იმ იმედით, რომ იგი სსრ კავშირის წინააღმდეგ გაილაშქრებდა.

გერმანიის იმპერიალიზმი უცერემონიოდ ეკიდებოდა თავის გულმოდგინე პარტნიორებს. ჰიტლერმა, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირთან ომი მხოლოდ დროისა და მომზადების საკითხი იყო, მთელი სისრულით გამოიყენა მიუნხენელთა ლაქუცი და შეთანხმებანი, ხოლო შემდეგ პირდაპირ დაბყრობაზე გადავიდა.

1939 წელს ჰიტლერის ჯარები შევიდნენ პრაღაში და მოკლე დროში მთელი ჩეხოსლოვაკია დაიპყრეს. მალე ოკუპირებულ იქნა პოლონეთი, ხოლო 1939 წლის აპრილში მუსოლინმა დაიწყო ალბანეთის დამონება. 1940 წლის აპრილში ჰიტლერის ჯარები შეიჭრნენ დანიაში, შემდეგ ნორვეგიაში, ხოლო ერთი თვის შემდეგ მათ ჩექმებქვეშ გმინავდა ბელგია და პოლანდია.

1940 წლის დასაწყისში რუმინეთის არმიის „წერთნის“ საბაბით ჰიტლერელები შევიდნენ რუმინეთში, ხოლო 1941 წლის დასაწყისში ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა ფილოვა ვენაში გააფორმა ოფიციალური ოქმი ფაშისტური ქვეყნების ღერძთან შეერთების შესახებ. გერმანელების ჯარები ბულგარეთში შევიდნენ.

ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა პირველებმა განიცადეს გერმანელი იმპერიალისტების ექსპანსია. მათი დამონება ხორციელდებოდა ან პირდაპირ ოკუპაციის ფორმით (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ალბანეთი) ან შენიდული ოკუპაციის ფორმით, როცა გერმანელთა ჯარები შედიოდნენ „მოკავშირე“ ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის ტერიტორიებზე.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი საშინელებანი, რაც ფაშისტურ ფილატიას მოჰყვა. მანამდე ცნობილი ყველა ფაქტი ადამიანთა მასობრივი ულეტისა, წამებისა და სისასტიკისა გაუფერტლდა ლიდიცესა და მაიდენექთან შედარებით. ფაშისტთა თარეშს არაფერი ზღუდავდა. ყოველ ჰიტლერულს დაუსჯელაზ შეეძლო



მოექლა ადგილობრივი მცხოვრები. მათ ბატონობას თან სდევდა ათასობით უდანაშაულო ბავშვისა და მოხუცის ულეტა, ქალების ტანჯვა-წამება, ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკური ლიკვიდაცია, სოფლების დაწვა, შოელო ერების მეთოდური, წინასწარგანზრახული მოსპობა, უზარმაზარ მატერიალურ ფასეულობათა განადგურება.

დიდ მსხვერპლად დაუკდა ბულგარეთს „მოქაშირე“ ჰიტლერული არმიების ყოფნა თავის ტერიტორიაზე. ორმოცდაათი ათასი ლევი — გასამრჯელო ერთი პარტიზანისათვის, საბჭოთა საკონსულოზე პროვოკაციული თავდასხმა, სამარტვინო ექვსქიმიანი ვარსკვლავები ბულგარეთის მოქალაქე ებრაელთა გულმკერდზე, დოლნოგორეს, ბუგეს, სტეპანოვიცეს — ამ „ბულგარულ ლიდიცეთა“ — ფერფლად ქცევა, სახრჩობელები და ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკები გონდა-ვოდაში, სიბრიცეში, გალატასა და სვეტი ნიკოლაში — ეს ყოველივე მხოლოდ მცირეოდენი ფაქტია იმ საშინელებათაგან, რაც განიცადა შრომისმოყვარე ბულგარელმა ხალხმა თავისი მმართველი ბურკუაზიულ-მემამულური წერების პოლიტიკის შედეგად.

„...დაიწყო ჩვენი უახლესი ისტორიის ყველაზე უფრო საშინელი და სამარტვინო თავი, — ნათქვამია მთავარი ბულგარელი საშედრო დამნაშვერების საბრალდებო დასკვნაში, — ათასობით ადამიანი დახოცილი იქნა გაუსამართლებლად, მათ შორის უმწეო ქალები და ბავშვები.

სარჩე წარმომული თავები, ძვლებგადამტვრეული სხეულები.... — ათასობით დამწვარი სახლი, ათიათასობით ქალი და ბავშვი, რომლებიც ინტერნირებულ იქნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, — აი გამხეცებულ ფაშისტ ბოროტმოქმედთა საქმეები.

აი, გესტაპოელების ცნობა სოფელ ლიდიცეში ჰიტლერელთა გაუგონარი ბოროტმოქმედების შესახებ: „95 სახლისაგან შემდგარი სოფელი ფერფლად იქცა; 199 მამაკაცი 15 წლის ასაკის ზევით დახვრეტილია ადგილზე; 184 ქალი გაიგზავნა რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში, 7 ქალი — ტერეზინის ციხეში; 88 ბავშვი გაიგზავნა ლოდში...“

თუ რას ნიშნავდა გერმანელი იმპერიალიზმის მიერ სხვა ქვეყნების დაპყრობა, ნათლად მოწმობს პოლონეთის მაგალითი. ფაშისტებმა თავისი ბატონობის დროს ქვეყნიდან გაზიდეს 100.000 მანქანა, 9 მილიარდი ზლოტის პროდუქცია. დაანგრიეს 14.000 საწარმო, 84.000 სახელოსნო, 20.000 მაღაზია, 390.000 ნაგებობა, გლეხური მეურნეობის 90 პროცენტი. მოსავლიანობა დაეცა 40 პროცენტით და უფრო მეტად. რკინიგზის ტრანსპორტის ზარალი შეადგენდა 84 პროცენტს, კავშირგაბმულობისა — 62-ს, სატყეო მეურნეობისა — 28 პროცენტს. ჰიტლერელთა ბატონობის შედეგად პოლონეთის ეროვნული სიმდიდრე შემცირდა 38 პროცენტით.

მაგრამ ეს არ შეიძლება შეედაროს იმ გამოუსწორებელ დანაკარგს, რაც განიცადა პოლონეთის ადამიანთა მსხვერპლის სახით: 6.028.000 მოკლულ იქნა,

590.000 ხელბარი გახდა, 1.140.000 კაცი დაავადდა ტუბერკულოზით. პოლონელ ხალხს ძვირად დაუჭდა ბურჯუაზის ღალატი, ყოველი მეცუთე პოლონელის 100 ცოცხლე შეეწირა ამ ღალატს.

ასეთი იყო პირველი რეალური ნაყოფი ისტორიაში ყველაზე უფრო სამარცხვინო „მიუნენის პოლიტიკისა“.

კაპიტალისტური მთავრობების ამ სამარცხვინო ღალატის პირობებში მოელი პროგრესული კაცობრობა დიდი სიმპათიით ადევნებდა თვალს სსრ კავშირის შშვიდობის მოყვარულ პოლიტიკას. საბჭოთა მთავრობა დაბეჭითებით მოითხოვდა ალვირახსნილი აგრესორების ალაგმვას გადამწყვეტი კოლექტიური ზომების მეშვეობით. საყოველთაოდ ცნობილია თუ როგორ ორპირობინენ სსრ კავშირის ამ გულწრფელი წინადადებების მიმართ ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის პოლიტიკოსები.

საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი ერთგული სამედო და დასაყრდენი ძალა დაპყრობილი ქვეყნების შრომელებისა და პატრიოტებისათვის მათ თავდადებულ ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, პიტლერიზმის განადგურებისათვის.

სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების დაწყებამდე უკვე დიდი ხნით ადრე ამ ქვეყნების საწარმოო ძალები მწვავე კონფლიქტში აღმოჩნდა არსებულ კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობებთან, ღლის წესრიგში დადგა წარმოების კაპიტალისტური წესის ლიკვიდაციის საკითხი.

ამრიგად, ამ ქვეყნების ხალხები რევოლუციურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლამდე, სოციალისტურ რევოლუციამდე მიიყვანა ობიექტური ისტორიული განვითარების მსვლელობაში. პირველი გარდუვალად უნდა გამხდარიყო მეორის დასაწყისი და წანამძღვარი. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც „დაბალ ფენებს“ აღარ სურთ ძველი ცხოვრება, ხოლო „ზედა ფენებს“ აღარ ძალუქმო ძველებურად მართონ, და ხალხი იარაღს მიმართავს.

უმკაცრესი ტერორის მიუხედავად, ხალხის მასებში იწყება რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

გათავისუფლებისათვის ბრძოლის ორგანიზაციორებად გამოვიდნენ ხალხის ინტერესებისათვის ყველაზე უფრო უშიშარი და თანმიმდევრული მებრძოლები— კომუნისტური და მუშათა პარტიები. პროლეტარიატის საუკეთესო შვილები, კომუნისტური პარტიის წევრები ასრულებლნენ ყველაზე სახითაო, ყველაზე პასუხსავებ დავალებებს. ათასობით მათგანი გმირთა სიკვდილით დაეცა შშრო-მელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

წარმოუდგენლად ძნელ პირობებში, კანონგარეშე გამოცხადების ვითარებაში, მიუხედავად მასობრივი რეპრესიებისა, დახვრეტებისა, კომუნისტები ეწეოდნენ გმირულ ბრძოლას. ხალხის მასების ყველაზე მოწინავე და ჭანსალი ნაწილი მტკიცედ ერთიანდებოდა კომუნისტების გარშემო.



ფაშისტ ხელისუფალთა ოფიციალური მონაცემების მიხედვით ბულგარეთში 1942 წლის 19 იანვრიდან 1944 წლის 4 იანვრამდე დააპატიმრეს 64.345 კაცი, რომელთაგან ბევრი გაიგზავნა საკონცენტრაციო ბანაკებსა და ციხეებში, ან დახოცილ იქნა. პარტიზანული ბრძოლების პერიოდში მოკლეს 9 ათასი პარტიზანი, მათ შორის ანტიფაშისტური მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელები ქრისტო მიხაილოვი, იორდანკა ჩანკოვა, პეტრე ჩენგელოვი, ემილ მარკოვი, ვლადი გეორგიევი და მრავალი სხვ. ფაშისტმა ჯალათებმა დახვრიტეს 20.200 კაცი, რომლებიც ხელს უწყობდნენ ან თანაუგრძნელნენ პარტიზანებს <sup>3</sup>.

მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ყოველდღე ფართოვდებოდა. 1941 წელს ჩეხელსლოვაკიაში უკვე არსებობდა პარტიზანული რაზმები, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ.

1942 წელს ბულგარეთში გიორგი დიმიტროვის წინადადებით, შეიქმნა ანტიფაშისტური ბრძოლის სამამულო ფრონტი, მთელ ქვეყანაში გაიშალა პარტიზანული ბრძოლა. 1942 წლის 17 ივნისს იატაკევეშა რადიოსადგურმა „ქრისტო ბოტევმა“ მთელ ბულგარელ ხალხს აუწყა პატრიოტული ძალების ერთიანი ფრონტის შექმნა, მოუწოდა მას ოკუპანტების წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისაკენ. მარტო ერთ — 1943 წელს ჰიტლერელები იძულებული გახდნენ ბულგარელი პარტიზანების წინააღმდეგ გამოეყვანათ 100 ათასიანი არმია. ხოლო 1944 წელს კომუნისტების ინიციატივით ბულგარელ პარტიზანთა რაზმებისაგან შეიქმნა სახელოვანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია.

1943 წლის ბოლოს და 1944 წლის დასაწყისში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ძლიერდება რუმინეთში. 1944 წლის 23 აგვისტოს მშრომელთა შეიარაღებულმა ძალებმა დაამხეს მოღალატე ანტონესკუს რეჟიმი.

არასრული ცნობებით, პოლონეთის მშრომელების მიერ შექმნილმა გვარდია ლიუდოვამ 1943 წელს განახორციელა 1208 საბრძოლო ოპერაცია, დაანგრია 21 რკინიგზის სადგური, გაანადგურა ოკუპანტების 112 სარკინიგზო შემადგენლობა. უკვე 1942 წლის ბოლოს ალბანეთის პარტიზანული რაზმები აერთიანებდნენ 10.000 პატრულს. დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ჩატარეს კომუნისტებმა წარმოება-დაწესებულებებში, არმაში, სამხედრო ნაწილებში, ოფიცრებსა და ჯარისკაცებში. ფართოდ მზადდებოდა ნიადაგი, რომ ჯარის ნაწილები გადასულიყვნენ ხალხის მხარეზე.

„წინააღმდეგობის მოძრაობის პერიოდი, — ამბობდა გ. დიმიტროვი, — ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი პარტიისა და ხალხის ისტორიაში, ხალხისა, რაზმელსაც შეუძლია დამსახურებულად იამყოს ათეული ათასობით გმირი პარტიზანითა და მათი ხელშემწყობი პატრიოტებით <sup>4</sup>.

<sup>3</sup> Д. Бочаров, «Болгарский народ строит социализм», М., 1954, №3. 16 — 17.

<sup>4</sup> «Пъти конгрес на Българската комунистическа партия. 18—25. XII-1948 г. Стенографически протоколи», ч. I, стр. 133.

საბჭოთა კავშირზე ჰიტლერელების ვერაგული თავდასხმის შემდეგ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა ოკუპანტების წინააღმდეგ განსაკუთრებული სიძლიერით გაიშალა. „არც ერთი ჯარისკაცი აღმოსავლეთის ფრონტზე!“ „მთელი ძალები ფაშიზმის განადგურებას!“ — ასეთი იყო პატრიოტების ლოზუნები.

საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა საბჭოთა კავშირს, ამავე დროს წარმო-აღენდა უდიდეს საშიშროებას მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობისა და პროგრესული კაცობრიობის ბედისათვის. მსოფლიო დაძაბული, სუნ-თქვაშეკრული აღევნებდა თვალს საბჭოთა კავშირის გმირულ ბრძოლას. დიდი სამამულო ოშის წლებში ახალი ძალით იჩინა თავი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობამ, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელების სიყვარულმა და რწმენამ საბჭოთა კავშირისადმი.

ბულგარელი, ჩეხი, პოლონელი, რუმინელი და სხვა ანტიფაშისტები მა-მართავდნენ საბოტაჟს ჰიტლერელების ღონისძიებათა წინააღმდეგ, ცეცხლს უკიდებდნენ და აფეთქებდნენ იკუპანტების სამხედრო საწყობებს, ანადგურებ-დნენ ჰიტლერული არმიის ცოცხალ და მატერიალურ ძალას, ფუშავდნენ ფა-შისტების მრავალ ღონისძიებას.

ამ ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა განსაკუთრებით გა-ჩაღდა სტალინგრადთან ჰიტლერელების დამარცხებისა და საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევის დაწყების შემდეგ.

საბჭოთა არმიის შეტევას, ფრონტზე დიდ წარმატებებს თან მოჰყვა ცენ-ტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კლასობრივი ძალების სერიოზული გადაჯგუფება, რამაც გამოიწვია განმათავისუფლებელი ენერგიის მძლავრი მოზღვავება და რევოლუციური აღმავლობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, როცა საბჭოთა არმია მიაღა ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საზღვრებს და შევიდა მათ ტერიტორიაზე.

არც ერთი ერი, რომელმაც განიცადა ჰიტლერელების საშინელებანი, უ-ლილი მმართველი წრეების მოღალატური პოლიტიკის დამღვეველი შედეგები, თავისი მხრებით ზიდა ომის სიმძიმე, გაიღო უდიდესი მსხვერპლი აღამინებისა და მატერიალური ზარალის სახით, არ დათანხმდებოდა კვლავ აღედგინათ ძე-ლი წესწყობილება. მხოლოდ ძალაუფლების თავის ხელში აღებით შეეძლო ხალხს მიეღწია დიდი ხნის ნანატრი თავისუფლებისათვის და განეხორციელებინა თავისი ოცნებანი.

ხალხის მასების მძლავრმა რევოლუციურმა აღმავლობამ გაანადგურა მო-ლალატე ბურჟუაზიულ-მემამულური ხროვა და დაამყარა ხალხის სასურველი რეაგიმი. რევოლუციურმა, ანტიფაშისტურმა, ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ტალღამ დაასამარა ანტიხალხური რეჟიმი და უზრუნველყო სახალხო დემო-კრატიის გამარჯვება.

მაგალითად, ბულგარეთში ანტისახალხო რეჟიმის დამხობა და სახალხო დემოკრატიის გამარჯვება შემდეგნარიად განხორციელდა: საბჭოთა არმიის



შეტევასთან უშუალო კავშირში, როცა 6 სექტემბერს საბჭოთა არძია დეკლარაცია, გარეთის ტერიტორიაზე ქალაქ პერნიკში შევიღა, დაიწყო მეშახტეების გაუციცა, რომელიც მაღლ გადაიზარდა მუშების საყოველთაო მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვაში. ხალხთა მასები ქალაქებსა და სოფლებში აწყობდნენ მანიფესტაციებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, ციხეებიდან ათავისუფლებლნენ პოლიტიკურ პატიმრებს, ანადგურებდნენ ფაშისტურ ორგანიზაციებს, გერმანელ ფაშისტ-ოკუპანტთა ნაწილებს, ხალხის მოლალატეებს. 8 სექტემბერს აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება პლოვდივში, პლევენსა და გაბრივოში, ხოლო 9 სექტემბერს, დამით, რევოლუციური მასების დაწოლის შედეგად ანტისახალხო, პროფესიური მთავრობა დაემხო. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სამამულო ფრონტი.

სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის არსებობის პირველსავე დღეებში რევოლუციის მონაპოვართა განსამტკიცებლად, რეაქციის საბოლოო განადგურებისათვის დაშლილ იქნა ფაშისტური ტიპის ყველა ორგანიზაცია. მოხდა მათი ქონების კონფისკაცია. იგი სახალხო-დემოკრატიული მთავრობის განკარგულებაში გადავიდა. აიკრძალო პროფაშისტური პრესა, ტიპოგრაფიები გადაეცა დემოკრატიულ ორგანიზაციებს. დასაჯეს პირები, რომლებმაც სახელი გაიტეხეს, როგორც ნაცისტების აქტიურმა მოშხრებმა, სიკვდილით დასაჯეს მოღალატეები. რეაქციის ყოველმა ცდამ — დაემხო სახალხო რეჟიმი, კრახი განიცადა.

ბულგარეთში სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის პირველსავე დღეს, 1944 წლის 9 სექტემბერს რეაქციულმა ოფიცრობამ შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო სამამულო ფრონტის წინააღმდეგ. 11 სექტემბერს ოფიცრობა კვლავ შეეცადა დაემხო სახალხო ხელისუფლება. დარწმუნდნენ რა, რომ აშკარა გამოსვლებით წარმატებას ვერ მიაღწევდნენ, რეაქციის ძალები იატაკვეშეთში გადავიდნენ. 1944 წლის დეკემბერს, ქალაქ რუსეში სახალხო-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ გამოამდივნა დივერსიული ორგანიზაცია, რომლისთვისაც თავი შეეფარებინა ფაშისტური ჯგუფის ნაშთებს.

1945 წლის ზაფხულში პლოვდივში აღმოაჩინეს კონსპირაციული ორგანიზაცია. 1944 წელს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა გააუგინებლეს მაკედონიის საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაცია. ერთდროულად გამომჟღავნებულ იქნა მეორე ტერორისტული ორგანიზაცია.

რეაქციის ცდებს განხორციელება არ ეწერა. ხალხმა სახელმწიფოს მართვას მტკიცედ მოჰკიდა ხელი იმ განზრახვით, რომ საბოლოოდ გათავისუფლებულიყო უშუალებისა და ექსპლოატაციისაგან.

ამრიგად, სახალხო დემოკრატიის გამარჯვება მოამზადა საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების ისტორიული განვითარების მთელმა მსვლელობამ.

1917 წლის ნოემბერში პოლონერ გაზეთებში გამოჩნდა მოკლე შეტყობინება — საგაზეთო ტექსტის სამი სტრიქონი, საღაც ნათქვამი იყო: პეტროგრადში მოხდა აჯანყება, რომელიც, უჟველია, რამდენიმე დღეში იქნება ჩახმობილი.



მას შემდეგ 50 წელზე მეტი გავიდა, სოციალიზმი გადაიქცა უძლეველ ძალად. ასობით მიღიონი აღამიანი მთელ მსოფლიოში იმედის თვალით შეჰყურებს საბჭოთა ხალხს — ოქტომბრის რევოლუციის შემოქმედს, რომელიც უშიშრად იგერიებს იმპერიალიზმის შემოტევებს. სულ ახალ-ახალი თაობები სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმს, კაპიტალისტური მონობისაგან კაცობრიობის გათავისუფლების გზას, იღებენ გამოცდილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმდიდრესი თეორიული საგანძურილონ.

ოქტომბრის იღებები არის შუქურა, რომელიც გზას უნაოებს თვისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს, სოციალიზმის მშენებელ ხალხებს.

## კანონი საგარეო მოქადაკეობის შესახებ

პროც. ბრ. ერთოვთი

მოქალაქე სახელმწიფოში უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტია. თავის მხრივ სახელმწიფო სამართლის სუბიექტია, მას აქვს უფლებები და ვალდებულებანი. სახელმწიფოს უფლებები წარმოშობენ ინდივიდის ვალდებულებებს, ხოლო სახელმწიფოს ვალდებულებანი კი — ინდივიდის უფლებებს. აქედან გამომდინარე, ურთიერთობა სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის სამართლებრივი ურთიერთობაა.

მოქალაქეობის ცნებაში იგულისხმება ფიზიკური პირის მყარი იურიდიული კავშირი ამა თუ იმ სახელმწიფოსთან. სწორედ ეს განსაზღვრავს პირის უფლებრივ მდგომარეობას, როგორც ამ ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, აგრეთვე ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. პირის ეს იურიდიული კავშირი არ არის შემოფარგლული სახელმწიფოს სივრცით. სახელმწიფოს იურისძიებია მოქალაქეთა მიმართ ვრცელდება ამ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაც. ამ მხრივ მოქალაქე გამოიდის როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

მოქალაქეობა პოლიტიკურ-იურიდიული, მეცნიერული მნიშვნელობის პრობლემა. მოქალაქეობა აღმოცენდება, ვითარდება და ქრება. ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა პირს ჩეხება მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ მან არ შეიცვალა ან არ დაკარგა იგი. მოქალაქეობა მას თან მიჰყვება სხვა სახელმწიფოში წასკლის შემდეგაც. გამონაკლის შემთხვევაში, სახელმწიფოს კანონმდებლობით ქალი უცხო სახელმწიფოს მოქალაქეზე გათხოვების შემთხვევაში კარგავს მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეობას!

ვინაიდან მოქალაქეობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია, ამიტომ ყოველი სახელმწიფო ოუცილებლად კანონით, უმთავრეს შემთხვევაში კონსტიტუციით განსაზღვრავს მოქალაქედ ყოფნის წესს.

მოქალაქეობაში კონცენტრირებულია ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური საკითხები. მასში იგულისხმება მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობა, მისი მოვალეობანი, ქვეყნის მართვაში მონაწილეობის ფარგლები და ა. შ.

საბჭოთა მოქალაქეებს დაკისრებული აქვთ არა მარტო სახელმწიფოებრივი ვალდებულებანი, არამედ აგრეთვე ვალდებულებანი საზოგადოების მიმართაც; შესაბამისად მოქალაქის ინტერესს იცავს არა მარტო სახელმწიფო, არამედ საზოგადოებაც.

მოქმედი კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ მიღებულ იქნა სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს II სესიაზე 1938 წლის 19 აგვისტოს.

1 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1957 წელს მიიღო კონცენტრი „გათხოვილი ქალის მოქალაქეობის შესახებ“. კონცენტრია ლია ხელმოსაწერად ყოველ სახელმწიფოსათვის ვასაც სურვილი აქვს. ამ კონცენტრით გათხოვება ან გაყრა ქალისა ან ქმრის მიერ მოქალაქეობის შეცვლა ქალის მოქალაქეობის ავტომატურ შეცვლას არ იწვევს (ახ. მეჯდული იურიდიული კონცენტრი „გათხოვილი ქალის მოქალაქეობის შეცვლას არ იწვევს“). აღნიშნული კონცენტრი სსრ კავშირის მიერ ხელმოწერილია 1957 წლის 6 სექტემბერს; რატიფიცირებულია იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წლის 28 აგვისტოს.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძველი სახელმწიფოს ყველა ატრიბუტთან ერთად „ქვეშევრდომობაც“ გაუქმა, ისტორიას ჩაბარდა მეფის იმპერიის ქვეშევრდომობაც და ბურჟუაზიული ღროებითი მთავრობის რესპუბლიკის მოქალაქეობაც.

1917 წლის 15 ნოემბერს დამტკიცდა „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“, რომლითაც პირველად დაკანონდა ყველა ეროვნების თანასწორობა და სუვერენიტეტი, მოისპონ ყოველგვარი ეროვნული და რელიგიური უპირატესობანი და ყველა ადამიანი აღიშურვა ერთნაირი უფლებებით.

1917 წლის 23 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეკრეტი წოდებებისა და სამოქალაქო ხარისხების გაუქმების შესახებ. გაუქმდა ყოველგვარი წოდება, ტიტული, წოდებრივი დაყოფა, წოდებრივი პრივილეგიები და შეზღუდვები, წოდებრივი დაწესებულებანი და წოდებრივი ორგანიზაციები. მასთან ერთად გაუქმდა ყველა სამოქალაქო ხარისხი. მთელი მოსახლეობისათვის დაწესდა ერთი სახელწოდება — რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქე.

ფაქტიურად აქედან იწყება საბჭოთა მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის შემუშავება.

პირველი დეკრეტი («О приобретении прав российского гражданиства») მოქალაქეობის შესახებ დამტკიცა სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1918 წლის 1 აპრილს. დეკრეტი გამოქვეყნდა 5 აპრილს (23 მარტს).

აღნიშნული დეკრეტით, რუსეთის მოქალაქედ მიიღებოდა ყველა პიროვნება, ვინც ცნობდა და მხარს უჭერდა საბჭოთა სოციალისტურ წყობილებას. მოქალაქეობის მინიჭება მაშინ შეეძლოთ ხელისუფლებისა და მმართველობის აღვილობრივ ირგანვებს<sup>2</sup>.

ამავე პრინციპს იცავდა რსფსრ 1918 წლის კონსტიტუციაც.

1918 წლის 22 ოქტომბერს გამოქვეყნდა კოდექსი ასფსრ-ს მოქალაქეობის შესახებ. კოდექსის 103-ე მუხლი აწესებდა საბჭოთა მოქალაქეობიდან გასვლის წესსაც. მანამდე ჩვენს ქვეყანაში ეს საკითხი არ იყო რეგულირებული. ცოტა მოვიანებით, კერძოდ, 1921 წლის 21 ივნისს, რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალური ცირკულიარით განისაზღვრა საბჭოთა მოქალაქეობიდან გასული პიროვნების მის ძველ (ე. ი. საბჭოთა) მოქალაქეობაში აღვენის (რეინტეგრაციის) წესი.

1921 წლის 22 აგვისტოს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის ხელმოწერით მიიღო დეკრეტი „უცხოელების რუსეთის მოქალაქეობაში მიღების შესახებ“, მან განავითარა მოქალაქეობის მიღების შესახებ 1918 წლის აპრილის დეკრეტი.

1924 წლის 29 ოქტომბერს სსრ კავშირის მეორე მოწვევის ცაკ-ის მეორე სესიიმ დამტკიცა „დებულება კავშირის მოქალაქეობის შესახებ“. მის შემდეგ საკავშირო მასშტაბით მოქალაქეობის შესახებ დებულება მიღებულ იქნა სსრ კავშირის ცაკ-ისა და სახეომსაბჭოს მიერ 1930 წლის 13 ივნისს, ხოლო შემდეგ წ 1931 წლის 22 აპრილს.

1930 წლის დებულებამ შეასო ის ხარვეზი, რაც გააჩნდა 1924 წლის დებულებას მოქალაქეობის შესახებ. მან განსაზღვრა საბჭოთა მოქალაქეობის ჩა-

<sup>2</sup> Декреты Советской власти, 1959 წ., ტ. II, გვ. 40—41.



მორთმევის წესი, განსაზღვრა ის უფლებები, რაც მოქალაქეობის შესახებ მხოლოდ სსრ კავშირის ცაკ-ს მიეკუთვნებოდა (იმ უცხო მოქალაქის მიღება სსრ კავშირის მოქალაქედ, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს, სსრ კავშირის მოქალაქეობაში აღდგენა, საბჭოთა მოქალაქეობიდან გასვლის საკითხი და ა. შ.). წარსულში ამ უფლებებით სარგებლობდნენ როგორც სსრ კავშირის, ისე მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები.

1930 წლის ივნისის დებულება შეავსო სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილებამ — სსრ კავშირის მოქალაქედ მიღებისა და მოქალაქეობიდან გასვლის გამარტიველბული წესის შესახებ. ამ დადგენილების შინაარსი აისახა 1931 წლის 22 აპრილის დებულების მე-16 მუხლში.

1931 წლის 22 აპრილის დებულებამ ერთვარი შესწორება შეიტანა მოქალაქეობის მინიჭების შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების უფლებრივი მდგრადრეობის დადგენის საქმეში. განისაზღვრა, რომ უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ სსრ კავშირის მოქალაქედ მიღების თაობაზე სსრ კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმში შეტანილ განცხადებაში უნდა მიუთითოს, თუ რომელ სოციალისტური რესპუბლიკებიდან თხოულობს იგი მოქალაქეობას. 1931 წლის დებულებით, ამ ჩირის საბჭოთა მოქალაქეობაში მიღების საკითხს წყვეტდა არა მარტო სსრ კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმი, არამედ შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ცაკ-ის პრეზიდიუმიც.

მოქალაქეობის ჩამორთმევის უფლებაც ამ დებულებით პქნდა როგორც სსრ კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმს, ისე შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ცაკ-ის პრეზიდიუმს. დასახელებული დებულება შედგებოდა 18 მუხლისაგან<sup>3</sup>.

1931 წლის 22 აპრილის დებულება საკავშირო მოქალაქეობის შესახებ შესცვალა 1938 წლის 19 აგვისტოს კანონმა სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ, რომელიც შემუშავებული იქნა სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. კონსტიტუციის 21-ე მუხლით სსრ კავშირის მოქალაქეთათვის დაწესდა ერთიანი საკავშირო მოქალაქეობა. მოკავშირე რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე არის სსრ კავშირის მოქალაქე.

1936 წლის კონსტიტუციამ (მუხლი 14) მოქალაქეობის შესახებ კანონის შემუშავება მხოლოდ საკავშირო სახელმწიფოს მიანდო.

1938 წლის კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ მიიღო სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ. იგი შედგება 8 მუხლისაგან.

საბჭოთა კონსტიტუცია და კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ იცავს მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობის პირველადობის პრინციპს — „მოკავშირე რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე არის სსრ კავშირის მოქალაქე“. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი, პირიქით, პირველადს წარმოადგენს ფედერალური მოქალაქეობა და მეორადს — შტატის მოქალაქეობა. 1868 წელს ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუციაში შეტანილი მე-14 შესწორებით, ყოველი პიროვნება, რომელიც ეჭვემდებარება ამერიკის შეერთე-

<sup>3</sup> 1931 წლის 22 აპრილის დებულების სრული ტაქსტი იხ. Конституционные акты Союза ССР (1922—1936). Сборник документов под редакцией академика И. П. Трайнича, 1940 წ., გვ. 136—137.

ბული შტატების იურისდიქციის, წარმოაღენს შეერთებული შტატების და იმ შტატის მოქალაქეს, რომელშიც იგი ცხოვრობს<sup>4</sup>.

1938 წლის კანონის მეორე მუხლით დადგენილია, თუ ვინ ითვლება სსრ კავშირის მოქალაქედ. სსრ კავშირის მოქალაქეებს წარმოადგენენ ის პირნი, რომელიც 1917 წლის 7 ნოემბრისათვის ითვლებოდნენ ყოფილი მეფის იმპერიის ქვეშევრდომებად და არ დაუკარგავთ საბჭოთა მოქალაქეობა, აგრეთვე ის პირნი; რომლებმაც საბჭოთა მოქალაქეობა მოიპოვეს კანონით დადგინილი წესით.

კინაიდან სსრ კავშირის კონსტიტუციის 21-ე მუხლით მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე იღიარებულ იქნა სსრ კავშირის მოქალაქედ, მოქალაქეობის მინიჭების უფლების მხრივ გათანაბრებულ იქნენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები. სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ კანონის მესამე მუხლში აღნიშნულია, რომ „უცხოელები, მიუხედავად მათი ეროვნებისა და რასისა, სსრ კავშირის მოქალაქეებად მიიღებიან მათი შუამდგომლობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ან იმ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, რომლის ფარგლებშიც ისინი ცხოვრობენ“.

აქედან ჩანს, რომ სსრ კავშირში მანამდე არსებული ეგრეთწოდებული გამარტივებული ანუ საბჭოთა მოქალაქედ მიღების გაადვილებული წესი გაუქმდა და ყველასათვის დადგინდა საერთო წესი. ამავე მუხლით გაუქმებულად ითვლება 1924 წლის 29 ოქტომბრის „დებულება კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ და 1931 წლის 22 აპრილის დებულება იმ ნაწილში, რომლითაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისა და მმართველობის აღილობრივ ორგანოებს უფლება ჰქონდათ მიენიჭებინათ საბჭოთა მოქალაქეობა. საბჭოთა სახელმწიფომ მოქალაქეობის მინიჭების ეს წესი მიზანშეწონილად არ სცნო და ეს უფლება გადასცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს.

საბჭოთა მოქალაქედ მიღებისას მნიშვნელობა არა აქვს თუ რამდენ წელს უხვორობს უცხოელი სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

ჩვენი კანონმდებლობით პიროვნება მოქალაქედ მიღება სქესის მიუხედავად. საბჭოთა კანონმდებლობა არ იცნობს აგრეთვე ეროვნულ დისკრიმინაციას მოქალაქეობის მინიჭების ან ჩამორთმევის დროს.

კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ ცალ-ცალკე იხილავს საკითხს მოქალაქეობიდან გასვლისა და მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ. მოქალაქეობიდან გასვლის უფლებას კანონის მეოთხე მუხლით იძლევა მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო მოქალაქეობის ჩამორთმევა კანონის მე-7 მუხლით შეიძლება სასამართლოს განაჩენით — კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-

<sup>4</sup> ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის ტექსტი იხ. გ. გ. ბოიცენკო, კონსტიტუცია ცხადის შესწორების პირველი პუნქტი.

<sup>5</sup> ამ კანონის გვ-7 მუხლის „ა“ პუნქტი (სასამართლოს განაჩენით საბჭოთა მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ) 1958 წლის 25 დეკემბრის კანონით მდგრადაკადულია. „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“ აკადემიური ინიციატივის შესახებ სასამართლოს მეშვეობით საბჭოთა მოქალაქეობის ჩამორთმევას (იხ. მუხლი 21).



უმის განსაკუთრებული ბრძანებულებით. მოქალაქეობის ჩამორთმევა ხდება ამ მაღალი წოდების უღირსად შელახვის შემთხვევაში.

მოქალაქეობიდან გასვლისას სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის გაწყვეტაში როლს ასრულებს პირის ნება-სურვილი, ხოლო მოქალაქეობის ჩამორთმევის ღროს ეს ურთიერთობა პირის ნება-სურვილის დამოუკიდებლად იჭრება.

როგორც ვხედავთ, მოქალაქედ მიღება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად, თანასწორი უფლებით, შეუძლია მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმსაც, ხოლო საკითხს მოქალაქეობიდან გასვლის ან მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ წყვეტს მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ამჟამად სსრ კავშირში წარმომადგენლობითი ორგანოები წყვეტენ მოქალაქეობის მინიჭებისა და ჩამორთმევის საკითხს. საბჭოთა მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობა ყოველთვის შეაღენდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა პრეზიდენტივას.

„სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით „სსრ კავშირის მოქალაქე მამაკაცის თუ ქალის დაქორწინება ისეთ პირზე, რომელიც სსრ კავშირის მოქალაქე არ არის, მოქალაქეობის შეცვლას არ იწვევს.“

კანონი ითვალისწინებს აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირის (აპოლიდი) ასებობას (მუხლი 8). მანამდე სსრ კავშირის კანონმდებლობა არ ცნობდა ამ ინსტიტუტს. პირველად ამ კანონით დადგინდა სამართლებრივი ცნება „მოქალაქეობის არმქონე“, „მოქალაქეობის გარეშე“ პირი.

ასეთია ზოგადად „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ 1938 წლის 19 აგვისტოს კანონის შინაარსი.


1938 წლის კანონს აქვს ზოგიერთი ხარვეზი. მავალითად, განსაზღვრული არ არის საბჭოთა მოქალაქეობაში აღდგენის წესი, გარკვეული არ არის უცხო მოქალაქის მიერ საბჭოთა ბავშვის მიშვილების შემთხვევაში ბავშვის მოქალაქეობის საკითხი და ა. შ.<sup>7</sup>.

ამიტომ საჭირო გახდა მომდევნო წლებში შემუშავებულიყო ნორმები საბჭოთა მოქალაქეობის მიღებისა და საბჭოთა მოქალაქეობაში აღდგენის წესების შესახებ. ამის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა თავისი ბრძანებულებანი 1940, 1941, 1946, 1947 და 1948 წლებში.

საბჭოთა მოქალაქედ მიღება შესაძლებელია პიროვნების ინდივიდუალური მოთხოვნით. მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში საბჭოთა მოქალაქედ მიიღებიან ინდივიდუალური თხოვნის გარეშეც. იგი შეიძლება მექანიკურად მივცე ამა თუ იმ ტერიტორიის შემოერთებისას (მოქალაქეობის მიღება ტრანს-

<sup>6</sup> ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ მოქმედი კანონის შესაბამისად ამტკიცებს წესებს მოქალაქედ მიღების შესახებ.

<sup>7</sup> იხ. В. С. Шевцов, Советское гражданство, 1965 წ., გვ.40.



ფერტის წესით), როგორც ეს მოხდა, მაგალითად, დასავლეთ უკრაინის, დასავლეთ ბელორუსისა და ბესარაბიის მცხოვრებთათვის<sup>8</sup>, ან სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმების საფუძველზე სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები რომელიმე ერის წარმომადგენელთა თავიანთ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში.

სსრ კავშირში ახალი მოკავშირე რესპუბლიკის მიღებისას, საკავშირო მოქალაქეობის პრინციპიდან გამომდინარე, ამ რესპუბლიკის მოქალაქენი მექანიურად სსრ კავშირის მოქალაქენი ხდებიან<sup>9</sup>.

8 ასეთ შემთხვევაში საბჭოთა მოქალაქეობის მინიჭება ხდება განსაზღვრულ ვადებში პირთა რეგისტრაციაში გატარების საფუძველზე (იხ. Сборник законов СССР, 1945 წ., გვ. 39-40).

9 იხ. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 7 სექტემბრის ბრძანებულება ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების მოქალაქეთათვის სსრ კავშირის მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ — Сборник законов СССР и указов Президиума Верховного Совета СССР (1938-1956), 1956 წ., გვ. 65-66. ამ ბრძანებულების შინაარსი ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მოქალაქეთა მიერ საბჭოთა მოქალაქეობის მიღების შესახებ ეხებათ იმ პირთაც, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიის გარეთ ცხოვრობენ და არ დაუკარგავთ ლატვიის, ლიტვის ან ესტონეთის მოქალაქეობა.

# სოციალური ქონების გაზაცება სამსახურის მდგრადი გამოყენებით

ზ. ჭულაძე,

სისხლის სამართლის კათედრის ასპირანტი

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებას მითვისებით, გაფლანგვით და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით<sup>1</sup>.

კანონმდებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებას ასეთ შემთხვევაში საზოგადოებრივი საშიროების მხრივ ერთმანეთთან ათანაბრებს და ერთნაირ პასუხისმგებლობასაც აწესებს. სოციალისტური ქონების გატაცების თითოეულ ზემოთ დასახელებულ ფორმას აქვს თავისი სპეციფიკა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს ღამნაშავის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან სოციალისტური ქონების ამოღების ხერხებში.

კანონმდებელი არ განსაზღვრავს მითვისების, გაფლანგვისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების ცნებებს. ამ სტატიის მიზანია გატაცების ზოგადი ცნების საფუძველზე, განვსაზღვროთ ის ფორმა, რომელსაც ეწოდება სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით განმარტებულია სხვადასხვაგვარად. მაგალითად: ა. ნ. ვასილევი თვლის, რომ ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ხასიათდება იმით, რომ მოცემულ შემთხვევაში დანაშაულებრივი გზით ხდება მითვისება იმ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებისა, რომელიც არ იმყოფება მოცემული თანამდებობის პირის უშუალო განმგებლობაში<sup>2</sup>.

ა. ნ. სანთალოვი თვლის, რომ ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თანამდებობის პირი იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების უკანონო მითვისებისათვის ან სხვა პირებზე ანგარების მიზნით გადაცემისათვის. მოგვიანებით გამოცემულ შრომაში ა. ნ. სანთალოვი აღნიშნავს, რომ სოციალისტური ქონების ასეთი გატაცება გამოიხატება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში მყოფი ქონების ამოღებაში და მის, როგორც თავისი საკუთარის განკარგვაში<sup>3</sup>.

<sup>1</sup> მოკავშირი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ერთ მუხლში აერთიანებენ გატაცების დანიშნულ ფორმებს. გამონაკლისს წარმოადგენს უზბეკეთის სსრ სსკ, რომელიც სოციალისტური ქონების გატაცებას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ცალკე გამოყოფს (118 მუხლი) იმ მუხლის გვერდით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მითვისებისა და გაფლანგვისათვის.

<sup>2</sup> А. Н. Васильев, «Советское уголовное право», часть Особенная, М., 1957, стр. 140.

<sup>3</sup> А. Н. Санталов, «Советское уголовное право», часть Особенная, Л.—М., 1959, стр. 117 и «Советское уголовное право», часть Особенная, М., 1962, стр. 100.

მ. ი. იაკუბოვიჩის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით განმარტებულია, როგორც სოციალისტური ქონების დაუფლება ანგარების მიზნით, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ<sup>4</sup>.

გ. ა. კრიგერის აზრით, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით სოციალისტური ქონების გატაცებისას, ადგილი აქვს თანამდებობის პირის მიერ ქონების დანაშაულებრივ დაუფლებას თავისად გადაქცევის მიზნით ან ამ ქონების დანაშაულებრივ გადაცემას მესამე პირისათვის ანგარების მიზნით<sup>5</sup>.

სხვაგვარად განმარტავს ამავე ცნებას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, რომლის 1962 წლის 31 მარტის დადგენილება თვლის, რომ სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით გამოიხატება ანგარების მიზნით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების თავის საკუთრებად უკანონო გადაქცევაში უნაცვალგებოდ, ან იმავე მიზნით სხვის საკუთრებად გადაქცევაში<sup>6</sup>.

სისხლის სამართლის კომენტარებში სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით განმარტებულია, როგორც ისეთი ქმედობა, როცა თანამდებობის პირი იყენებს რა თავისი სამსახურებრივ მდგომარეობას, ანგარების მიზნით ახდენს სოციალისტური ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღებას სოციალისტური ფონდებიდან, მისი როგორც პირად, ასევე სხვა პირთა სარგებლობაში გადაქცევის მიზნით<sup>7</sup>.

როგორც ვხედავთ არც ერთი განმარტება ამომწურავი არ არის, ისინი არ განსაზღვრავენ სოციალისტური ქონების გატაცებას ზოგადი ცნების საფუძველზე, უფრო მეტიც, მათში არ არის მითითება ისეთ არსებით ნიშანზე, რაც ახასიათებს სოციალისტური ქონების გატაცებას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას, კერძოდ, ის რომ ქონება, რომლის გატაცება ხდება თანამდებობის პირის მიერ, არ იყოფება მის უშუალო მფლობელობაში, რაც თავის მხრივ აუცილებელია იმისათვის, რომ მოვახდინოთ სოციალისტური ქონების გატაცების აღნიშნული ფორმის განსხვავება საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლში მოცემული გატაცების სხვა ფორმებისაგან, კერძოდ მითვისებისა და გაფლანგვისაგან.

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებული გატაცების ზოგადი ცნების საფუძველზე სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ასე შეიძლება განვსაზღვროთ: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით არის სოციალისტური ქონების გატაცების ერთ-ერთი ფორმა, რაც გამოიხატება თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან ან გარების მიზნით მის უშუალო მფლობელობაში აში არმყოფი ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღების საბჭოთა სამართლი № 6.

<sup>4</sup> М. И. Якубович, «Советское уголовное право», часть I Особенная, М., 1965, стр. 124.

<sup>5</sup> Г. А. Кригер, Ответственность за хищение государственного и общественного имущества по советскому уголовному праву, М., 1957, стр. 86.

<sup>6</sup> აუტრ. „საბჭოთა სამართლი“, 1962, № 4, 33–62.

<sup>7</sup> Комментарий УК РСФСР, М., 1963, стр. 225.

ღებაში, იმ სურვილით, რომ გადააჭიოს ეს ქონება თავის ან სხვის საკუთრებად უნაცვალებოდა.

ამრიგად, სოციალისტური ქონების ასეთი გზით გატაცებისას, თანამდებობის პირი ოფურვილია უფლებით, რომ განკარგოს მატერიალური ფასეულობა სხვა პირების მეშვეობით. სწორედ ამ უფლებას იყენებს თანამდებობის პირი ბოროტად და ჩადის ისეთ მოქმედებას, როს შედეგადაც სოციალისტური ქონება უკანონოდ გადაის უშუალოდ დამნაშავის ხელში ან გადაეცემა მესამე პირს.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ელემენტები გვაქვს აგრეთვე სოციალისტური ქონების მითვისებისა და გაფლანგვის დროსაც, მაგრამ პირველ შემთხვევაში აუცილებელია, რომ დამნაშავე, რომელსაც მინდობილი აქვს სოციალისტური ქონება და რომელიც აწარმოებს ამ ქონების გატაცებას, იყოს თანამდებობის პირი. სწორედ, მინდობილი სოციალისტური ქონების განკარგვა არადანიშნულებისამებრ და ქონების გაღაწევა თავის საკუთრებად წარმოადგენს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ სახეს.

მაგალითად, თუ დაწესებულების მოღარე ხარგავს მინდობილ ქონებას პირადი საჭიროებისათვის, ამ დროს ჩადის სოციალისტური ქონების გატაცებას გაფლანგვის ფორმით, ხოლო თუ ამავე დაწესებულების ბუღალტერი იძლევა უკანონო ბრძანებას რაიმე სახსრის, როგორც თავისოთვის, ასევე მესამე პირზე გაცემის მიზნით, რომლის მიღების უფლება მათ არა აქვთ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სოციალისტური ქონების გატაცებასთან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფორმით.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით სოციალისტური ქონების გატაცებისას თანამდებობის პირი, დანაშაულის ჩადენის ხერხად იყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მათი წარმომადგენლების მოტყუებას, ან ბოროტად იყენებს მათ ნიღბას. სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალისტური ქონების დაუფლება წარმოებს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით. სწორედ პირის თანამდებობრივი მდგომარეობა და მის მიერ გატაცების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, განასხვავებს მოცემულ ქმედობას თალღითობისაგან.

აღნიშნული დანაშაულის შემაღებენლობა გვექნება მაშინაც, როცა თანამდებობის პირმა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი თანხები წინასწარი შეცნობით უკანონოდ დანიშნა ან გასცა ანგარების მიზნით, იმ პირებზე რომლებსაც არა აქვთ მისი მიღების უფლება.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1962 წლის 8 იანვრის განჩინებაში კ-სა და სხვათა საქმეზე სწორად მიუთითა, რომ საამშენებლო სამუშაოებზე მოცულობის წამატება, პრემიის მიღების მიზნით, საჭიროა შეფასებულ იქნას როგორც გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით.

ამრიგად, თუ წინასწარი შეცნობით დადებულია ფიქტიური შრომითი შეთანხმება ან სხვა ხელშეკრულება, რათა თანამდებობის პირმა თავის საკუთრებად აქციის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრები ვითომდა შესრულებული სამუშაოსათვის, თანამდებობის პირმა და იმ პირებმა, რომლებმაც ეს ხელ-

<sup>8</sup> «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1961, № 5, стр. 10, «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1962, № 4, стр. 10.

შეკრულება დადეს, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სოციალისტური ქონების გატაცება, რისთვისაც პასუხს აგებს, როგორც თანამდებობის, ისე კერძო პირები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წინასწარ შეთანხმებაში და მიიღეს ეს სახსრები. დამნაშავე პირთა ეს მოქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო თუ გატაცებული თანხა დიდი ოდენობისაა ამ მუხლის მესამე ნაწილით.

„სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომლის მიზანს არ შეადგენდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების უნაცვალებოდ მიღება ან გაცემა, მაგრამ რომელსაც შემდგომში შედეგად მოჰყეა პრემიის, ხელფასის წანამატისა და სხვა ფულადი თანხის მიღება ან გაცემა (მაგალითად, სახელმწიფო ანგარიშგებაში, წამატების, გეგმის შესრულების შესახებ ყალბი წაანგარიშო მონაცემების წარდგენის და სხვა გზით), საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით დაკვალიფიცირებულ უნდა იქნას იმ კანონით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თანამდებობრივი ან სამეურნეო დანაშაულისათვის“<sup>9</sup>.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ისმება საკითხი, რომ გაიმიჯნოს ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლი) დანაშაულის იმ შემადგენლობისაგან, რასაც ითვალისწინებს სსკ 94-ე მუხლი, კერძოდ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით სოციალისტური ქონების გატაცებისაგან.<sup>10</sup> ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ორივე შემთხვევაში ქმედობის ჩადენა ხდება ანგარების მოტივით, რაც მატერიალურ ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციის, მაგრამ შათ შორის არის განსხვავებაც, რაც იმაში გამოიხსეტება, რომ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მართალია ქონებრივ ზიანს აყენებს სახელმწიფო დაწესებულებას ან საწარმოს, მაგრამ არა დაკავშირებული თანამდებობის პირის მხრივ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლებასთან, მაშინ როდესაც სსკ 94-ე მუხლით აუცილებლად იგულისხმება თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების უკანონოდ დაუფლება.

საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის შემადგენლობა გვექნება, მაგალითად, როცა სამკერვალო სახელოსნოს გამე, სახელოსნოში მომუშავეთა ძალებით უფასოდ ასრულებს კოსტუმებისა და პალტოების მრავალრიცხოვან შეკვეთას

<sup>9</sup> სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენური 1962 წლის 31 მარტის დადგენილება № 5, „სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, უკრ. „საბჭოთა სამართლა“, 1962, № 4. გვ. 62.

<sup>10</sup> **Б. А. Куринов**, Уголовная ответственность за хищение государственного и общественного имущества, М., 1954, стр. 64—66; **А. Б. Сахаров**, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, М., 1956, стр. 197—207; **Г. А. Кригер**, Борьба с хищениями социалистического имущества, М., 1965, стр. 184—185; **Г. А. Кригер**, Ответственность за хищение государственного и общественного имущества по советскому уголовному праву, М., 1957, стр. 89; **С. А. Тарарухин**, Социалистическая собственность — неприкосновенна, Киев, 1963, стр. 61; **В. Максимов**, Ответственность за злоупотребление властью или служебным положением, «Советская юстиция», 1963, № 15, стр. 20; ვ. მაისურაძე, სოციალისტური საკუთრების დაცვა დაუცვებისაგან საბჭოთა სისხლის სამართლი, თბილისი, 1964, გვ. 117—118; ბ. ფურცხებანიშვილი, საბჭოთა სისხლის სამართლი, თბილისი, 1966, გვ. 120; სსრ კავშირის უმდღევისა სასამართლოს პლენური მის 1962 წ. 31 მარტის დადგენილება № 5, „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე“, უკრ. „საბჭოთა სამართლა“, 1962, № 4, გვ. 62.

ნათესავის ან ნაცნობისათვის, ხოლო სსკ 94-ე მუხლის შემადგენლობა სახეზეა მაშინ, როცა იგივე პირი მიიღებს აა შეკვეთებს კოსტუმებისა და პალტოების შესაქერავად, ამავე დროს შემკვეთებისაგან იღებს შეკერვისათვის დაწესებულ ფლანელ თანხას და ითვისებს მას.

ამრიგად, სსკ 94-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობისას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არის გატაცების ჩადენის მხოლოდ საშუალება; რომლის შესახებაც პირდაპირაა მითითებული, ამიტომ დამატებით დაკვალიფიცირება კოდექსის 186-ე მუხლით, საჭირო არ არის. საილუსტრაციოდ სასამართლო პრატიკიდან შეიძლება მოვიტანოთ მაგალითი — მოქალაქე ს. შ-ს წინასწარი გამოძიებით ბრალი დაედო იმაში, რომ მუშაობდა რა კაცობურის სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობის დირექტორად, თანამდებობას იყენებდა ბოროტად, პირადი გამორჩენის მიზნით. 1963-64 წლებში სისტემატურად აღვენდა ყალბ განრიგა-აქტებს (ფორმა № 3) შესასრულებელ სამუშაოზე; ამასთან იგი შრომის ხელფასს მუშებს აძლევდა უწყისზე ხელის მოწერის გარეშე, ხოლო თანხის მიღებაზე ხელმოწერას თვითონვე ასრულებდა. ამ გზით ს. შ. ახერხებდა მუშების შრომის ხელფასიდან თანხის მითვისებას. სულ მიითვისა 419 მანეთი.

წინასწარი გამოძიებით ს. შ-ს მოქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლითა და 186-ე მუხლის II ნაწ<sup>11</sup>.

ჩვენი აზრით, მართებულად მოიქცა სახალხო სასამართლო, როცა არ ცნო  
ბრალდება ს. შ-ს მიმართ სსკ 186 მუხლით II ნაწილით და მიუთითა: ასეთ  
შემთხვევაში სამსახურებრივი მღვმარეობის ბოროტად გამოყენება არის გა-  
რიცების ჩადენის მხოლოდ საშუალება და ამდენად დამატებითი კვალიფიკა-  
ცია სსკ მუხლის II ნაწილით საჭირო არ არის.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოიყენების გზით სოციალისტური ქონების გატაცების, მითვისებისა და გაფლანგვის ღროს დამაშავენი მიმართავენ ღოკუმენტების სიყალბეს. ამით მათ სურთ ადვილად დაეუფლონ სოციალისტურ ქონებას, ან მოახდინონ უკვე გატაცებული ქონების დაფარვა. ასეთ შემთხვევაში ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, კერძოდ 94-ე და 191-ე მუხლებით. სამტრედიის სახალხო სამართლომ სწორად ცნო მ. დ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს კუსკ 94-ე მუხლის II ნაწილით და 191-ე მუხლით. მ. დ. მუშაობდა რა რეინიგზის მუშათა მომარაგების სამტრედიის განყოფილების № 3 მაღაზიის სამრეწველო სექციის გამგე-გამყიდველად, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა. ბოროტად. გაღითდა რა მორიგ კუთვნილ შვებულებაში ისარგებლა აღმწერი ბუღალტრის გ-ს და მიმსაჭლის გადაბარების ღროს ისარგებლა აღმწერი ბუღალტრის გ-ს და მიმ-

ლების ბ-ს დაუდევრობით და ოწერის მასალებში ჩიცხვების გადაკეთების გზით საქონლის რაოდენობისა და საპრეისკურანტო ფასების გადიდებით მოახერხა 1908 მანეთის დანაკლისის მიხემალვა<sup>12</sup>.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით სოციალისტური ქონების გატაცების მეთოდები და ხერხები სხვადასხვაგარია. სოციალისტური ქონების გამტაცებლები ხშირად სარგებლობენ იმით, რომ საწარმო-დაწესებულებებში სუსტია კონტროლი და ცუდად არის აღრიცხული მატერიალური ფასეულობანი, სხვადასხვა მაქინაციებით სოციალისტურ ქონებას იღებენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან და აქცივენ მათ თავიანთ საკუთრებად. შემდეგში თავი რომ დააღწიონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მატერიალურ ფასეულობის დანაკლისისათვის, იყენებენ „ეკონომიკს“, კერძოდ, მიმართავენ მოძველებული ან არასრულყოფილი ნორმებით ანგარიშს, ბუნებრივი დანაკარგების გაზრდას, წუნის უკანონოდ ჩამოწერას, გადაფასებას და ა. შ.

მატერიალური ფასეულობის დაგროვების ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხი, მისი შემდგომი ამოღების მიზნით, არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი მასალითა და საშუალებით აღურიცხველი პროდუქციის დამზადება. მატერიალურ ფასეულობის გადაქცევა თავის საკუთრებად განხილული უნდა იქნეს როგორც გატაცება და დაკვალიფიცირდეს სსკ 94-ე მუხლით. ასევე უნდა დაკვალიფიცირდეს „ზედმეტი“ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თავის სასარგებლოდ გადაქცევა, რომელიც წარმოიშობა თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოტყუების შედეგად. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თავის განჩინებაში ს-ს და ე-ს საქმეზე სწორად მიუთითა, რომ დამარაშვეთა მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სოციალისტური ქონების გატაცება, რადგან ე-მ ხორცი სახელმწიფო დაწესებულებებს — საბავშვო ბაგებს, საავადმყოფოს, სასალილოს და სხვა ორგანიზაციებს ზედმეტ ფასებში გასცა, რითაც ბუნებრივია დაზარალდა სახელმწიფო და არა კერძო პირები<sup>13</sup>.

სირთულეს არ უნდა იწვევდეს საკითხი კვალიფიკაციის შესახებ, როცა სავაჭრო ქსელის თანამდებობის პირები მიიღებენ რა საქონელს საბითუმო ფასებში, შემდეგ ყიდიან - საცალო ფასებში, ხოლო სხვაობას ითვისებენ. რამდენადაც საქონელი საბითუმო ფასებში შეიძლება გაეცეს მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ხოლო გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი თანხა მთელი მოცულობით არის შესაბამისი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრება, ამდენად მისი ნაწილის მითვისება, ე. ი. ის, რაც ქმნის სხვაობას საბითუმო ფასსა და საცალო ფასს შორის საჭიროა დაკვალიფიცირდეს, როგორც სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით<sup>14</sup>. საცალო ვაჭრობის

12 სამტკრედის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 1-77/3.

13 «Уголовный кодекс РСФСР 1960, Комментарий». Л., 1962, стр. 287; Г. Вольфман, Уголовная ответственность за обман покупателей, «Советская юстиция», 1963, № 2, стр. 20; «Сборник постановлений Президиума и определений судебной коллегии по уголовным делам Верховного Суда РСФСР 1957—1959 гг.», М., 1960, стр. 113.

14 В. Соловьев, Некоторые вопросы судебной практики по делам о должностных преступлениях, «Советская юстиция», 1964, № 12, стр. 9—10; «Бюллетень Верховного Суда СССР», 1963, № 5, стр. 12—13.

ან საზოგადოებრივი კვების მუშაქები თუ მყიდველს ატყუებენ ზომასა და წინაში, რათა დაფარონ მათ მიერ უკვე ჩადენილი სოციალისტური ქონების გატაცება, ქმედობა დავის გარეშე უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც გატაცება და მყიდველთა მოტყუება, ხოლო თუ ამ პირებმა მყიდველთა მოტყუებით უნდა დააგროვეს გარკვეული რაოდენობის საქონელი, რათა უემდევში მიეთვისებინათ, მათი პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს სსკ 169 მუხლით, როგორც მყიდველთა მოტყუება, რადგანაც ამ დროს ზიანი ადგება არა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, არამედ ცალკეულ მოქალაქეებს<sup>15</sup>.

სოციალისტური ქონების გატაცების შემადგენლობა გვექნება იმ შემთხვევაშიც, როცა თანამდებობის პირი, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გამოიწერს თითქოს წარმოების საჭიროებისათვის ამა თუ იმ ქასალას ან ნედლეულს და შემდეგ მას აქცევს თავის საკუთრებად. ზოგჯერ აღნიშნულ შემთხვევაში თანამდებობის პირი იხდის კიდევაც მის ღირებულებას დაბალ საწარმოო ან საბითუმო ფასში.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, სოციალისტური ქონების გატაცებად უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როცა აანაზღაურობის პირი უფლებამოსილია რა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ მიიღოს რაიმე ქონება ცალკეული მოქალაქეებისაგან, ივი ან ქონებას არ გადასცემს დანიშნულებისამებრ და ითვისებს მას.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბორიტად გამოყენების გზით სოციალისტური ქონების გატაცება გვიჩვება მაშინ, როცა ორი სხვადასხვა დაწესებულების თანამდებობის პირი შეთანხმდებიან ერთად განახორციელონ დანაშაულებრივი ოპერაცია. მაგალითად, მიმწოდებელი ორგანიზაციის მუშაკი შეუთანხმდება მიმღები ორგანიზაციის მუშაკს დოკუმენტებში არასწორად აჩვენონ საქონლის რაოდენობა ან დამახინჯონ ფასი და ზეღმეტი საქონლის ღირებულება გაინაწილონ. ზოგჯერ თანამდებობის პირი აღწევს სოციალისტური ქონების მისაკუთრებას ისეთი მდგომარეობის შექმნით, რომელიც იძულებულს ხდის სხვა ორგანიზაციის მუშაკს წინასწარი შეცნობით წაგიდნენ ძასთან აშკარად უკანონო გარიგებაზე. მაგალითად, თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაა მის გამეცხველობაში მყოფი დეფიციტური სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაცემა, განაწილება ან გაყიდვა განზრას აჭიანურებს საქონლის გაცემას და მას გასცემს მაშინ, როდესაც გადაუხდიან ღირებულებაზე ზევით, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს გატაცებისა და ქრთამის აღების ერთობლიობასთან“.<sup>16</sup>

სხვაგვარად წყდება საკითხი მაშინ, როცა სახვადასხვა სახის რესტორნებსა და კაფეებში მომუშავენი, ლებულობენ რა საქონელს ფაქტურით გარკვეული თანხის ღარიცხვით, ამავე დროს დამატებით ყიდულობენ აღნიშნული სახის საქონელს მტკიცე საცალო ფასებში და შემდგომ ყიდიან ღარიცხვის ფასებში, როთაც იღებენ გარკვეულ სარგებლობას. ამ დროს მართალია, ქონებრივი ზიანი აღგება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მაგრამ არ ხდება სოციალისტური ქონების ამოღება შესაბამისი სახელმწიფო ან სა-

<sup>15</sup> А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, Курс советского уголовного права, т. I, стр. 257; Г. Вольфман, Уголовная ответственность за обман покупателей, «Советская юстиция», 1963, № 2, стр. 20; ბ. ფურცელის მიხედვით, საბჭოთა სისტემის სამართლი, 1966, 83, 291.

<sup>16</sup> Комментарий УК РСФСР, М., 1963, стр. 226.

ზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდიდან, ამის გამო აღნიშნული ხსიათის ქმედობა საჭიროა დაკვალიფიცირდეს სსკ 186 მუხლით (როცა დამნაშავე თანამდებობის პირია), ან სსკ 98 მუხლით (როცა დამნაშავე არის კერძო პირი).

გატაცებაში დახვარებისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის პასუხი უნდა აგონ იმ თანამდებობის პირებმა, რომლებმაც წინასწარი შეცნობით კერძო პირებს მისცეს ყალბი საბუთები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების (კერძოდ, პენსიის, პრემიის, დახმარების ან სხვათ) მიღების მიზნით. ხოლო თანამდებობის პირის მაერ წინასწარი შეცნობით პირისათვის პენსიის უკანონო დანიშვნა, მისი მისაკუთრების მიზნით, საჭიროა დაკვალიფიცირდეს როგორც სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების კველაზე შენიღბული ფორმა. ამ დროს დანაშაულის ჩამდენ პირებად გვევლინებიან თანამდებობის პირები, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გულდასმით შენიღბონ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა.

ავტორთა უმრავლესობის აზრით, როცა ბოროტმოქმედნი აწარმოებენ სხვადასხვაგვარი კომბინაციებით სოციალისტური ქონების გატაცებას, ამავე დროს ფართოდ იყენებენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახსრებით თანამდებობის პირთა მოსყიდვას<sup>17</sup>.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის № 9 დადგენილებაში „მექრთამების საქმეებზე სასამართლო პრატიკის უსახებ“, მითითებულია, რომ ქრთამის მიცემისა და აღებისათვის გაზრდილი პასუხისმგებლობა ვერ გამორიცხავს პასუხისმგებლობას მექრთამეობასთან დაკავშირებულ სხვა უფრო საშიშ დანაშაულზე, კერძოდ, ისეთზე, როგორიცაა სახალხო დოკუმენტის მტაცებლობა. აქვე მითითებულია, რომ წინასწარი შეთანხმებით თუნამდებობის პირის მიერ ქრთამის სახით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების მიღება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის პირინციპით, როგორც ქრთამის მიღება და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება დამამძიმებელ გარემოებაში, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით. ქრთამის მიღება და შუამავალთა მოქმედება, რომლებიც ქრთამის გადაცემისას თავის საკუთრებად აქცევენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სახსრების ნაწილს, აგრეთვე იმ თანამდებობის პირთა ქმედობა, რომლებიც ახდენენ ამ სახსრების ამოღებას და მათი ქრთამის სახით გადაცემას პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, უნდა დაკალიფიცირდეს როგორც მექრთამეობისა და გატაცების ერთობლიობა<sup>18</sup>.

პლენუმის დადგენილების აღგილი „პირადი ინტერესების დაკმაყოფილე-

<sup>17</sup> П. П. Кучерявый, Ответственность за взяточничество по советскому уголовному праву, М., 1957, стр. 88; Б. С. Гришин, Об ответственности за взяточничество, «Советское государство и право», 1959, № 12, стр. 64—65; М. Ковалев, Г. Щелковкин, Взяточничество — тяжчайшее преступление, «Советская юстиция», 1961, № 24, стр. 10—12; А. Телиокин, Решительно искоренять взяточничество, «Социалистическая законность», 1963, № 5, стр. 61; З. Т. Баранова, Некоторые уголовно-правовые и процессуальные вопросы расследования дел о взяточничестве («Следственная практика», вып. 60, 1963, стр. 101 — 125); З. მაყაშვილი, გ. თუეშვილიაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, თბილის 1964, გვ. 186—191.

<sup>18</sup> უკრნალი „სამართლა“ 1962, № 6, გვ. 75.



ბის „შიზნით“ საჭიროა გაგებულ იქნას იმგვარად, რომ ქრთამის საშუალებით თანამდებობის პირი მიისწრავის დაიცვას არა მარტო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ყალბად გაგებული ინტერესები, არამედ, იმავე დროს, მას სურს პირადი გამორჩენაც მიიღოს. მაგალითად, თანამდებობის პირი აძლევს მეორე თანამდებობის პირს ქრთამს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრებიდან რაიმე მნიშვნელოვანი მასალის, ან საქონლის ტრანსპორტირების დაქარებისათვის, თანაც მიზნად ისახავს სამეურნეო ოპერაციის ღროულად შესრულებისათვის მიიღოს პრემია ან ხელფასის წანამატი<sup>19</sup>.

თანამდებობის პირი თუ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ითვისებს სოციალისტურ ქონებას და მისთვის იყენებს კერძო პირს, რომელმაც იცის, რომ თანამდებობის პირი მისი დახმარებით უფლება სოციალისტურ ქონებას, თანამდებობის პირმა პასუხი უნდა აღოს სსკ 94-ე მუხლით, ხოლო კერძო პირმა სოციალისტური ქონების გატაცებაში თანამონაწილეობისათვის.

სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით არ გვიწევა, თუ თანამდებობის პირი ბრძანებით სამუშაოზე აფორმებს ისეთ პირს, რომელიც ფაქტიურად არ მუშაობს, მაგრამ ასრულებს რა თვითონ ფაქტიურად მის მოვალეობას ამავე დროს იღებს იმ გასამარჯველოსაც, რომელიც უნდა მიეღო ამ პირს. ასეთი ქმედობა უნდა განვიხილოთ როგორც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (სსკ 186 მუხ.) და არა როგორც გატაცება. ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ს-ს დანაშაულებრივი მოქმედება გამოიხატა იმაში, რომ შეუშაობდა რა კულტურის სახლის დირექტორად, ბრძანებით სიმღერის გუნდის ხელმძღვანელად დაინიშნა ზ., ხოლო მოცეკვავეთა წრის ხელმძღვანელად ვინმე კ. აღნიშნული პირები ფაქტიურად არ მუშაობდნენ და მათზე გამოწერილ თანხას ითვისებდა კულტურის სახლის დირექტორი, რომელიც ფაქტიურად თვითონ ასრულებდა აღნიშნული წრეების ხელმძღვანელთა მოვალეობას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მისი მოქმედება მიიჩნია როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება<sup>20</sup>.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით სოციალისტური ქონების გატაცებისას, დანაშაულის დამთავრების მომენტი იქნება არა უკანონო განკარგულების მიცემა ქონების გაცემის შესხებ ან ფაქტიური დოკუმენტის შედგენა და ა. შ. არამედ, სოციალისტური ფონდებიდან უკანონოდ ამორტებული ქონების დაუფლება ან ასეთი ქონების მესამე პირისათვის გადაცემა ანგარების მიზნით.

<sup>19</sup> ვ. მაყაშვილი, გ. ტყეულიაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, თბილისი, 1964.

<sup>20</sup> 190.

<sup>20</sup> В. Максимов, Ответственность за злоупотребление властью или служебным положением, «Советская юстиция», 1963, № 15, стр. 21.

# საგანკო სესხის დახმარებით აგანებული საცხოვრებელი სახლის სამართლებრივი მღვრმარეობა

რ. შვერილია,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბანკო სესხს მოქალაქეები ძირითადად იყენებენ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად. სესხის დახმარებით წამოწყებული მშენებლობა წარმოშობს მთელ რიგ სამართლებრივ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტას ნორმატულ აქტებში იშვიათად ვხვდებით. ეს საკითხები სხვადასხვაგვარად, ზოგჯერ კი მცდარად არის გადაწყვეტილი თეორიასა და პრაქტიკაში. მათ სწორ გაშუქებას ლიტერატურაში არსებული შეხედულებებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა კავშირში საკუთრების უფლება, რა ფორმითაც არ უნდა არსებობდეს იგი, გულისხმობს მესაკუთრისათვის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლების მინიჭებას. ეს უფლებამოსილებანი დამახასიათებელია პირადი მესაკუთრისათვისაც. პირი, რომელსაც პირად საკუთრებაში გააჩნია საცხოვრებელი სახლი, სარგებლობს ამ სახლის როგორც მფლობელობის, ისე სარგებლობისა და განკარგვის უფლებით. მაგრამ როგორც წესი, მესაკუთრის აღნიშნული უფლებამოსილებანი არ არის განუსაზღვრელი. პირიქით, მესაკუთრეს ამ უფლებამოსილებათა გამოყენება შეუძლია მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში.

საცხოვრებელ სახლად იგულისხმება არა დროებითი, არამედ კაპიტალური, დამთავრებული შენობა, რომელიც ექსპლოატაციაშია. როგორც სამართლიანადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, მშენებლობის დამთავრებამდე არ არსებობს საცხოვრებელი სახლი, როგორც პირადი საკუთრების ობიექტი, არამედ არსებობს მხოლოდ სამშენებლო მასალები, დეტალები და კონსტრუქციები, რომლებზეც საკუთრების უფლება შეიძლება სხვას გადაეცეს, მაგრამ ეს არ იქნება დაკავშირებული მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლებასთან<sup>1</sup>.

საერთოდ კი მენაშენეს უფლება აქვს გასხვისოს დაუმთავრებელი სახლი როგორც საშენი მასალა, მაგრამ დაუმთავრებელი სახლის გასხვისებისას დაწესებულია შეზღუდვები. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 240-ე მუხლში აღნიშნულია: „სახლი, რომელსაც მოქალაქე აშენებს, მისი მშენებლობის დამთავრებამდე, არ შეიძლება გასხვისებულ იქნეს სხვა პირზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახლი იყიდება მასალად“. აღმასკომის ნებართვა ამ შემთხვევაში აუცილებელია, რადგან ეშირად ახალი მესაკუთრე ფაქტიურად მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლებასაც იძენს, მაშინ როდესაც მას აღმასკომთან არავითარი შეთანხმება არ ჰქონია ამის თაობაზე.

<sup>1</sup> Л. И. Газиянц — Споры о строениях, принадлежащих гражданам на праве личной собственности. М., 1960, стр. 8.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლება მენაშენეს წარმოეშობა მხოლოდ მისი დამთავრებისა და კომუნალურ ორგანიზაციის რეგისტრაციის მომენტიდან. ამ პერიოდიდან იჩენს თავს პირადი მესაკუთრის ცალკეული უფლებამოსილებანი — მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ როცა საცხოვრებელი სახლი შენდება საბანკო სესხის დახმარებით?

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომლის თანახმად მენაშენეს საბანკო სესხის დახმარებით აშენებულ სახლზე საკუთრების უფლება წარმოეშობა მხოლოდ სესხის მთლიანად დაფარვის შემდეგ. მაგალითად ვ. გ. მ. დესიატკოვი, იმ ფაქტებიდან გამომდინარე, რომ სესხის დაფარვამდე მოქალაქეს არა აქვთ ბანკის ნებართვის გარეშე სახლის გაყიდვის ან სხვაგვარი გასხვისების უფლება, ასკვნის, რომ „საკუთრების უფლება საბანკო სესხის დახმარებით აშენებულ სახლზე მოქალაქეს წარმოეშობა მხოლოდ სესხის მთლიანად დაფარვის შემდეგ“<sup>2</sup>.

ჩევნ მიგვაჩნია, რომ საბანკო სესხის დახმარებით აშენებულ სახლზე მენაშენე საკუთრების უფლებას იღებს საერთო საფუძვლების მიხედვით, ე. ი. მშენებლობის დამთავრებისა და სახლის ექსპლოატაციაში გადაცემიდან.

საკუთრების უფლების სუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობა არ იცვლება იმის მიხედვით, სახლი აშენებულია მენაშენის საკუთარი სახსრებით, თუ საბანკო სესხის დახმარებით. როგორც ცნობილია, სახლის მშენებლობა მარტო საბანკო სესხის ხარჯზე არ წარმოებს. მენაშენე საკუთარ სახსრებსაც აბანდებს მშენებლობაში. ფაქტიურად საკუთარი სახსრები მეტი იხარჯება სახლის მშენებლობაზე ვიდრე საბანკო სესხი. უწევს რა გარკვეულ დახმარებას, გამსესხებელი (ბანკი, სამეურნეო ორგანიზაცია) არ იძნეს საკუთრების უფლებას სახლზე. მოქალაქეთა დაქრედიტების წესებში და სამართლის სხვა წყაროებშიც არ არის მითითება, რომ სესხის მთლიანად დაფარვამდე, სახლის მესაკუთრეარის ბანკი ან სამეურნეო ორგანიზაცია. თუ დავუშვებთ, რომ სახლის მესაკუთრე სესხის დაფარვამდე არის სესხის მიმცემი იურიდიული პირი, მაშინ მას უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს მენაშენისაგან ბინის ქირა, სახლის სარგებლობისათვის. მაგრამ მენაშენე ასეთ ქირას არ იხდის. უფრო მეტიც, მას უფლება აქვს თვითონ გააქირაოს სახლი ან მისი ნაწილი და დამოუკიდებლად განკარგოს მიღებული შემოსავალი, ესეც იმაზე მეტყველებს, რომ სახლის მესაკუთრედ სესხის დაფარვამდე არ შეიძლება ჩაითვალოს გამსესხებელი<sup>3</sup>. მესაკუთრედ უნდა ვაღიაროთ თვით მენაშენე. მაშინ როთ აიხსნება, რომ მოქალაქეთა დაკრედიტების წესებით მენაშენე არ არის უფლებამოსილი გამსესხებლის ნებართვის გარეშე გასხვისოს საკუთარი სახლი სესხის დაფარვამდე?

საქმე იმაშია, რომ მენაშენესა და გამსესხებელს შორის წარმოშობა გირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა, რაც მიზნად ისახავს მენაშენეზე გაცე-

<sup>2</sup> В. М. Десятков, Право собственности граждан на жилой дом., М., 1963, стр. 13.

<sup>3</sup> თუ ვ. მ. დესიატკოვის აზრს გავიზიარებთ, გამოდის რომ მშენებლობის დამთავრების მომენტიდან სესხის სრულად დაფარვამდე, რაც შეიძლება 7—8 წლის პერიოდით შემოიფარგლოს, სახლზე არავის არ გააჩნია საკუთრების უფლება.

შული სესხის დროულად დაბრუნების უზრუნველყოფას. გირავნობრივი არის საბანკო სესხის დახმარებით აშენებული სახლი. ხოლო მოგირავნე კი—გამსესხებელი. საგირავნო სამართლებრივი ურთიერთობა დამგირავებელს ზღუდავს გირავნობის საგნის განკარგვაში. იზტუდება მენაშენეც. წარმოადგენს რა საბანკო სესხის დახმარებით აშენებული სახლის მესაკუთრეს, მას უფლება არა აქვს მოგირავნის — გამსესხებლის ნებართვის გარეშე დადოს ამ სახლის გამასხვისებელი გარიგება, თუმცა შეუძლია ისეთი გარიგების დადება, რომელიც არ იქნება დაკავშირებული სხვა პირისათვის სახლზე საკუთრების უფლების გადაცემასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ მენაშენეს კი არ ერთმევა მთლიანად სახლის განკარგვის უფლება, არამედ მხოლოდ ეზღუდება გარევეული პერიოდით. ამასთან მას რჩება მესაკუთრის სხვა უფლებამოსილებანი — მფლობელობისა და სარგებლობის უფლება. ამიტომ არავათარი საფუძველი არ გვაქს ეჭვის ქვეშ დავაყენოთ საბანკო სესხის დახმარებით აშენებულ სახლზე მენაშენის საკუთრების უფლება სესხის დაფარვამდე.

კარგი იქნება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დაკრედიტების წესებს დაემატოს ისეთი ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა საბანკო სესხის დახმარებით აშენებულ სახლზე მენაშენის საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტს, აგრეთვე იმის მითითება, რომ საკლი გირავნობის ობიექტია.

სახლის ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების, აგრეთვე გარდაცვალებამდე რჩენის პირობით სახლის ან მისი ნაწილის სხვისთვის გადაცემის ხელშეკრულება, რომელიც დაიდება გამსესხებლის თანხმობის ეგარეშე, ბათილია. ასეთი მოთხოვნა საერთოა ყველა შემთხვევისათვის, როცა საკითხი ეხება სხვა პირზე საკუთრების გადასვლას. ხომ არ ავალდებულებს ეს გარემოება სასამართლებს თვით შეიკავონ ისეთი დავების განხილვისაგან, რომელიც წამოიჭრება სესხის დახმარებით აშენებული სახლის თაობაზე? შეიძლება ასეთი კითხვა არაბუნებრივად მოგვეჩენოს. მაგრამ მისი დაყენება გამოწვეულია აუცილებლობით. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი სასამართლო უარს ამბობს სარჩელის მიღებაზე იმ სახლის გაყოფის ან მასზე საკუთრების უფლების დამტკიცების შესახებ, რომელიც საბანკო სესხის დახმარებით აშენდა.

ეს პრაქტიკა ეყრდნობოდა იმ დებულებას, თითქოს სესხის მთლიანად დაფარვამდე მენაშენე არ არის სახლის მესაკუთრე, რომ სახლი სახელმწიფოს ეკუთვნის და სარჩელი ასეთ სახლზე საკუთრების უფლების დამტკიცების შესახებ სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება. ეს სარჩელის მიუღებლობის უსაფუძლო სრგუმენტია. დავა სახლმფლობელობის შესახებ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ დავის და განხილულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ.

საბანკო სესხის დახმარებით აშენებული სახლის ყიდვა-გაყიდვა შეიძლება მოხდეს ხელშეკრულებისათვის აუცილებელი ფორმის დაცვით, აგრეთვე მის დაუცველადაც. პირველ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ როცა სანოტარო კანტორა, მაცხედავად იმისა, რომ არსებობს სახლზე აკრძალვა, შეცდომით ამოწმებს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას. შემდეგ კი ეს ხელშეკრულება რევისტრირდება კომუნალურ არგანოებში და იგი ძალაში შედის. უმეტესად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა სახლის ყიდვა-გაყიდვა ხდება სათანადო გაფორმების გარეშე. როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში გარიგება უნდა ჩაითვალოს კანონსაჭინააღმდეგოდ და ბათილად.

მაგრამ ნიშნავს ყოველივე ეს იმას, რომ საბანკო სესხის დახმარებით აშენ-



ნებული სახლის გაყიდვის უფლება მენაშენეს საერთოდ არა აქვს სესტრის ფარვამდე? ჩვენი აზრით, არა. მენაშენეს უფლება აქვს ასეთი სახლი გაასხვისოს თუ ამის თანახმა გამსესხებელი. რომ არაფერი ვთქვათ საგირავნო სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც მენაშენესა და გამსესხებელს შორის წარმოიშობა, და რომლის ძალითაც მენაშენე შეზღუდულია სახლის განკარგვის უფლებაში, გამსესხებლის თანხმობის აუცილებლობა სახლის გასხვისებაზე გაპირობებულია მოქალაქესა და ბანქს შორის დადებული ხელშეკრულებითაც. ხელშეკრულება დადებულია მენაშენესა და გამსესხებელს შორის და მენაშენის შეცვლა სხვა პირით, უნდა მოხდეს მისი კონტრაგენტის თანხმობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ირლევა გამსესხებლის ნება და ამიტომ ხელშეკრულება ნამდვილად არ ჩაითვლება.

მენაშენეს არა აქვს უფლება ბანქის თანხმობის გარეშე გააჩუქოს სახლი სესხის დაფარვამდე. თუ ეს მოხდა, ბანქს შეუძლია სასამართლოში შეიტანოს სარჩელი ამ ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. სასამართლომ მხარეები აუცილებლად უნდა მოიყვანოს პირვანდელ მდგომარეობაში, თუნდაც ახალი მესაკუთრე კასრულობდეს დარჩენილი სესხის გადახდას.

პარქტიკაში ხშირად ჩუქების ხელშეკრულება იდება გარკვეული პირობის შესრულების მიზნით. იგი არ უნდა გულისხმობდეს მატერიალური სარგებლობის მიღებას გამჩუქებლის მიერ, რადგან ეს ეწინააღმდეგება ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხსიათს. ასეთ პირობად შეიძლება ჩაითვალოს ბანკისაგან მიღებული სესხისაგან დარჩენილი ვალის გადახდა. მაგრამ ხელშეკრულება შემდეგში სადავო რომ არ გახდეს, მის დადებაზე თანხმობა უნდა განაცხადოს ბანქმა. თუ ბანქი თანახმა იმისა, რომ სესხის ხელშეკრულებაში მისი კონტრაგენტი შეიცვალოს, ამასთან თუ დასაჩუქრებული პირი იკისრებს ვალდებულებას, რომ გადაიხდის დარჩენილ სესხს, შეიძლება სესხი გადაფორმდეს ასეთ პირზე.

იგივე მდგომარეობა გვაქვს, როცა საკითხი უხება საბანკო სესხის დახმარებით აშენებული სახლის გადაცემას სხვა პირისათვის სიკვდილამდე რჩენის პირობით. ავაღმყოფმა და მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფმა მესაკუთრემ შეიძლება მოინდომოს სახლის გასხვისება გარდაცვალებამდე რჩენის პირობით. ამაში არაფერია კანონისაწინააღმდეგო და სპეცულაციური, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ფიქრობს<sup>4</sup>. მაგრამ ბანქის თანხმობა აქაც საჭიროა. ასეთ შემთხვევაში ბანქი, როგორც წესი არ ამბობს უარს სახლის გასხვისებაზე. იგულისხმება, რომ პირი რომელმაც იყიდრა სახლის გამსხვისებლის რჩენა, გადაიხდის საბანკო სესხსაც. ასეთ პირზე სახლის მესაკუთრის ნაცვლად გადაფორმდება სესხი და ის ჩაებმება ბანკთან სასესხო ურთიერთობაში.

ამგვარად, საბანკო სესხის დახმარებით აშენებული სახლის გასხვისებისათვის საჭიროა გამსესხებლის — ბანქის ან სამეურნეო ორგანიზაციის თანხმობა. გამსესხებელი დაინტერესებულია საქმის მსვლელობით და მის სურვილს ანგარიში უნდა გაეწიოს. მაგრამ ისმება კითხვა: შეიძლება თუ არა დაშვებული იქნეს გამონაკლისი?

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დაკრედიტების წესებით არავითარი გამონაკლისი არ დაიშვება. ამ ნორმიდან გამომდინარე, სასამართლოს არა:

<sup>4</sup> И. Л. Брауде, Право на строение и сделки по строениям. М., 1954, стр. 139; М. В. Гордон, Лекции по советскому гражданскому праву. Харьков, 1960, стр. 24.

აქვს უფლება ნამდვილად აღიაროს სახლის თაობაზე დადგებული გარიგება თუ ბანკი ამის წინააღმდეგია. სასამართლო პრაქტიკა ძირითადად ამ დებულებიდან გამომდინარე აღიარებს ბანკის „ვეტოს“ უფლებას<sup>5</sup>.

ჩვენი აზრით ბანკს არ აქვს „ვეტოს“ უფლება. მის სურვილს სასამართლომ უველა შემთხვევაში არ უნდა გაუწიოს ანგარიში. ზოგჯერ სესხის დახმარებით აშენებულ სახლზე სხვა პირისათვის საკუთრების უფლების დამტკიცებისას ბანკის სურვილი მხედველობაში მისაღები არ არის. სწორად მიუთითებენ ა. სერებრიაკოვი<sup>6</sup> და ი. ჩუნარევი<sup>7</sup>, რომ ბანკის წინააღმდეგობა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სარჩელის უარყოფას იმ შემთხვევაში, თუ ამით არ ირლევა ბანკის ინტერესები, მაგრამ, სამწუხაროდ ამ შეხედულებამ სათანადო განვითარება ვერ პოვა ლიტერატურაში.

ბანკის თანხმობა საჭიროა არა მატომ მაშინ, როცა საბანკო სესხის დახმარებით აშენებული სახლის გასხვისება ხდება, არამედ მაშინაც როცა ხდება ასეთი სახლიდან წილის გამოყოფა ან უფრო სწორად სახლის ნაწილზე სხვა პირისათვის საკუთრების უფლების დამტკიცება. მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში აქ დასაშვებია ბანკის თანხმობის გარეშე ასეთი უფლების დამტკიცება.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მენაშენესთან ერთად სახლის მშენებლობაში მონაწილეობს სხვა პირი, რომელსაც აღმასკომს მიერ არა აქვს გამოყოფილი მიწის ნაკვეთი და მისი მონაწილეობა მშენებლობაში დამყარებულია მხოლოდ საშინაო გარიგებაზე, რომელიც იღება მენაშენესა და ასეთ პირს შორის.

უმრავლეს შემთხვევაში ასეთ საერთო მშენებლობას აწარმოებენ საოჯხო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობით დაკავშირებული პირები. სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ თანამენაშენება პრეტენზიას აცხადებენ სახლის ნაწილზე და სასამართლოს სთხოვენ სახლზე მათი საკუთრების უფლების აღიარებას. ამ საკითხზე ერთიანი აზრი არ არის არც ლიტერატურაში და არც სასამართლო პრაქტიკაში<sup>8</sup>.

ერთობლივ მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობათა რთული ხასიათისა და მათი სხვადასხვა ბუნების გამო არ შეიძლება ამ საკითხის ერთგვაროვანი, ერთხელ და სამუდამოდ დაგენილი წესის მიხედვით გადაწყვეტა. ყოველი კონკრეტული შემთხვევა თავისებურ მიღებობს. საჭიროებს, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც შეიძლება ზოგიერთ საერთო დებულებათა დადგენა.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა დაგილობრივი საბჭოს აღმასკომის უფლებამოსილებაა. კომუნალურ განყოფილებასა და ცალკეულ მოქალაქეებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოქალაქეებს გამოყოფათ მიწის ნაკვეთი სახლის მშენებლობისათვის. რამდენადაც ეს ხელშეკრულება ორმხრივია, ამიტომ მისი რო-

<sup>5</sup> «Практика Верховного суда СССР» № 3, 1951, стр. 33.

<sup>6</sup> А. Серебряков, О праве собственности на строение, «Советская юстиция», 1958, № 7, стр. 69.

<sup>7</sup> Ю. Чунарев, В интересах охраны жилищных прав граждан, «Социалистическая законность» 1960, № 7, стр. 37.

<sup>8</sup> Л. Брауде, Г. Орлинский, О праве собственности на строение, «Советская юстиция» 1958, № 7, стр. 65—68; М. Маслов, Судебные споры в связи с совместным строительством индивидуальных жилищных домов «Советская юстиция» 1958, № 8, стр. 56.



მელიმე პუნქტის ან პირობის შეცვლაზე თანხმობა უნდა განაცხადოს ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარემ. ე. ი. მშენებლობაში თანამენაშენის სახით პირის მონაწილეობაზე თანახმა უნდა იყოს თვითონ მენაშენე და აგრეთვე აღმასკომიც. აღმასკომის თანხმობა იმაში გამოიხატება, რომ მან უნდა გააკეთოს წინანდელი ხელშეკრულება და დადოს ახალი, ორივე პირთან, ან გააკეთოს შესაბამისი წარწერა ადრინდელ ხელშეკრულებაზე, რომ მშენებლობაში მესამე პირის მონაწილეობასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელზეც გადადის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

ამგვარად, არაფერი უდგას წინ მოქალაქის სურვილს მიიღოს მონაწილეობა სხვა პირისათვის გამოყოფილ მიწას ნაკვეთზე წარმოებულ მშენებლობაში, თუ ამ მონაწილეობას გააფორმებს დადგვნილი წესით. მას შემდეგ კი, როცა ქართი სახლის მშენებლობა დამთავრდება, დაინტერესებული პირი უფლება-მისილია მიმართოს შესაბამისი განცხადებით აღმასკომის. თუ მოქალაქეებს შორის არ არსებობს არავითარი დავა ერთად აშენებული სახლის თაობაზე საკითხის გადაწყვეტა აღმასკომის კომპეტენციაში. შედის და სასამართლოს უფლება არა აქვს მიიღოს წარმოებაში ასეთი საქმე. თუ თანამენაშენებს შორის წამოიჭრება დავა სახლის ერთობლივ მშენებლობაში მათი მონაწილეობის წილის თაობაზე, აგრეთვე საკუთრების უფლების შესახებ ასეთი დავა, როგორც სამოქალაქო შეიძლება გადაწყვეტილ იქნას სასამართლოს მიერ. მაგრამ როგორი პოზიცია უნდა დაიკავონ სასამართლოებმა მსგავსი საქმეების გადაწყვეტისა? სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1962 წლის 31 ივნისის დადგენილებით განმარტა, რომ საერთო წესის მიხედვით სხვა პირის მონაწილეობა პირადი შრომითა და სახსრებით იმ სახლის მშენებლობაში, რომელსაც აწარმოებს მენაშენე მისთვის გამოყოფილ მიწას ნაკვეთზე, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ სახლზე მენაშენესთან ერთად მის თანამესაკუთრედ აღიარებას. ასეთ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ გაწეული ხარჯების ანაზღაურება<sup>9</sup>. ეს საერთო წესია. მაგრამ შეიძლება თუ არა ამ საერთო წესიდან გამონაკლისი, ე. ი. შეიძლება თუ არა თანამენაშენე ჩაითვალოს სახლის ნაწილის მესაკუთრედ? შეიძლება, მხოლოდ ცალკეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში. სასამართლოს შეუძლია თანამენაშენე აღიაროს მენაშენესთან ერთად აშენებული სახლის თანამესაკუთრედ თუ: აღმასკომი თანახმა მიწის ნაკვეთის გამოყოფის ხელშეკრულებანი შეიტანოს სათანადო ცვლილებები, მენაშენესა და თანამენაშენეს შორის არსებობს ხელშეკრულება სახლზე საერთო საკუთრების შექმნის შესახებ და თანამენაშენეს პირად საკუთრებაში არ გააჩნია სხვა სახლი ან მისი ნაწილი.

მენაშენის მიერ ბანკიდან სკსხის მიღების ფატი კიდევ უფრო ართულებს იმ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა მენაშენეებს შორის ერთად აშენებული სახლის თაობაზე. თუ აღნიშნულ პირებს შორის არ არის დავა, სკსხის დაფარვის მოვალეობა მენაშენეს აწევს იმ შემთხვევებშიაც კი, როცა აღმასკომი თანახმა მენაშენისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის ხელშეკრულების შეცვლაზე და თანამენაშენე ფაქტიურად ხდება აშენებული სახლის თანამესაკუთრე. ასეთ ვითარებაში ბანკსაც შეუძლია შეცვალოს მენაშენესთან დადებული ხელშეკრულება და თანამენაშენესთანაც ჩაებას სასესხო ურთიერთობაში.

<sup>9</sup> Сборник постановлений пленума Верховного Суда СССР. 1924—1963 г., М., 1964, стр. 17.

მენაშენესა და ონამენაშენეს შორის დაგვის არსებობისას ყურადღების უფლების და მიეჭცეს იმ გარემოებას, არსებობს თუ არა თანამენაშენის საკუთრების უფლების აღიარებისათვის საჭირო ზემოთხამოთვლილი პირობები. ეგანსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ პირებმა სახლზე საერთო საკუთრების შექმნის შესახებ დადებული ხელშექრულება ფაქტიურად შეასრულეს. ამიტომ როცა საკითხი ეხება თანანენაშენისათვის ფაქტიურად არსებული საკუთრების უფლების იურიდიულ აღიარებას ერთად აშენებული სახლის ნაწილზე, გამსესხებლის — ბანკის ან სამეურნეო ორგანიზაციის წინააღმდევობა არ შეიძლება თანამენაშენის სარჩელის უარყოფის საფუძველი გახდეს. სხვა შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება სესხის დაფარვამდე სახლის ნაწილზე სხვა პირისათვის საკუთრების უფლების დამტკიცებას სასამართლომ აუცილებლად მხედველობაში უნდა მიიღოს გამსესხებლის სურვილი.

როგორია საბანკო სესხის დამარებით აშენებული სახლის სამართლებრივი მდგომარეობა, როცა სახლი მეუღლების თანაზიარი საკუთრების ობიექტია? შეიძლება თუ არა მეუღლეს უარი ეთქვას სახლის ნაწილზე საკუთრების უფლების დამტკიცებაზე იმ მოტივით, რომ სახლი აშენებულია ერთ-ერთი მეუღლის სახელზე გაფორმებული სესხის დამარებით და ამიტომ მის დაფარვამდე არ შეიძლება გასხვისება? რა შემთხვევაში უნდა გაუწიოს სასამართლომ ანგარიში ბანკის სურვილებს?

საცხოვრებელი სახლი მეუღლეთა საერთო თანაზიარი ქონებაა, ამიტომ მისი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა უნდა მოხდეს მეუღლეთა თანხმობით. მათ ამ ქონების მიმართ ერთნაირი უფლებები გააჩნიათ. აც ერთ მეუღლეს არ შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა<sup>10</sup>. მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ რომელი მეუღლის სახელზე სახლი გაფორმებული.

მეუღლებს არა მარტო ერთნაირი უფლებები წარმოეშობათ საერთო საკუთრების მიმართ, არამედ ერთნაირი მოვალეობებიც ეყისრებათ. ეს მოვალეობები, უპირველეს ყოვლისა. თავს იჩენს ოჯახის მიზნებისათვის აღებული ვალისათვის საერთო პასუხისმგებლობაში. ვალი, რომელიც აღებულია მეუღლების საერთო მეუღლეობის წარმართვისათვის წარმოადგენს საერთო ვალს და მისი დაუფარველობის დროს გადახდევინება მიქცეულ იქნება მეუღლეთა საერთო ქონებაზე. იმას მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვის მიერ არის აღებული ვალი. თუ ეს სესხ, მაშინ სწორად უნდა ჩაითვალოს თუ არა სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვით, თუ საცხოვრებელი სახლი აშენებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ ბანკიდან მიღებული სესხის დამარებით, მის დაფარვამდე სასამართლოს ბანკის ნებართვის გარეშე არ შეუძლია აღიაროს მეორე მეუღლე აშენებული სახლის თანამესაკუთრებიდ და თითქოს მეორე მეუღლეს არ შეუძლია მოითხოვოს საკუთრების უფლების აღიარება ასეთი სახლის ნაწილზე<sup>11</sup>.

ასეთი პრაქტიკა არ არის სწორი. მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების არსიდან გამომდინარე — ორივე მეუღლე სარგებლობს თანაბარი უფლებით. მეორე მეუღლესაც გააჩნია საკუთრება საცხოვრებელ სახლზე. იგი მხოლოდ მოითხოვს მის საკუთრებაში ფაქტიურად არსებულ სახლზე საკუთრების უფლების აღიარება ასეთი სახლის ნაწილზე.

<sup>10</sup> Р. А. Дзиба, Равенство прав супругов по советскому семейному праву. Казань, 1963, стр. 52.

<sup>11</sup> «Судебная практика Верховного суда СССР» 1951, № 6, стр. 34.

ბის იურიდიულ აღიარებას. ამ მოთხოვნას საფუძვლად უდევს არა ვალდებულების ლებითი სამართლის, არამედ საკუთრებისა და საოჯახო სამართლის ნორმები. იმ ფაქტს, რომ სახლი აშენებულია საბანკო სესხის დახმარებით ამ დროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მეუღლეთა საერთო საკუთრებაში შეძენილი ქონება გადადის იმ სახით, რა სახითაც იგი შეიძინება, უ. ი. განსახილველ შემთხვევაში სახლი მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში გადადის იმ აკრძალვით, რომელიც დაწესებულია სესხის დაფარვამდე. საბანკო სესხი წარმოადგენს მეუღლეთა საერთო ვალს, და მისი დაფარვის პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მეღლეს. გადახდევინება მიქცეულ უნდა იქნეს არა მარტო მოვალე — მეუღლის, არამედ ორივე მეუღლის საერთო ქონებაზე.

გამსესხებლის წინააღმდეგობა მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როცა საცხოვრებელი სახლი იყოფა მეუღლეებს შორის განქორწინების დროს. სახლი, მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების ობიექტიდან გადადის ყოფილ მეუღლეთა საერთო წილადობრივ საკუთრებაში. სახლი მთლიანად წარმოადგენს გირავნობის ობიექტს. სესხის დაფარვის ვალდებულება კვლავაც რჩებათ ყოფილ მეუღლეებს. დარჩენილი სესხი ბანკის თანხმობით შეიძლება თანაბარწილად გადაფორმდეს მეუღლებზე. გამსესხებელს უფლება აქვს არ დაუშვას მეორე მეუღლეზე სესხის გადაფორმება, თუ არ არსებობს რეგისტრირებული ქორწინება და ის წინამდგრები, რაც საფუძვლად ედება საერთო თანაზიარი საკუთრების წარმოშობას. ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლოს მიერ მეუღლეებს შორის წილის განსაზღვრისას. თუ იგი უურადღების გარეშე იქნა დატოვებული, სესხის მთლიანად დაფარავს ის მეუღლე, რომელიც ბანკთან იმყოფება სასესხო ურთიერთობაში, ამ უკანასკნელს კი შეუძლია რეგრესის წესით გაახდევინოს სესხის ნაწილი მის ყოფილ მეუღლეს.

აქედან გამომდინარე არასწორად უნდა ჩაითვალოს კ. ზამიატინას ზოგიერთი წინააღმდება და კონსტრუქცია. მოპყავს რა სასამართლო პრაქტიკის მაგალითი იგი ასკვნის, რომ „სესხზე, რომელიც აღებულია ერთი მეუღლის მეტ, თუნდაც იგი აღებული იყოს ოჯახის საერთო ინტერესებისათვის პასუხს აგება ვალის ამღები მეუღლე და არა მეორე მეუღლე“<sup>12</sup>. ეს მცდარი დებულებაა და არასწორად წარმოვებული მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ნამდვილ სურათს. მასთან, ამ თეზისის გადმოცემისას კ. ზამიატინა იმოწმებს ნ. რაბინოვიჩს, რომელსაც სპეციალური შრომა აქვს მიძღვნილი მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობებისადმი. მაგრამ ნ. რაბინოვიჩი თავის შრომაში პირიქით აღნიშნავს, რომ ერთი მეუღლის მიერ ოჯახის ინტერესებისათვის აღებული ვალი ითვლება მეუღლეთა საერთო ვალად და მასზე პასუხისმგებელია ორივე მეუღლე<sup>13</sup>.

ამ დებულებიდან გამომდინარე კ. ზამიატინა აკეთებს სხვა მცდარ დასკვნასაც. მისი აზრით არ შეიძლება დაეკისროს საბანკო სესხის დაფარვა იმ მეუღლეს, რომელიც ბანკთან არ იმყოფება უშუალოდ სასესხო ურთიერთობაში, რომ ასეთი სესხის დაფარვის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმ მეუღლეს,

<sup>12</sup> К. Г. Замятин, Правовые вопросы кредитования жилищного строительства граждан. «Ученые записки Пермского государственного университета» т. XIX, вып. 4, 1961, стр. 29.

<sup>13</sup> Н. В. Рабинович, «Личные и имущественные отношения в советской семье», Л., 1952, стр. 49.

რომლის სახელზეც გაფორმებულია სესხი. იგი აკრიტიკებს ლ. კაჩკინსა და ნ. მაკაროვას იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ბანკის წინაშე სესხის თაობაზე პასუხისმგებლად თვლიან ორივე მეუღლეს<sup>14</sup>. კ. ზამიატინს ამ შეხედულებათა გაზიარება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

შეუძლებელია აგრეთვე ეზავიზიაროთ ი. ჩუნარევის მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ ბანკის თანხმობა არ არის აუცილებელი სახლის გაყოფის თაობაზე. სასამართლოს შეუძლია გაყოს სახლი და ბანქს დაავალოს გადააფორმოს სესხის ნაწილი მეორე მეუღლეზე<sup>15</sup>. მართალია სახლის გაყოფა ასეთ ვითარებაში შესაძლებელია, მაგრამ არასწორია ბანკის დაგალდებულება გადააფორმოს სესხი სხვა პირზე. ეს ეწინააღმდეგება ხელშეკრულების არსს.

საერთო პრინციპების მიხედვით უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა იგი ეხება კომლის გაყოფისა და კომლიდან გამოყოფის დროს საცხოვრებელი სახლის სამართლებრივი მდგომარეობის გარკვევას. ვინაიდან ახალ კომლს ან კომლიდან გამოყოფილ პირს საკუთრების სამართლს საფუძველზე ფაქტიური უფლება აქვს საცხოვრებელ სახლზე — გამსესხებლის წინააღმდეგობას მათვის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, ანგარიში არ უნდა გაეწიოს.

ზოგჯერ მენაშენეს სურს გაასხვისოს სახლის ნაწილი მაშინ, როცა სესხი ძირითადად უკვე დაფარულია, ხოლო დარჩენილი ნაწილის უზრუნველსაყოფად სასვებით საკმარისია მენაშენის საკუთრებაში დამტკიცებული სახლის ნაწილი. დაკრედიტების წესების მოთხოვნით ამ დროსაც საჭიროა გამსესხებლის ნებართვა. გამსესხებელი შეიძლება თანახმა არ იყოს ასეთი გარიგების დადებაზე, თუმცა გამსესხებლის ინტერესები დაცული იქნება სესხის დროული დაბრუნებით. ამიტომ გამსესხებლის წინააღმდეგობა სახლის ნაწილის გასხვისებაზე სარჩელის დაჭმაყოფილების კანონიერი საფუძვლების არსებობისას, მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული.

როგორც ვხედავთ ზოგჯერ ის გარემოება, რომ გამსესხებელი თანახმა არ არის მენაშენის მიერ სახლის გასხვისებასთან დაკავშირებული გარიგების დადებისა, ეწინააღმდეგება მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს. ამიტომ სასურველია გამსესხებლის უფლება თანხმობის მიცემაზე როცა გამსესხებლის ინტერესებს არავითარი ზიანი არ ადგება, შემოიფარგლოს განსაზღვრული ჩარჩოებით. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დაკრედიტების წესებში აუცილებელია ისეთი ნორმის შეტანა, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ მენაშენის უფლება აქვს სასამართლო წესით გაასაჩივროს გამსესხებლის უარი.

ასეთია ძირითადად საბანკო სესხის დახმარებით აშენებული საცხოვრებელი სახლის სამარტინივი მდგომარეობა.

<sup>14</sup> **Л. Качкин, Н. Макарова**, Некоторые вопросы судебной практики по делам о праве общей собственности на жилые строения. «Советская юстиция». 1957, № 5, стр. 32.

<sup>15</sup> **Ю. Чунарев**, В интересах охраны жилищных прав граждан, «Социалистическая законность», 1960, № 7, стр. 38.

4. საბჭოთა სამართლი № 6.

# სეირცყოთ ზედამხედველობა და კონფიდენციალურობა შრომის კანონმდებლობის გაცვისადმი

ლ. ადგიჯილი

მოზარდთა შრომის მომწერიგებელი სამართლებრივი ნორმები, რომელიც აწესებენ განსაკუთრებულ შეღავათებს, უპირატესობებსა და გარანტიებს, თითქმის ყოველთვის სრულდება ნებაყოფლობით — ზედამხედველი და საკონტროლო ორგანოს ან თანამდებობის პირთა ჩაუტევლად. საწარმოთა და უწყებათა ხელმძღვანელების უმრავლესობა ზუსტად და უნაკლოდ ასრულებს მოზარდთა შრომის კანონმდებლობის ნორმებს, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდობის ჯანმრთელობისა და სხვა არსებითი ინტერესების (კომუნისტური აღზრდა, ურომასთან სწავლის შეთავსება) დაცვას.

არასრულწლოვანთა შრომის კანონმდებლობის დარღვევა ზოგჯერ მოზარდის მიერ დანაშაულებრივ ქმედობათა ჩადენის ერთ-ერთი მიზეზია. ამიტომ თუ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობა სოციალისტურ საზოგადოებაში დაუშვებელია საერთოდ, განსაკუთრებით შეუწყნარებელია იგი მოზარდთა შრომის დაცვის სფეროში.

სამწუხაროდ, ზოგიერთ საწარმოში მაინც ეხვდებით არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტებს, კერძოდ, სამუშაოზე მიღება-დათხოვნის, შრომითი გამოყენებისა და შრომის შეღავათიანი პირობების უზრუნველყოფის სფეროში<sup>1</sup>.

მოზარდთა შრომითი უფლებების დარღვევის უმთავრესი მიზეზებია საწარმოს ხელმძღვანელობის არაგულისხმიერი დამკიდებულება ახალგაზრდობის ინტერესებისადმი და არასრულწლოვანთა შრომისადმი ეკონომიური ეფექტურობის საზომით მიღომა. გარდა ამისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ისიცაა, რომ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელმა კარგად არ იცის თუ რა უპირატესობებს, შეღავათებსა და გარანტიებს ანიჭებს კანონმდებლობა მოზარდებს<sup>2</sup>.

ზოგჯერ მოზარდთა შრომითი უფლებების დარღვევის მიზეზია ის, რომ საწარმოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული) სათანადოდ არ ზრუნავენ ახალგაზრდობის შრომის პირობების დაცვისათვის.

ეს გარემოებანი განაპირობებენ მოზარდთა შრომითი უფლებების დაცვისადმი განსაკუთრებული ზედამხედველობის განხორციელების საჭიროებას. ამჟამად ასეთი სპეციალური ორგანო არ არსებობს. მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნე-

<sup>1</sup> არის შემთხვევები, როდესაც მოზარდებს სამუშაოზე იღებენ იმ პირობით, რომ ისინი საკუთარი სურვილით „იმუშავებენ შეღავათების გარეშე“ (მაგალითად, 7 საათინი სატესაო დღის პირობებში), საზეგანვევით სამუშაობზე, რამის ცელში, მძიე და მავნე პირობებიან სამუშაოებზე და ა. შ.) როგორც სრულწლოვანი პირები.

<sup>2</sup> ლ. ა. ნიკოლაევა სახელით სწორად მოუთოვებს, რომ ხშირად მოზარდთა შრომის კანონების დარღვევა შრომის კანონმდებლობის არასაქათ ცოდნის შედეგაა. იხ. **Л. А. Николаева,** Охрана труда женщин и подростков по советскому трудовому праву, 1958 წ., გვ. 39.

ლოვანი მოვალეობა ყველა იმ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანოებისა, რომლებიც მოწოდებული არაან უზრუნველყონ კანონიერების დაცვა შრომითი ურთიერთობის სფეროში არის, კერძოდ, მოზარდთა შრომის დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება.

უმაღლესი სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება კანონების ზუსტად შესრულებისადმი ეკისრება პროკურატურას.<sup>3</sup> პროკურატურა „სარკავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ დებულების“ თანახმად ამ მოვალეობას ახორციელებს იმით, რომ ზედამხედველობას უწევს: а) ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ კანონთა ზუსტად შესრულებას, ბ) სამინისტროების, უწყებების, მათდამი დაწევემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოცემული აქტების ზუსტ შესაბამისობას სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებას და კანონებთან, აგრეთვე მინისტრთა საბჭოების დადგენილებებთან.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურატურის მიერ მოზარდთა შრომის კანონმდებლობის შესრულების შემოწმებას. ეს შემოწმება საშუალებას იძლევა სრულად გამოვლინდეს კანონმდებლობის ყოველი დარღვევა. უკანასკნელ ხანს მუშაობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მოზარდების სამუშაოზე მიღების და მათი შრომის პირობების შესახებ კანონმდებლობის შესრულებას პროკურატურის ორგანოები ღიღ ყურადღებას აქცევენ. პროკურორები დროულად აპროტესტებენ მოზარდთა შრომის კანონების საწინააღმდეგო იმ აქტებს, რომელთაც ადგილობრივ ორგანოები ან საწარმოთა ხელმძღვანელები გამოსცემენ<sup>4</sup>. კანონთა დარღვევების, მათი მიზეზების შესახებ პროკურორებს შეაქვთ წარდგინებები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

მაგრამ არასრულწლოვანთა შრომის მომწესრიგებელი კანონმდებლობის საპროკურორო ზედამხედველობა ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფას და გაუმჯობესებას. რიგ შემთხვევებში პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად ახორციელებენ ზედამხედველობას საერთოდ შრომის კანონმდებლობისა და, კერძოდ, მოზარდთა შრომის კანონების დაცვისადმი.

მოზარდთა შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი საპროკურორო ზედამხედველობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ მიგაინია პროკურატურის ორგანოებში შეიქმნას არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილებები საზოგადოებრივ საწყისებზე. ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში ასეთი განყოილებები უკვე შექმნილია და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. ისინი ღიღ დახმარებას უწევენ პროკურატურას მოზარდთა შრომითი უფლებების დარღვევა-

3. პროკურატურატურის ამ მოვალეობაში შედის საერთოდ შრომის კანონმდებლობის, კერძო, მოზარდთა შრომის დაცვის შესახებ ნორმების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება.

4. ასეთი კანონსაწინააღმდეგო აქტები პირობით შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: а) აქტები, რომელთაც ზოგადი ხსიათი აქვთ (მუდმივად და მრავალ პირთა მშეართ გამოიყენება), ბ) აქტები, რომლებიც ერთჯერად, ცალკეულ პირთა მიმართ გამოიყენება, ე. ი. ინდივიდუალური ხსიათის არიან.

5. საპროკურორო ინგრენით მუშაობის პარტიკულარუ გვიჩვენებს, რომ წარდგინებები შრომის კანონმდებლობის დამტკიცება თანამდებობის პირთა მიმედველების შესახებ შეტანილ უნდა იქნას ზემდგომ ინგრენით თანამდებობის პირთან.



ვათა გამოვლენისა და აღმოფხვრის საქმეში. მიზანშეწონილია აგრეთვე კვლელა რაიონში შემოღებულ იქნას პროცესურორის საზოგადოებრივი თანამდებობა მოზარდთა შრომის დაცვის დარღვევი. მის მოვალეობას უნდა შეადგენდეს არასრულწლოვანი მუშა-მოსამსახურების შრომითი უფლებების დაცვი-სადმი ზედამხედველობა და გამოვლენილ დარღვევათა თავიდან აცილებისათვის ღონისძიებათა შემუშავება.

არასრულწლოვანთა შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი საკონტროლო ფუნქციას ასრულებენ სახალხო სასამართლოებიც. ამას ისინი ორი მიმართულებით ახორციელებენ: 1) სისხლისა და სამინისტრაცია საქმეთა განხილვისას თუ დადგინდება, რომ საწარმოს აღმინისტრაცია არღვევს მოზარდთა შრომის კანონმდებლობას, სასამართლოს გამოაქვს კერძო დადგენილება და აყენებს საკითხს გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ. თუ საწარმოს აღმინისტრაციამ არ შესარულა კერძო დადგენილება, მაშინ სასამართლო აყენებს საკითხს ბრალეულ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ; 2) კონტროლს უწევს მოზარდთა შრომითი უფლებების დაცვას საწარმოებში. ამას სასამართლო ახორციელებს როგორც დამოუკიდებლად, ისე სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

შრომის სამართლის საქმეთა განხილვისას სახალხო სასამართლოს (გარდა იმისა, რომ თავისი გადაწყვეტილებით აღადგენს დარღვეულ უფლებებს) ბრალეულ თანამდებობის პირთა მიმართ შეუძლია: ა) დასვას საკითხი დისკიპლინური წესით დასხის შესახებ, პოლო კანონმდებლობის ბოროტად დარღვევისას — სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ; ბ) გამოიტანოს დადგენილება იმ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც საწარმომ განიცადა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლებისას იძულებითი განაცლების გადახდის შედეგად.

მოზარდთა შრომითი უფლებების დაცვისადმი კონტროლს ახორციელებენ აგრეთვე შრომითი რესურსების გამოყენების რესპუბლიკური და იდგილობრივი ორგანოები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 2 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად შრომითი რესურსების ჟამოყენების ორგანოები<sup>6</sup> ვალდებული არიან სისტემატურად გაუწიონ კონტროლი წარმოებაში იმ მუშების სწორ შრომით გამოყენებას, რომლებიც იგზავნებიან შრომითი მოწყობის წესით.<sup>7</sup> გარდა ამისა, ეს იმანები კონტროლს უწევენ იმას, თუ როგორ ასრულებენ სამუშაოები თავიანთ მოვალეობას — შეუქმნან საწარმოებში და მშენებლობებზე გაგზავნილ პირებს შრომის, საბინაო და საყოფაცხოვერებო პირობები.

მოზარდ მუშა-მოსამსახურეთა შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე

<sup>6</sup> დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ, „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული“, 1967, № 3, მუხლი 15.

<sup>7</sup> ჩევნი რესპუბლიკის მასშტაბით აქეთი ორგანო შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი, ავტონომიურ რესპუბლიკებში — შესაბამისი სამართველოები, სამხრეთ სერის ავტონომიურ ლექში — სათლეჭ საბჭოს აღმასკომისი სათანადო განყოფილება, ქ. თბილისში — საქართველოს საბჭოს აღმასკომის შესაბამისი განყოფილება, სხვა ქალაქებშია და რაიონებში — რემუნდებულები.

<sup>8</sup> შრომითი მოწყობის წესით სამუშაოზე გაგზავნილ პირთა მნიშვნელოვან ნაწილს მოზარდები შეაღვენენ.

საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების საქმეში დიდ როლს ასრულებენ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ დებულების<sup>9</sup> ანალიზიდან ჩანს, რომ მათი კონტროლი კრცელდება მოზარდთა შრომითი ურთიერთობის მთელ სფეროზე. ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის და შრომის უფლებების დაცვის დარგში არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას უფლება აქვს: ა) შრომითი დებულების რაიონულ (საქალაქო), საბჭოს აღმასკომში განსახილველად შეიტანოს მოზარდთა შრომითი მოწყობის და საწარმო-სწავლების მდგომარეობის საკითხები (დებულების მე-14 მუხლის „თ“ პუნქტი); ბ) მიიღოს საწარმოს აღმინისტრაციისათვის სავალდებულო დადგენილება არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ<sup>10</sup>. იმ შემთხვევაში თუ კომისიის დადგენილება არ სრულდება, მას უფლება აქვს სათანადო ორგანოს წინაშე დასვას საკითხი აღმინისტრაციის ბრალულ თანამდებობის პირისათვის დისკიპლინური სასჯელის დადების შესახებ (მე-14 მუხლის „ლ“ პუნქტი).

ნორმა, რომლის თანახმად კომისიის დადგენილებები სავალდებულოა საჭარმოების, დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის (დებულების მე-7 მუხლი) წარმოადგენს მნიშვნელოვან ნოველს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში. აღრე მოქმედ დებულებათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენდა ის, რომ მათში მსგავსი ნორმა არ იყო. კომისიებს არ ჰქონდათ უფლება მოზარდთა შრომის კანონების დამრღვევ პირთა მიმართ მიეღოთ ეფუძნული ზომები.

კომისიების კონტროლის განხორციელებაში მთავარია კონტროლის ისეთი ფორმა, როგორიცაა უშუალოდ საწარმოში მოზარდთა შრომითი უფლებების დაცვის მდგომარეობის შემოწმება. შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრის მიზნით კომისიამ სრულად უნდა გამოიყონოს მისთვის მინიჭებული უფლებები.

პრაქტიკაში, სამუშაოდ, ზოგიერთი კომისია კონტროლის აღნიშნულ ფორმას ნაკლებად იყენებს. იშვიათად აწყობენ ასეთ შემოწმებებს, ეფუძნულ ზომებს არ იღებენ კანონმდებლობის დარღვევათა ლიკვიდაციის, ბრალულ თანამდებობის პირთა პასუხისმგებაში მიცემისათვის. ხშირად არასრულწლოვანთა კომისიები არ ამოწმებენ სამუშაოზე გაგზავნილ პირთა საქმიანობას, შრომის წირობების დაცვის მდგომარეობას; საჭირო კონტროლს არ უწევენ კომისიების მიერ მიღებულ გაღაწყვეტილებათა შესრულებას. 1967 წელს ქ. თბილისის ლენინის სახ. რაიონის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ თანხმობა მისცა თბილისის უკარდული აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის აღმინისტრაციას რამდენიმე არასრულწლოვანის (ვალენკოვა, ბერუტაშვილი და სხვ.) გათავისუფლების თაობაზე. კომისია ალარ დაინტერესებულა ამ ახალგაზრდათა შემდგომი ბედით<sup>11</sup>.

კომისიების მხრივ კონტროლის შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთ პი-

<sup>9</sup> ამჟამად მოქმედი ასეთი დებულება ჩვენს რესპუბლიკაში დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრიზიდულობის 1967 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულებით, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1967, № 4, მუხლი 282.

<sup>10</sup> კომისიის ეს უფლება დებულებაში არაა პირდაპირ ჩაწერილი, მაგრამ დებულების საერთო შინაარსის და მისი მე-7, მე-14 მუხლების ანალიზი იძლევა საფუძველს ვთქვათ, რომ კომისიას აქვს ეს უფლება. მეტი გარკვეულობის მიზნით საჭიროა იგი ზუსტად იყოს ჩაწერილ დებულებაში.

<sup>11</sup> იხ. გაზ. „სახალხო განათლება“, 1968 წ. 10. IV.

რობად მიგვაჩნია ის, რომ კომისიის შემადგენლობიდან გამოიყოს ერთი-ორი (რაიონში ან ქალაქში მომუშავე მოზარდთა რიცხვის მიხედვით) საზოგადოებრივი ინსპექტორი, რომელსაც უშუალოდ დაევალება საწარმოებში მოზარდთა შრომის კანონთა შესრულებისადმი სისტემატური კონტროლის დაწესება.

შრობარდთა სამუშაოზე მიღების, მათი პროფესიული სწავლების, შრომითი გამოყენებისა და შრომის შეღავათიანი პირობების შესრულებაზე კონტროლის საქმეში განსაკუთრებით ღიღია პროფესიულ კავშირთა ორლი. პროფესიული არგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ უმკაცრესი კონტროლი მოზარდთა შრომითი მოწყობისა და შრომის დაცვის კანონების შესრულებაზე. ამ კონტროლს, როგორც ცნობილია, ახორციელებს პროფესიული ორგანიზაციათა ცველა რგოლი. აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ ადგილობრივი პროფორგანიზაციის კონტროლის საკითხს.

ყოველდღიურ უშუალო კონტროლს მოზარდთა შრომითი უფლებების დაცვისადმი ახორციელებს პროფესიულის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი. იგი ცველა სხვა საკონტროლო ორგანოსაგან განსხვავებით, გარდა მიმდინარე კონტროლისა, ახორციელებს მოზარდთა შრომითი უფლებების დაცვისადმი წინასწარ კონტროლსაც. ეს კონტროლი იმაში გამოიხატება, რომ სამუშაოზე არასრულწლოვანთა მიღების საკითხის განხილვის დროს საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი ამოწმებს დაცულია თუ არა მოზარდთან შრომის ხელშეკრულების დადების კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები.

პროფესიულის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის კონტროლს მთელი რიგი თვისებურებანი ახასიათებს: 1. კონტროლი მოიცავს მოზარდთა შრომითი უფლებების დაცვისადმი ზედამხედველობას (სამუშაოზე მიღების წინაპირობები, შრომის შეღავათიანი პირობები, სამუშაოდან გათავისუფლება და შემდგომი შრომითი მოწყობა), ხოლო გარევეული აზრით იგი შრომითი ურთიერთობის ფარგლებსაც სცილდება; 2. კონტროლს პროფესიულის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი განუხრელად უკავშირებს ამ კანონმდებლობის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ისეთი საკითხებისადმი ზედამხედველობას, რომელთა შეუსრულებლობა მოზარდთა შრომითი უფლებების სრულყოფილად დაცვას გამოირიცხავს. აქ მხედველობაშია კონტროლი აღმინისტრაციის მხრივ ისეთი მოვალეობების შესრულებაზე, როგორიცაა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა, მისი საბინაო-საყოფაცხოვრებო და სრულფასვანი დასვენებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა; 3. კონტროლი მუდმივი, ყოველდღიური, განუწყვეტილი ხასიათისაა. საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი საკონტროლო ორგანოთა შორის ცველაზე ახლოა წარმოებაში ჩაბმულ მოზარდებთან და შესაძლებლობა აქვს ყოველდღიურად შეამოწმოს ახალგაზრდობის შრომითი უფლებების დაცვის მდგომარეობა. აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისებურება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის კონტროლი ატარებს ყველაზე უფრო პროფილაქტიკურ ხასიათს და ყველაზე ეფექტურია ისეთი მდგომარეობის შესაქმნელად, რაც გამოირიცხავს კანონთა დარღვევის შესაძლებლობას. იგი ეფექტურად დარღვეულ უფლებათა დაუყოვნებლივ საღვენის თვალსაზრისითაც; 4. ამ კონტროლს მასობრივი ხასიათი აქვს, მის განხორციელებაში კომიტეტი იყენებს ფართო პროფესიულ აქტივს.

პროფესიულის საფაბრიკო, საქარხნო, ადვილობრივი კომიტეტი საქონტროლო ფუნქციებს ახორციელებს შრომის დაცვის კომისიის, შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორების, მოზარდთა შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორების მეშვეობით. მაგრამ მოზარდთა შრომის შესახებ ზოგიერთი ნორმის (15-დან 16 წლამდე პირთა სამუშაოზე მიღების, სამუშაოდან მოზარდთა გათავისუფლების ნორმები) შესრულებაზე კონტროლს უშუალოდ ახორციელებს თვით კომიტეტი. ეს მისი განუყოფელი უფლებაა. სხვა ორგანოს (შრომის დაცვის კომისია) ან პირის (საზოგადოებრივი ინსპექტორები) მეშვეობით ამ უფლების განხორციელება არ შეიძლება.

მოზარდთა შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორის უფლება-მოვალეობებს კონტროლის სფეროში განსაზღვრავდა საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს მიერ 1944 წლის 3 აგვისტოს დამტკიცებული „დებულება მოზარდთა შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორის შესახებ“. მაგრამ გარკვეულ პერიოდში ინსპექტორის მუშაობის შეწყვეტასთან დაკავშირებით ამ დებულებამ პრაქტიკულად დაკარგა მნიშვნელობა და იგი ამჟამად არ გამოიყენება.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით რჩევა მისცა პროფესიულთა საფაბრიკო, საქარხნო და სამშენებლო კომიტეტებს თავიანთ შემადგენლობაში იყოლიონ მოზარდთა შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორები. ეს რჩევა, კერძოდ, მიეცათ იმ საწარმოების და მშენებლობათა კომიტეტებს, სადაც არასრულწლოვან მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 25 და მეტია<sup>12</sup>.

მოზარდთა შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექციის აღდგენა დიდ როლს შესარულებს მოზარდთა შრომის დაცვისადმი კონტროლის განხორციელების გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვან ნოველად უნდა იქნას მიჩნეული ის, რომ მოზარდთა შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორი უნდა იყოს საფაბრიკო, საქარხნო, სამშენებლო კომიტეტის წევრი. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს, რომ ინსპექტორის საქმიანობა უფრო მოწნილი და ოპერატიული იყოს. საჭირო შემთხვევაში გამოვლენილ დარღვევათა გამოსწორების და აღმოფხვრის საკითხს იგი უშუალოდ დააყენებს კომიტეტში სხვა ინსტანციების გაუვლელად (განსხვავებით შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორისა, რომელიც მიმართავს სააქტოს უფროს საზოგადოებრივ ინსპექტორს საჭირო ღონისძიებათა მიღების მიზნით, ხოლო უკანასკნელი საწარმოს უფროს საზოგადოებრივ ინსპექტორს). პროფესიულთა საფაბრიკო, საქარხნო და სამშენებლო კომიტეტის წევრი — ითვლება მოზარდთა შრომის დაცვის საზოგადოებრივ ინსპექტორი, ზედამხედველობას გაუწევს ადმინისტრაციის მიერ მოზარდთა შრომითი უფლებების დაცვის ყველა სტადიას, დაწყებული მათი შრომითი მოწყობილან, სამუშაოდან გათავისუფლებამდე. ბევრგან ეს ინსპექცია შექმნილია და წარმატებითაც ასრულებს თავის საკონტროლო ფუნქციას.

მოზარდთა შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექციის აღდგენის დროს გასათვალისწინებელია ზოგიერთი ნორმის დაზუსტება და სრულყოფა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის, რომ საკავშირო პროფსაბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება სარეკომენდაციით ხსიათისა და საზოგადოებრივი ინსპექციის დაწესებას არ ითვალისწინებს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

<sup>12</sup> Сборник постановлений ВЦСПС. Октябрь — декабрь 1962 г. Профиздат, 1963, 88—78.



მოზარდთა შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექციის სრულყოფისათვის საჭიროდ მიგვაჩინა: 1) გამოიცეს საკავშირო აქტი, რომელიც გაითვალისწინებს აღნიშნული ინსპექციის შექმნის აუცილებლობას ყველა იმ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, სადაც მოზარდთა შრომის გამოყენება კანონმდებლობით არაა აკრძალული, 2) მიღებულ იქნას დებულება მოზარდთა შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორის შესახებ, რომელშიც დაწვრილებით იქნება განსაზღვრული ამ ინსპექტორის უფლება-მოვალეობანი.

მოზარდთა შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულებაზე ყოველდღიური საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში დიდია კომკავშირის როლი. კომკავშირულ ორგანიზაციათა კონტროლი იწყება არასრულწლოვანთა შრომითი მოწყობის სტადიაზევე და მათი შრომითი უფლებების დაცვის ყველა მხარეს მოიცავს. თავის საკონტროლო ფუნქციას კომკავშირი უმთავრესად აწარმოებს კომკავშირის კომიტეტთან არსებული ახალგაზრდობის შრომის და საყიფაცხოვრებო მუდმივი კომისიების, კომკავშირული შტაბების, „კომკავშირული პროექტორების“ მეშვეობით.

ამრიგად, მოზარდთა შრომის შესახებ კანონმდებლობის დაცვის კონტროლს ჩვენს ქვეყანაში ახორციელებენ როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები. არასრულწლოვანთა შრომის დაცვისადმი კონტროლს ნაწილობრივ ახორციელებენ, აგრეთვე, სპეციალური ორგანოები და თანამდებობის პირები (ახალგაზრდა მუშების გამოყენების კონტროლის სახელმწიფო ინსპექციები პროფესიულ-ტექნიკური განათლების რესპუბლიკურ ინგანერთან, მოზარდთა შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორები).

მოზარდთა შრომისადმი ზედამხედველობის შემდგომი გაუმჯობესება მოითხოვს: საკონტროლო ორგანოთა სისტემის სრულყოფას, ზოგიერთი პარალელიზმის მოსპობას, საზოგადოებრივი ინსპექციის უფლებათა გაფართოებას (კერძოდ, მას უნდა მიეცეს უფლება საჭირო შემთხვევაში მიიღოს აღმინისტრაციისათვის სავალდებულო დადგენილება).

არასრულწლოვანთა შრომის დაცვისადმი კონტროლის კოორდინაციის მიზნით საჭიროა პროფესირთა საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანოებთან შეიქმნას მოზარდთა შრომის დაცვის შესაბამისი საზოგადოებრივი ინსპექცია.

# სამეცნიერო გეორგია და სამოქადაქო სამართალი

დოც. ს. ჯავარიძე

სოციალისტური წარმოების განვითარების და ხალხის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანების განხორციელება მოითხოვს სამრეწველო წარმოების განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფას, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწვების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას სახალხო მეურნეობაში, პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

ამ ორნისძიებათა განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის შემოღებას. ისინი მთლიანად უნდა შეესაბამებოდენ სამეურნეო მშენებლობის ახალ მოთხოვნებს, თანმედროვე ტექნიკურ-ეკონომიურ პირობებს, საწარმოო ძალთა განვითარების დონესა და ხასიათს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენურის გადაწყვეტილებებში და მის შესაბამისად მიღებულ სხვა ნორმატულ აქტებში აღნიშნულია ახალი სამეურნეო რეფორმის შემოღების აუცილებლობისა და უპირატესობაზე. სამეურნეო რეფორმაში უფრო რაციონალურად არის შეხამებული საზოგადოების, კოლექტივისა და

დალგეული მშრომელის ინტერესები, იზრდება მუშაქთა დაინტერესება მთელი საწარმოო რესურსების რაც შეიძლება სრული გამოყენებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. „ეკონომიურ რეფორმას მოსდევს ხალხის მასების შემოქმედებითი აქტივობის, წარმოების მართვაში მათი როლის შემდგომი ამაღლება, იგი ხელსუწყობს ჩეენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას“<sup>1</sup>.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების მიხედვით 1968 წლის დამლევისათვის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობდა 27 ათასი სამრეწველო საწარმო, რომლებმაც აწარმოეს მთელი სამრეწველო პროდუქციის 72 პროცენტზე მეტი და მოგვცეს მოგების 80 პროცენტზე მეტი. გადაჭარბებით შესარულეს სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა საწარმოებმა, რომლებიც ახალი სისტემით მუშაობენ. ამ საწარმოებში წარმოების მოცულობა გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 8,3 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 5,6 პროცენტით, მოგება — 15 პროცენტით<sup>2</sup>.

ეს მონაცემები ცხადყოფენ სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის ეფექტიანობასა და სიცოცხლის უნარიანობას. ეკონომიური რეფორმის

1. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რეფორმის 50 წელი (სკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები), 1967, გვ. 42.

2. «Известия» 26 января 1969 г.



გამოყენების საზღვრების გაფართოება-  
სთან ერთად საჭიროა მეტი უზრადლე-  
ბა მიექცეს და კიდევ უფრო ფართოდ  
იქნეს გამოყენებული ისეთი ეკონომი-  
ური ბერკეტები, როგორიც არის სამე-  
ურნეო ხელშეკრულება, სამეურნეო ან-  
გარიში, კრედიტი, ფასი, მოგება და ა. შ.

სკპ ცენტრალური კომიტეტისა და  
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965

წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენი-  
ლებით „სამრეწველო წარმოების და-  
გეგმვის სრულყოფისა და ეკონომიუ-  
რი სტუმულირების გაძლიერების შესა-  
ხებ“<sup>3</sup> მნიშვნელოვნად არის გადიდებუ-  
ლი სამეურნეო ხელშეკრულების რო-  
ლი სოციალისტური ორგანიზაციების  
ეკონომიურ ურთიერთობათა მოსაწეს-  
რიგებლად. დადგენილების მე-10 მუხ-  
ლის თანახმად საწარმოებს შორის  
აგრეთვე საწარმოებსა და გამსაღებელ,  
მომარაგებელ, სავაჭრო, სასოფლო-სა-  
მეურნეო, დამამზადებელ და სხვა ორ-  
განიზაციებს შორის სამეურნეო ანგა-  
რიშის ურთიერთობათა თანმიმდევრუ-  
ლად განხორციელების ინტერესებისა-  
თვის დაწესებულია, რომ სამეურნეო  
ხელშეკრულება არის ძირითადი დოკუ-  
მენტი, რომელიც განსაზღვრავს მხარე-  
თა უფლებებსა და მოვალეობებს ყვე-  
ლა სახის პროდუქციის მიწოდების და-  
რგში, იმ პროდუქციის ჩათვლით, რომე-  
ლიც ცენტრალიზებული წესით ნაწილ-  
დება. ხელშეკრულებანი პროდუქციის  
მიწოდების შესახებ უნდა დაიღოს, უწი-  
ნარეს ყოვლისა, შექმნილი რაციონალუ-  
რი საწარმოო-სამეურნეო ურთიერთო-  
ბათა შესაბამისად, იმის გათვალისწი-  
ნებით, რომ დამამზადებელ საწარმოს  
არ შეუძლია ამ ურთიერთობის დარღ-  
ვევა შემკვეთის თანხმობის გარეშე. მხა-  
რეთა შეთანხმებით სამეურნეო ხელშე-  
კრულებანი როგორც წესი დაიღება რამ-  
დენიმე წლით ისე, რომ ყოველწლი-  
ურად დაზუსტდეს პროდუქციის რაო-

დენობა, ხარისხი, ასორტიმენტი, ში-  
წოდების ვადები და სხვა არსებითი ხა-  
სიათის პირობები. ამ დადგენილებით  
გადიდებულია საწარმოთა და ორგანი-  
ზაციათა მატერიალური პასუხისმგებ-  
ლობა პროდუქციის მიწოდების სახელ-  
შეკრულებო ვალდებულებათა შესრულე-  
ბლობის ან არაჯეროვნად შესრულე-  
ბისათვის.

მიწოდების ხელშეკრულებით გათვა-  
ლისწინებულ დავალებათა და ვალდე-  
ბულებათა შეუსრულებლობის ან არა-  
ჯეროვნად შესრულებისათვის საწარ-  
მოებსა და ორგანიზაციებს მიყენებუ-  
ლი ზარალის ანაზღაურებასთან ერთად  
ეკისრებათ გარიმისა და საურავის გა-  
დახდა კანონით დადგენილი წესით და  
ოდენობით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რეს-  
პუბლიკების სამოქალაქო კანონმდებ-  
ლობის საფუძვლების მე-3 მუხლის მე-  
ორე ნაწილის თანახმად სოციალისტურ  
ორგანიზაციებს შორის პროდუქციის  
მიწოდებასთან დაკავშირებით წარმო-  
შობილ ურთიერთობებს აწესრიგებს  
სსრ კავშირის კანონმდებლობა, პრე-  
ოცენტურული საქართველოს სსრ კანონმდებლო-  
ბა სსრ კავშირის კანონმდებლობით  
დადგენილი წესით და ფარგლებში.  
პროდუქციის მიწოდების ხელშეკრუ-  
ლება დადებული და შესრულებულ  
უნდა იქნას სსრ კავშირის მინისტრთა  
საბჭოს მიერ დამტკიცებული პროდუ-  
ქციის (საქონლის) მიწოდების დებუ-  
ლებების, აგრეთვე ცალკეულ სახეო-  
ბათა პროდუქციის მიწოდების განსა-  
კუთრებული პირობების შესაბამისად.

სახელშეკრულებო ვალდებულება-  
თა შესრულების პროცესში მნიშვნელო-  
ვანი აღვილი ეთმობა პროდუქციის ხა-  
რისხსა და კომპლექტურობას. მისაწო-  
დებელი პროდუქციის ხარისხი უნდა  
შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდა-  
რტებს, ტექნიკურ პირობებს ან ნიშ-

ნებს. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სახელმწიფო სტანდარტებზე უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება. თუ მიწოდებული პროდუქციის ხარისხი არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს, დამტკიცებულ ტექნიკურ პირობებსა ან ნიმუშებს, მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას პროდუქციის მიღებაზე და ფასის გადახდაზე, ხოლო ფასის გადახდის შემთხვევაში მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება, ანდა მიმწოდებელს მოითხოვოს ფასის შემცირება, ან თავისი ხარჯით პროდუქციის ნაკლის გამოსწორება, თუ ეს შესაძლებელია.

პროდუქციის მიწოდება უნდა ხდებოდეს კომპლექტურად სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობების ან პრეისკურანტების მოთხოვნების შესაბამისად. თუ პროდუქციის კომპლექტურობა კანონით არ არის განსაზღვრული, მხარეებს შეუძლიათ ასეთი განსაზღვრონ ხელშეკრულებით. არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდების შემთხვევაში მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს პროდუქციის დაკომპლექტება, ან მისი შეცვლა კომპლექტურით და ასეთის შესრულებამდე უარი თქვას ღირებულების გადახდაზე, ხოლო თუ იგი გადახდილია მოითხოვოს მისი დაბრუნება.

პროდუქციის (საქონლის) მიწოდებათა დებულებებით და განსაკუთრებული პირობებით დადგენილი წესით და ოდენობით გადახდევინებული უნდა იქნეს პირგასამტებლო (ჭარიმა, საურავი), აგრეთვე მიყენებული ზარალი მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. საერთო წესის მიხედვით თუ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაგეროვანად შესრულებისათვის დაშვებებულია პირგასამტებლო (ჭარიმა, საურავი), მაშინ ანაზღაურდება მხოლოდ მიყენებული ზარალის ის

ნაწილი, რომელსაც პირგასამტებლო (ჭარიმა, საურავი) ვერ დაფარავს (სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე მუხლის მეორე ნაწილი). ამის გამონაკლისად სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 50-ე მუხლის უკანასკნელი ნაწილი და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 263-ე მუხლის მეორე ნაწილი შეიცვენ მითითებას იმის შესახებ, რომ არასათანადო ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდების შემთხვევაში მყიდველი მიმწოდებელს გადახდევინებს დადგენილ პირგასამტებლოს (ჭარიმას) და გარდა მისა, ასეთი მიწოდების შედეგად მიყენებულ ზარალის პირსაგამტებლოს (ჭარიმის) ჩაუთვლელად.

სამეურნეო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლო (ჭარიმის, საურავის) გადახდა, რომელიც დადგენილია პროდუქციის მიწოდების ვადის გადაცილების ან ვალდებულების სხვა არაგეროვანი შესრულებისათვის, და აგრეთვე ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მიწოდებელს ვალდებულებათა ნატურით შესრულებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგეგმო დავალებამ, რომელიც საფუძვლად უდევს ვალდებულებას სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის, ძალა დაკარგა.

სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების ინტერესების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით და სხვა ნორმატული აქტებით მნიშვნელოვნად არის გადიდებული საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალური პასუხისმგებლობა პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაგეროვნად შესრულებისათვის.

პროდუქციისა და საქონლის მიწოდე-



ბათა, დებულებებისაგან განსხვავებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის № 988 დადგენილების „საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“<sup>4</sup> შესაბამისად მიმწოდებელს და მყიდველს უფლება აქვთ პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინონ ისეთ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის წესი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. ამ უფლების ძალით მხარეებს შეუძლიათ მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინონ მატერიალური პასუხისმგებლობა პროდუქციის მიწოდების განრიგის დარღვევისათვის, პროდუქციის თავის დროზე მისაღებად აუცილებელი დოკუმენტების დაგვიანებით გაგზავნისათვის, ტარის დაუბრუნებლობის ან დაგვიანებით დაბრუნებისათვის და ა. შ. მიწოდების ხელშეკრულებაში ასეთი ხასიათის მატერიალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებასთან დაკავშირებით წამოჭრილ დავას დაინეტრესებული მხარის განცხადებით განიხილავთ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები საერთო საფუძველზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების 30-ე მუხლის თანახმად მხარეებს აგრეთვე უფლება აქვთ ურთიერთ შეთანხმებით მიწოდების ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის გათვალისწინონ მოქმედ კანონმდებლობით დაწესებულ პასუხისმგებლობასთან შედარებით გადიდებული მატერიალური პასუხისმგებლობა, გარდა გადახდის ვალის გადაცილებისათვის დაწესებული საურავის გადიდებისა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სა-

ხელმწიფო არბიტრაჟის მიერ განმარტებულია, რომ თუ მხარეთა შორის არ მოხდა შეთანხმება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის გადიდებული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, მაშინ გამოიყენება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დაგენილებით და სხვა ნორმატიული აქტებით დაწესებული მატერიალური პასუხისმგებლობის სანქციები, ხოლო მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში — ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებლობის სანქციები. დავა გადიდებული მატერიალური პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ არ შეიძლება განხილულ იქნას არბიტრაჟის მიერ.

დაუშვებელია სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის შეთანხმება მათი პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ, თუ ამ სახეობის ვალდებულების შესრულებისათვის პასუხისმგებლობის მოცულობა კანონით ზუსტად არის განსაზღვრული.

სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ზემოთ აღნიშნული სიახლენი ჩამოყალიბებულ უნდა იქნას სამოქალაქო სამართლის კოდექსში.

საერთო წესით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ დაეკისროს მესამე პირს, თუ ის ერთ-ერთ მხარესთან დაკავშირებულია აღმინისტრაციული დაქვემდებარებით ან სათანადო ხელშეკრულებით. გამონაკლისი სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით. კერძოდ, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის და საქართველოს სსრ სამოქალა-

ქო სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის თანახმად მოვალე პასუხს აგებს იმ მესამე პირის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანად შესრულებისათვის, რომელსაც ეს ვალდებულება ჰქონდა დაკისრებული, თუ სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული, რომ პასუხისმგებლობა უშუალოდ შემსრულებელს ეკისრება.

როდესაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მესამე პირის უშუალო პასუხისმგებლობა სახელშეკრულებლო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელს შეუძლია რეგრესის წესით მოითხოვოს მესამე პირისაგან ზარალის ანაზღაურება. ჩვენი აზრით, საქმის წა-

რმოების გამარტივებისა და უფროისებისათვის სასურველია მყიდველის სასარჩელო მოთხოვნა მიმწოდებლის მიმართ და ამ უკანასკნელის რეგრესული მოთხოვნა მესამე პირთა მიმართ განხილული იქნეს ერთდროულად, ერთ საარბიტრაჟო პროცესში.

სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერება საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად გამოვიყენოთ მურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესესობანი. იგი ხელს უწყობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების დაჩქარებასა და ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი აღმავლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

# სოციალისტური მრავალობის ახლადგანად მართვის ზოგიერთი სამართლებრივი საკითხი

ნ. ფრათალი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ახლა, როცა პრაქტიკულად ხორციელდება სამეურნეო რეფორმა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მრეწველობის მართვის, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის პრობლემათა მეცნიერულ დამუშავებას.

აუცილებელია უფრო ღრმად დასაბუთდეს მართვის დარგში მიღებულ გადაწყვეტილებათა ეკონომიკური ეფექტურობა, შესწავლილ იქნას მათი შესრულების შედეგები, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ ორგანიზაციათა აპარატის სხვადასხვა რგოლებში მათი გამოყენების პრაქტიკა.

თავის გამოსვლაში 1966 წლის 3 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა მიუთითა მატერიალური წარმოების სტრუქტურის სრულყოფის აუცილებლობაზე. მან აღნიშნა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა სავსებით განვახორციელოთ მეურნეობის გაძლიერების ახალი სისტემა. თანამედროვე ეტაპზე პარტიის სამეურნეო პოლიტიკის განხორციელების მთავარი პირობაა ეკონომიკური ბერკეტების სრულად გამოყენება, ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერება. გადაჭრით უნდა აღვკეთოთ საქმისაღმი ბიუროკრატიული მიდგომის, ფორმალური ადმინისტრირებისა და ზემოდან საწარმოთა საქმიანობის წვრილმანი რეგლამენტაციის აღორძინების ცდები<sup>1</sup>.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ახალი სამეურნეო რეფორმის გატარება ხელში უწყობს შინარესურსების გამოვლინებას და მობილიზაციას, წარმოების შემდგომ განვითარებას და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

სამართლანად იყო შენიშვნული, რომ მრეწველობის მართვის დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის დარგში მეცნიერული ნაშრომები სერიოზულად ჩამორჩება პრაქტიკის გადაუდებელ მოთხოვნებს. მეცნიერულ დამუშავებას მოითხოვს მრავალი ახლად წამოჭრილი პრობლემა, სახელმძღვანელოს სოციალისტური სამეურნეო ანგარიში, მოგების, ფასის, კრედიტის, სამეურნეო ხელშეკრულების გამოყენება და სხვ.

თავისთავად ცხადია, რომ მეურნეობის გაძლიერების ახალი სისტემის პირობებში წარმოების მართვა არ შეიძლება განხორციელდეს წარმოების ხელმძღვანელის სუბიექტურ შეხედულებათა საფუძველზე. იგი უნდა ემყარებოდეს ობიექტურ, ეკონომიკურად დასაბუთებულ არსებული რესურსების უკათესი გამოყენებისაკენ მიმართულ მეთოდებს.

მეცნიერული მართვა მდგომარეობს აგრეთვე ორგანიზაციულ-სამეურნეო სისტემების, საწარმოო-ეკონომიკური კომპლექსების მართვის პროცესების რაოდენობრივ საზომთა თანამედროვე მეთოდების, ობიექტური შეფასებების, მა-

<sup>1</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1966 წლის 4 აგვისტო.

თემატიკური მოდელირებების, სტატისტიკური ანალიზის, მიღებულ გადაწყვეტილებათა უფექტურობის კრიტიკული იუმის ფართოდ გამოყენებაში<sup>2</sup>.

წარმოების მართვის ორგანიზაციის სრულყოფა მიღწევა არა მარტო ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობის გაუმჯობესებით, არამედ იგრეთვე მთელი სისტემის ცალკეული რგოლების ორგანიზაციული დონის ამაღლებით, კერძოდ, ობიექტების საწარმოო სტრუქტურის მოწესრიგების გზით.

მრეწველობის ხელმძღვანელობაში ეკონომიკური ბერკეტების მოქმედების გაძლიერება თავისთვად აყენებს სამეურნეო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის შემდგომი გაუმჯობესების საკითხს. სამართლის მეცნიერების წინაშე ამჟამად დგას ამოცანა საკანონმდებლო აქტების შემუშავებისას, გამოძებნოს სამართლებრივი ნორმების ისეთი ვარიანტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოციალისტური ეკონომიკის წინაშე დასმულ პრობლემათა რაციონალურ გადაწყვეტას. გამორიცხული არ არის, რომ ცალკეული ნორმატიული აქტი შეიძლება იყოს მცდარი და ვერ უპასუხებდეს ეკონომიკური განვითარების რეალურ პირობებს. ცენტრალიზებულ გეგმას თავისთვად არ შეუძლია დეტალებში გამოავლინოს დაუსრულებლად დიფერენცირებული ჭამი ფაქტიური მოთხოვნილებისა და მათი დაკმაყოფილების რაციონალური გზები, და ამდენად სამეურნეო ხელშეკრულება წარმოადგენს ისეთ სამართლებრივ ნორმას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ერთიანი ცენტრალიზებული გეგმის შეთანხმება სასაქონლო-სამეურნეო კავშირურთიერთობებთან მთელ ფრონტზე ჩვენს მეურნეობაში<sup>3</sup>.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენურმა ზუსტად განსაზღვრა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოების ამოცანები. საგრძნობლად გაფართოვდა მათი უფლებები და დაწესდა ახალი მოვალეობანიც.

ახლა საწარმო წარმოადგენს არა მარტო მწარმოებელ სამეურნეო ერთეულს, არამედ წარმოების ორგანიზატორსაც, სხვა სოციალისტურ საწარმოებთან თავისი სამეურნეო ურთიერთობის ორგანიზატორს.

პარტიის XXIII ყრილობამ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნია ქვეყნის ეკონომიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესება და გეგმვის სრულყოფის, ეკონომიკური სტრულირების, საწარმოთა ინიციატივის და სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების გზით.

განსაუთრებით ხაზეასმულია ცენტრალიზებული გეგმასი ხელმძღვანელობის საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან შეხამების აუცილებლობა.

მმართველობის დარგში ხელმძღვანელობის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა თავისთვად გვიყარნახებს საწარმოთა უფლებების შემდგომი გაფართოებისა და სტაბილიზების აუცილებლობას, შეცვლილი მეთოდების შესაბამისად, სამეურნეო საქმიანობის უკეთესად გაძლილას, რათა ამ სფეროში დამყარდეს სამეურნეო ანგარიშის საწყისების თანმიმდევრული განვითარებისა და საწარმოთა სამეურნეო ინტერესების მყარი სამართლებრივი გარანტიები.

მრეწველობაში ეკონომიკური ხელმძღვანელობის მეთოდების და სამეურნეო

<sup>2</sup> Д. М. Гвишиани — Основы научной разработки проблем управления социалистической промышленностью, Москва, 1966, стр. 13.

<sup>3</sup> Г. И. Хайдас, Совершенствовать правовое регулирование народно-хозяйственного планирования, «Советское государство и право», 1966 г., 3, стр. 20, 23.



ანგარიშის ფართო დანერგვა მოითხოვს როგორც საწარმოების, ისე მრეწველობის ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებლობის გაზრდას.

ლიტერატურაში სავსებით სწორად არის მითითებული, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც გამოსახულია სამართალში, ეს არის მისი სამართლებრივი პოლიტიკაც, რადგან სოციალისტური მეურნეობის გაძლოლის ეკონომიური პრინციპები ხორციელდება ეკონომიური ან სამეურნეო-სამართლებრივი პრინციპების ფორმით და იგი წარმოადგენს განუწყვეტელ მთლიანობას, ეკონომიური არსის ან შინაარსის ერთიანობას სამართლებრივ ფორმასთან.

სამეურნეო ანგარიშის პრინციპების ეკონომიური არსი იმაში მდგომარეობს, რომ წარმოება მოწყოს რენტაცელურად, საზოგადოებისა და მწარმოებელთა კოლეგიათვეს ხელსაყრელ პირობებში, რომ დამყარდეს ისეთი პირდაპირი და უშუალო კავშირურთიერთობანი, დაიდოს ისეთი სამეურნეო ხელშეკრულებანი, რომელთა შესრულებით საქონლის მომხმარებლები დაკმაყოფილდებიან სავსებით, მწარმოებელს კი შესაძლებლობა ექნება მეურნეობაში ახალ გამოგონებათა დანერგვისა და ახალ საშუალებათა დაბანდების გზით გააფართოოს წარმოება, გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი და ამასთანავე თვითეულმა მუშაქმა მიიღოს მეტი ხელფასი და უკეთ იცხოვროს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად<sup>4</sup>, საწარმო დამოუკიდებლად წყვეტს სამეურნეო საქმიანობის საკითხებს და ზემდგომი ორგანოების მიერ მისთვის მიცემული საეგემო დავალებებით და პირდაპირი კავშირურთიერთობიდან მიღებული დაკვეთების საფუძვლზე გეგმვის წარმოების მოცულობას, პროდუქციის დეტალურ ნომენკლატურასა და ასორტიმენტს. ეს არსებითად აღიდებს ხელშეკრულების როლს დაგეგმვის დარგში. სამეურნეო ხელშეკრულებას ამჟამად ენიჭება, ერთი მხრივ, ეკონომიური დაგეგმვის ინსტრუმენტის, ხოლო მეორე მხრივ, მხარეთა ყველა ურთიერთობის განმსაზღვრელი საფუძვლის ხასიათი.

როდესაც ლაპარაკია ეკონომიურ ბერკეტებზე, იგულისხმება წარმოების საქმიანობის ღირებულებითი, სამეურნეო ანგარიშის მაჩვენებლები, მუშაკთა კოლეგიათვის მატერიალური დაინტერესება წარმოების შედეგებით. სამეურნეო რეფორმა ნიშნავს მეურნეობის გაძლოლაში ეკონომიური მეთოდების გამოყენების გაძლიერების ახალ ეტაპს. მაგრამ სამართლებრივი ნორმების გარეშე, ცხადია, არ შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული აღმინისტრაციულ მეთოდებთან შეხამებული სოციალისტური წარმოების განვითარებისათვის გამიზნული ეკონომიური მეთოდები, ისევე როგორც არ შეიძლება აღმინისტრაციული მეთოდების აღრევა ეკონომიურ მეთოდებთან და სამართლებრივ ნორმებთან, რომელიც მიმართულია სხვადასხვა სახის სამეურნეო ურთიერთობათა მოწესრიგებისაკენ.

ლიტერატურაში სამართლიანად არის მითითებული, რომ საზოგადოებრივი წარმოების მრავალი ეკონომიურ-სამართლებრივი პრობლემა საჭიროებს ერთობლივად დამუშავებას, ამავე დროს ეკონომიური მეცნიერების მიღწევები

<sup>4</sup> СП СССР, 1965, № 19 — 20.

ლირსაჲ ხозяйственных отношений, «Советское государство и право», 1966, № 3, стр. 24—34.

წარმოების განვითარების კანონზომიერებათა შეცნობის სფეროში ლოგიკურად უნდა ფასდებოდეს სამართლის მეცნიერების შესაბამისი დასკვნებით. სამართლის მეცნიერების დასკვნათა პრაქტიკული ღირებულება, მისი რეკომენდაციები, სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფა თავის მხრივ დასაბუთებული უნდა ცის ეკონომიურად<sup>6</sup>.

მრეწველობის მართვის ორგანოების მუშაობა წარმოების ეფექტურობის ამაღლების საქმეში ფასდება რეალურად გატარებული ღონისძიებებითა და დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანოთა საქმიანობის შედეგების მიხედვით. ზემდგომი ორგანო „თავის ანგარიშზე“ უნდა ღებულობდეს საწარმოსათვის არასასურველ შედეგს, რაც გამოწვეული იყო მისი ე. ი. ზემდგომი ორგანოს მიერ დაშვებული სამართალდარღვევით. ჩადგან კანონმდებლობა ზუსტად არ აწესრიგებს ზემდგომი სამეურნეო ორგანოს ქონებრივ პასუხისმგებლობას და ჭერებარებული საწარმოს წინაშე, ამიტომ საკითხის ეკონომიურად დასაბუთებული გადაწყვეტის მაგიერ, წარმოიქმნება აღმინისტრირების და პასუხისმგებლობის საწარმოზე გადაკისრების ტენდენციები. ამიტომ საესებით სწორია მოთხოვნა, რათა სახალხო მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშის თანმიმდევრობითი განხორციელების ინტერესებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ იქნას დაქვემდებარებულ საწარმოთა წინაშე ზემდგომ სამეურნეო ორგანოების ქონებრივი პასუხისმგებლობა. ასეთი ნორმები უნდა განმტკიცდეს საგეგმოსამეურნეო ანგარიშიანობის სანქციებით, ანუ კანონით. უნდა დაწესდეს, რომ ზემდგომი სამეურნეო ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს მისი არასწორი მოქმედებით საწარმოზე მიყენებული ზარალი<sup>7</sup>.

მიმაგრებული ქონების ოპერატიული მართვის სფეროში საწარმოთა უფლებამოსილების გაფართოების და მათი სამეურნეო საქმიანობის ეკონომიური ბაზის შექმნის გარანტიები მოითხოვენ კანონით ზუსტად განისაზღვროს ზემდგომი ორგანოს კომპეტენციის შესაბამისობა საწარმოს უფლებებთან, ზემდგომი ორგანოების საწარმოთა უფლებებში ჩარევის ფარგლები, აგრეთვე გამოიძებნოს ზემდგომი ორგანოების მიერ საწარმოთა უფლებების დარღვევათა ლიკვიდაციის გზები.

ზემდგომი ორგანოს პასუხისმგებლობის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს სამართალდარღვევის ფაქტი. სამეურნეო სამართალდარღვევად კი მიჩნეულ უნდა იქნას ამა თუ იმ სამეურნეო საკითხის არასწორი გადაწყვეტა ან ზემდგომი ორგანოს მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობა, რაც ზიანს აყენებს დაქვემდებარებული სამეურნეო ორგანოს ინტერესებს.

მაგრამ იმისათვის, რომ დაწესებულ იქნას ასეთი ქონებრივი პასუხისმგებლობა, საჭიროა მმართველობის ორგანოების სათანადო სახსრებით აღჭურვა, მათ საქმიანობაში სამეურნეო ანგარიშის საწყისების, ოპერატიულ-სამეურნეო ანგარიშზე დამყარებული ფორმების განმტკიცება-გამოყენება და მათ მუშაობაში საგეგმო-მარტივულირებელი და ოპერატიული სამეურნეო-საანგარიშო ფუნქციების შერწყმა. ლიტერატურაში გამოთქმულია ამის საწინააღმდეგო თვალ-

<sup>6</sup> იბ. А. Н. Алымов, Экономическая реформа и вопросы ответственности хозяйственных органов. Проблемы ответственности хозяйственных органов в новых условиях планирования и экономического стимулирования промышленного производства. Донецк, 1967 г., стр. 5 — 6.

<sup>7</sup> იბ. В. К. Мамутов, Ответственность вышестоящего органа в хозяйственно-управленческом правоотношении, «Советское государство и право», 1966 г., № 3, გვ. 51 და სხვ. 5. საბჭოთა სამართალი № 6.



საზრისიც, რომლის მიხედვით შეუთავსებლად არის მიჩნეული მმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოხსენებული ფუნქციების შეხამება<sup>8</sup>.

ამ თვალსაზრისის ავტორებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო საგეგმო-მარეგულირებელ ორგანოთა საქმიანობის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამ შრომის დანახარჯების შეთანაბრება და დანახარჯების ანაზღაურება განხორციელდება იმ საწყისებზე, რაც ახასიათებს ნამდვილ სამეურნეო ანგარიშს, ე. ი. დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაქვემდებარებული საწარმოსათვის ორგანიზაციული მომსახურების თავისებური „მიყიდვის“ ფორმით. მაგრამ საგეგმო ხელმძღვანელობის ასეთ ფორმაზე გადასვლა შეუძლებელია, რადგან სოციალისტურ სახელმწიფოში სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობა სახელმწიფოებრივ ხასიათს ატარებს და სათანადო სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა მარიგანიზებელ აღმინისტრაციულ შინაარსს ატარებს. გარდა ამისა, ამ ავტორების აზრით, სახალხო მეურნეობის მართვის ორგანოთა საქმიანობაში საგეგმო-მარეგულირებელ და სამეურნეო ანგარიშის ფორმათა შერწყმის ცდამ წლების განმავლობაში ვერ მიგვიყვანა სასურველ დადებით შედეგებამდე და საბოლოოდ მთავრდებოდა ამ ფუნქციათა კვლავ გაყოფით, რადგან ამ ფუნქციათა აღრევას მივყავლით მავნე შედეგებამდე — აღმინისტრირებამდე, საწარმოთა სამეურნეო ანგარიშის, მათი ქონებრივი დამოუკიდებლობის და მატერიალური დაინტერესების დარღვევამდე.<sup>9</sup>

ზემდგომ ორგანოთა და სახელმძღვანელობრივ სამინისტროთა უფლებების განსაზღვრასთან ერთად ამ ავტორებს საჭიროდ მიაჩნიათ გათვალისწინებულ იქნას სამინისტროების ვალდებულებებიც დაქვემდებარებულ საწარმოთა მიმართ, ავტორები სამინისტროების მხრივ დაქვემდებარებულ საწარმოთა უფლებების დაცვის საგარანტიო ნორმების შექმნა. კერძოდ იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას საგეგმო დავალებათა სიმტკიცე და ადგილი არ ჰქონდეს სამინისტროს მიერ საგეგმო დავალებათა ნებისმიერ შეცვლას (საწარმოებთან წინასწარ შეუთანხმებლად), საჭიროა დადგინდეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო დაარღვევს თავის ვალდებულებას — შეუთანხმოს საწარმოს საგეგმო დავალებაში შესატანი ცვლილებები, საწარმოს უფლება უნდა მიენიჭოს იმოქმედოს წინათ დამტკიცებული გეგმის მიხედვით; ამასთანავე დადგენილ უნდა იქნას წესი, რომ სამინისტრომ დოროულად განიხილოს საწარმოს მიერ შეტანილი წინადაღებანი, და თუ საწარმო თავის ღროზე არ მიიღებს სამინისტროსაგან პასუხს, მას უფლება უნდა მიენიჭოს თვითონვე შეიტანოს შესწორებანი გეგმაში და ამის შესახებ აცნობოს სამინისტროს და სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებს. ასევე საჭიროდ მიაჩნიათ შეიზღუდოს სამინისტროების უფლებები საწარმოთა საფინანსო რესურსების განკარვის დარღმი, ე. ი. გარანტირებულ იქნას საწარმოთა უფლებები საფინანსო რესურსების დამოუკიდებელი განკარგვისა. სამინისტროებს კი ამ რესურსების გადანაწილების უფლება მიეცეთ მარტოლენ საგვეგმო დავალებათა შეცვლისას. საწარმოების განკარგულებაში დატოვებულ უნდა იქ-

<sup>8</sup> Р. О. Халфина, О правовой форме экономических отношений, «Советское государство и право», 1965 г., № 7, стр. 34—35.

<sup>9</sup> იხ. ს. ნ. ბრატსის ზემოთ დასახელებული სტატია, გვ. 29—31, ამავე თვალსაზრისისაა.

ნას აგრეთვე ზედმეტი საბრუნავი სახსრები, რაც წარმოიშობა მათი რაციონალური გამოყენების შედეგად<sup>10</sup>.

მაგრამ ყველა ამ წინადაღებით მაინც არ არის დასახული და გადაჭრილი საკითხი, თუ რა სანქცია უნდა შეუფარდოს მმართველობის ორგანომ ყველა ზემოხსენებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში. უამისოდ, უსანქციოდ კი სამართლის ნორმა, მხოლოდ კეთილი სურვილია და მეტი არაფერი. ამ ავტორთა წინადადება, რომ ასეთ შემთხვევებში საწარმოსა და მმართველობის ორგანოს წინაშე წამოჭრილ დავათა გადაწყვეტა წარმოებდეს სახელმწიფო არბიტრაჟის ან სხვა ორგანოში, ჩვენი აზრით, სრულყოფილი არ არის. მატერიალურ-ქონებრივი ნორმის შეუფარდებლად ამ ორგანოთა გადაწყვეტილების შესრულება ჰავარიში იქნებოდა გამოკიდებული. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქონებრივი პასუხისმგებლობის მმართველობის ორგანოსათვის დაკისრება აუცილებელს ხდის ზემდგომ ორგანოთა სათანადო ფონდებით აღჭურვას და სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე მათ გადაყვანას, ეს კი არცთუ ისე იოლი საკითხია, როგორც ზოგიერთს მიაჩნია და არც შეიძლება ერთნაირად იქნას გადაწყვეტილი ყველა მმართველი ორგანოს მიმართ. მაგალითად, ასეთი პასუხისმგებლობის დაწესება სამრეწველო გაერთიანებათა (ფირმების), ტრესტების, კომბინატებისა და მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა ურთიერთობებში სავსებით სწორი და მიზანშეწონილია. იგი უფრო რთულია მართვის სხვა ორგანოების (როგორიც არის, მაგალითად, სამინისტრო) მიმართ, ვინაიდან სამეურნეო ანგარიში ნიშნავს შემოსავალთან რაჩების შეპირისპირებას, რაც ზოგიერთი ავტორის სამართლიანი შენიშვნით, შეუთავსებელია (ჩვენი აზრით კი ძნელი შესათავსებელია) ხელისუფლებითი ფუნქციების განმახორციელებელი ორგანოების მიმართ. ასეა თუ ისე, დაქვემდებარებულ საწარმოთა წინაშე ზემდგომი ორგანოების პასუხისმგებლობის დაწესებას მხარს უჭერს ჩვენი მეცნიერების უმრავლესობა, იგი დადებითად უნდა იქნას გადაწყვეტილი და რეგლამენტირებული ჩვენი კანონმდებლობით. ჩვენი მეურნეობის ახლებურად მართვის პირობებში შეუწყნარებელია, როცა საწარმოს ეკისრება მარტო ვალდებულებები, ზემდგომ ორგანოს კი მარტო უფლებები აქვს საწარმოთა მიმართ. ახლა საჭიროა განსაზღვრული სახე მიეცეს როგორც საწარმოთა უფლებებს ზემდგომ ორგანოთა მიმართ, ისე ამ უკანასკნელთა ვალდებულებას საწარმოთა მიმართ.

სპეციალურ დამუშავებას მოითხოვს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დარღვეული სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოთა კომპეტენციის გამიჯვნის საკითხიც. ამის შესახებ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ამ საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტილიას მხედველობაში მიღებულ იქნას მრეწველობის მოცემული დარღვის მართვის ხასიათი, მისი ურთიერთკავშირი მეურნეობის სხვა დარგებთან (რომელნიც სხვა სამინისტროების გამგებლობაში იმყოფებიან), მთელი ქვეყნის მეურნეობაში მისი საერთო ეკონომიკური მნიშვნელობა და ხვედრითი წონა. ეს საშუალებას მოგვცემს ამ ორგანოთა უფლებამოსილება გავანაწილოთ იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოცემული დარღვის განვითარების საერთო მიმართულების უცილებელი შეხამება მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის, მათი შინარესურსების გან-

<sup>10</sup> ხ. С. Братусь, Н. Клейн, Э. Полонский. «Предприятие и ведомство». Газ. «Известия» от 31 июля 1966 г.



საკუთრებულ ხასიათთან. როგორც ცნობილია, სსრ კავშირი გამოსცემს შორის ტიპიურ ყველა რესპუბლიკისათვის საერთო სამართლებრივ საწყისებს იმ საკითხების გადასაწყვეტად, რაც მისი და მოკავშირე რესპუბლიკების საერთო კომპეტენციაში შედის, ხოლო დეტალურ რეგლამენტაციას ახდენენ თვით მოკავშირე რესპუბლიკები. მოკავშირე რესპუბლიკების რიგ უფლებამოსილებათა იურიდიული ბუნებიდან გამომდინარეობს ამ უკანასკნელთა უფლება საკუთარი ინიციატივის წესით გამოსცენ სათანადო საკითხების მარეგულირებელი საქანონმდებლო და სხვა აქტები<sup>11</sup>.

საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების შექმნასთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მართვის დარღვი, ისე როგორც აღმას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც, ამთავითვე წამოიჭრა მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული ზემოხსენებული საკითხის საკანონმდებლო წესით რეგლამენტირებაზე.

დასასრულ უნდა აღნიშნოთ, რომ მრეწველობის ხელმძღვანელობის ეფექტურობა უშუალო კავშირშია სამეურნეო გაერთიანებათა სტრუქტურის, სამეურნეო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების სრულყოფასთან. როდესაც სამეურნეო გაერთიანებებზე (ფირმებზე) ვლაბარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში ჩვენს რესპუბლიკაში ადგილი ჰქონდა სამეურნეო გაერთიანებათა ჩამოყალიბების ფაქტებს საჭირო ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების და მათდამი დაქვემდებარებული ერთეულების სამართლებრივი სტატუსის გაუთვალისწინებლად. ამან გარკვეული სიძნელეები წარმოშვა ამ გაერთიანებათა და მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობაში. ამის გამო შემდგომ აუცილებელი გახდა მთელი რიგი საწარმოების კვლავ დამოუკიდებელ საწყისებზე გამოყოფა. აღნიშნულის მაგალითთა თბილისის ფეხსაცმლის საწარმოს გაერთიანება „ისნის“ და საავეჯონ გაერთიანება „განთიადის“ შემდგომი სტრუქტურული ცვლილებები და მათგან შემდეგში კვლავ დამოუკიდებელი ზოგი საწარმოს გამოყოფა და შექმნა.

დაზუსტებას და შემდგომ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი ტრესტების, კომბინატებისა და მათი ქვემდებარე საწარმოების ურთიერთობანი (მაგალითად, ტყიბულის და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტებისა და შახტების, ჭიათურმარგანტრესტისა და მაღაროთა სამმართველოების, საქართვის ტრესტისა და ჩაის ფაბრიკების, საქანსერვტრესტისა და საკონსერვო ქარხნების, საქამბაქოს ტრესტისა და თამბაქოს ფაბრიკების ურთიერთობათა უფლებრივი რეგლამენტაცია და სხვ.). ამ საკითხის დამუშავებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის ყოველმხრივი განვითარების პრინციპი. ამჟამად კი ხსენებული შახტების, მაღაროების, ფაბრიკებისა და ქარხნების სახელშეკრულებო ურთიერთო-

<sup>11</sup> А. И. Лепешкин, О размежевании компетенции между органами Союза ССР и союзных республик в области руководства народным хозяйством. «Советское государство и право», 1966 г., № 6, стр. 3—11.

ბებში ეს დამოკიდებულება გამოთიშულია და აღვილი აქვს ტრესტების ზედ-  
შეტ მეურვეობას.

სოციალისტური მრეწველობის მართვის პრობლემებს მრავალი სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია მიეძღვნა. ეკონომიკურ-სამართლებრივ სამეცნიერო კონფერენციებზე განხილულ იქნა სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობის პრობლემებიც, სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ ფორმებზე გადასცლასთან დაკავშირებით.

ამ კონფერენციებზე, რომელთა მონაწილე ამ სტრიქონების ავტორიც იყო, შემუშავებულ იქნა მეტად საგულისხმო რეკომენდაციები და ხაზგასმით აღნიშნა მრეწველობის მართვის პრობლემათა შემდგომი მეცნიერული დამუშავების აუცილებლობა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საქმის განხორციელებაში თავიანთ მნიშვნელოვან წვლილს ქართველი მეცნიერებიც შეიტანენ.

# ქართული სამართლის ისცორის საკითხები აკაკი შანიძის შრომაგაზი

პროფ. ი. სურაულაძე

ღვაწლმოსილი მცნიერის, გამოჩენილი ქართველობის აკაკი შანიძის მცნიერული მოღვაწეობის მნიშვნელობა განუზომელია ჩვენი ხალხისათვის. ამ სტატიაში შევხებით ა. შანიძის მრავალშერივი მოღვაწეობის მხოლოდ ერთ მხარეს: მის დამსახურებას ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მცნიერებაში.

აკაკი შანიძის მუშაობას ქართული სამართლის ისტორიაში შეიძლება ითქვას დაგვემდგრავებული, შემთხვევითი ხსახათი აქვს ძელი ქართული მწერლობის ძეგლების შესწავლის პროცესში აკაკი შანიძეს უძღვოდა ამ ძეგლებში მოცემული ტერმინების გამოკვლევა, მათი შინაარსის გარკვევა. ზოგიერთი ტერმინი იურიდიული ხსახათისა იყო. ასე მაგალითად, არმაზის სამართებელი ორენოვანი წარწერის აღმოჩენამ მთელი ჩვენი მცნიერების ყურადღება მიიქცია. აკაკი შანიძემ შესწავლა ეს წარწერა და გაარჩია წარწერაში მოსხეულებული სახელმწიფო სამართლის ტერმინი „აზორარი“, რომლის შინაარსი სხვადასხვაგვარად ესოსმოდვარი. „ვეზებისტყაოსანში“ გვხვდება ტერმინი „აზორარი“, რომლის შინაარსი სხვადასხვაგვარად ესმიდათ მცნიერებს, აკაკი შანიძემ გამოკვლევა შიძლიერია ამ ტერმინს.

მცნიერს თხოვეს ტერმინ „ნასალის“ განვირტება და მან გაარტვია ეს საკითხი და გამოაქვევნა ამის თაობაზე ნაშრომი.

აკაკი შანიძე, ორენოვანი წარწერის შესწავლასთან დაკავშირებით, რომელიც აღმოჩენილი იქნა 1940 წელს, დაწერილებით განიხილავს სახელმწიფო სამართლის ტერმინს — ეზოსმოდღვარის. ა. შანიძის აზრით, ორენოვანი წარწერის არამეულ ნაწილში ორჯერ არის სიტყვა *rētēs*, რომელიც შეესაბამება ბერძნული წარწერის ეპტრომს (პროკურატორი) და შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილია *rē* (*rabb*), რაც ნიშნავს უცუცესს, მთავარს (глава), უფალს; მეორე ნაწილია *trēs*, რაც ნიშნავს სახლს, ეზოს (двор). ამ სიტყვის პირველი ნაწილი ცნობილია ძველ ქართულში, სახარების ქართულ თარგმაზი. ა. შანიძეს მოპყავს თარგმანის ასეთი ადგილი: „მოექცა იესუ და იხილნა იგინი, მი-

რად სევდებეს მას და პრქუა მათ: რასა ეძიებთ? ხოლო მათ კრეუს მას: რაბი! (რომელ ითარგმნების სიტყვით „მოძღუარი“) სადა იყოფი?“ ამგვარად, განაგრძობს ავტორი, ამ სიტყვის პირველი ნაწილი შეესაბამება ქართულ სიტყვას „მოძღუარს“, ხოლო მეორე ნაწილი — ეზოს; მთლიანად კი გამოდის ეზოსმოდღვარი. არამეულ წარწერებში სიტყვის ნაწილები ქართული სიტყვის წყობის საწინააღმდეგო წყობით არის შედგენილი.

რადგანაც ორენოვანი წარწერა მეორე საუკუნეს ეკუთვნის, ამიტომ უნდა დავსკვნათ, რომ სიტყვა ეზოსმოდღვარი საქართველოში ქრისტიანობის შემთხველამდე იხმარებოდა და ქრისტიანულმა ლიტერატურამ გამოიყენა ეს ტერმინი.

აკაკი შანიძეს მოპყავს მაგალითები ქრისტიანული ლიტერატურის ქართულად თარგმნილი ძეგლებიდან, რომელიც დაწომდებულია ტერმინი — „ეზოსმოდღვარი“. ამასთანავე, ა. შანიძე ადარებს ერთმანეთს ქართულ თარგმანსა და ბერძნულს დედანს და ამტკიცებს, რომ ქართული ეზოსმოდღვარი უძრის ბერძნულ ეპიტრომს.

ავტორი დაწვრილებით არჩევს სიტყვა ეზოსმოდღვარის შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობას, ყურადღებას აქცევს, იმას, რომ შედგნილობის მნიშვნელობარის „ეზოსმოდღვარის“ საწინააღმდეგოა „სახლისუხუცესი“. ამასთანავე, „ეზოს“ ქართულში მრავალი მნიშვნელობა პერნა, მაგრამ ტერმინ ეზოსმოდღვარში ნში ეზონავს კარს, სასახლეს; ხოლო მოძღუარის ძირი ავტორის აზრით არის ძელუ, — ასაღ ქართულში ძოლო, აქედან კი წარმოიშობა მოძღუარი, რაც ნიშნავს წინამდობლს, მეთაურს, მასწავლებელს.

ა. შანიძის აზრით, მოძღუარი ძლიერ გავრცელებული სიტყვაა ძველ ქართულში, რაც ჩანს შემდგენ ტერმინებით: ხუროთმოძღუარი, მწიგნობართ-მოძღუარი, მღვდელთ-მოძღუარი. ეზოსმოდღვარი სიტყვა-სიტყვით, ავტორის განვირტებით, ნიშნავდა ეზოს უფროსს, რეალურად კი მეფის სასხლის უფროსს (начальник царского двора), შემდგენი კი სახლის მმართველს, საერთოდ მმართველს.

<sup>1</sup> Акад. А. Шаниძе, Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина „ეზოსმოდღუარი“ этого смодзгуар-и в древнегрузинском (საქართველოს სსრ მცნიერებათა კადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2, 1947).

ტერმინი ეზოდასმოძუარი შემდეგში თანდათანბით გამოდის ხასახებიდან. თამარის ისტორიკოსი ბასილი თუმცა ეზოდასმოძუარად არის მოხსენებული, მაგრამ არ ვიცით თუ სასახლეში რა უფლებებით და მოვალეობით იყო აღჭრვილი იგი, რადგან გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო სამართლი ასეთ სახელოს არ იცნობს.

ა. შანიძე არკევეკუ, რომ XIII საუკუნის ერთ-ერთ ძეგლში დამოწმებულია ტერმინი ეზოთუხუცესი, რომელიც შეიძლებოდა ეზოდასმოძუარის მონაცემდები ჩაგვეთვალა, მაგრამ ეს ტერმინი მხოლოდ ერთ დოკუმენტშია მოხსენებული და არ ჩანს თუ რა შინაარსი ჯერინდა მას. ორენოვანი წარწერით ეზოდასმოძუარი სასახლის დიდი მოხელე უნდა იყოს. ავტორის აზრით, ქართული სახელმწიფო სამართლის ამ მნიშვნელოვანი სახელოს ერთმოლოგიური ანალიზი საკმარისი არ არის სახელოს ფრენქიების დასადგენად. მაგრამ ქართული სახელმწიფო ერთობითი წყობილების შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემობა, რომ 11 საუკუნისათვის დადასტურებულია საქართველოში ეზოდასმოძურაბის ინსტიტუტი.

აკაკი შანიძემ 1942 წელს გამოაქვეყნა წერილი: „ერთი იურიდიული ტერმინის მნიშვნელობისათვის“. ამ წერილს ავტორი ასეთ შენიშვნას ჰყებობს: „დაწერილია პროფ. ალ. ვაჩევიშვილის თხოვნით ერთ მის გამოკვლევებთან დაგვაშინებით („სასჯელის მიზნები და სახეები ვახტანგის კანონმდებლობის მიხედვით“).

წერილი შექმნება ტერმინი „ნასაღს“. ეს ტერმინი, აღნიშნავს აგტორი, ნამარარია ვასტენგის სამართლის წიგნში ორჯერ (მუხ. 18 და 97). დავით ჩუბინაშვილის 1841 წლის ლექსიკონში ეს ხიტყვა მიჩნეულია საპარასულიდან ნასესხებად და გადათარგმნილია, როგორც ჩრზბი, კამითი, პროცესი. ა. შანიძის შეხედულებით ასეთი განმარტება სწორი არ არის. პირველ ყოვლისა ნასაღი არ მომდინარეობს „ნიზაყ“-ისაგან, რომელიც არასულიდან მოდის და სპარსულშიც იხმარებოდა, ამასთანავე, „არაბულ-სპარსული „ნიზად“ ვერ გადმოვიდოდა ქართულში „ნასადაყ“, რადგან ასეთ გადმოსვლას მსარს არ ჟერს არც ხმოვანთა ვითარება და არც თანხმოვანთა შედეგონლობა. მაგრამ ფონეტიკური დარწკოლების გარდა არსებობს სემანტიკური ხსასიათის დარწკოლებაც: „ნასაღი“ არ ნიშნავს ჩჩებს, კამათს, პროცესს. ასეთი მნიშვნელობა არ შეეცერება ვახტანგის სამართლიდან დამოწმებულ ადგილებს“. აკაკი შანიძე იხილავს ვახტანგის სამართლის წიგნის რუსული თარგმნის (დ. ბაქრაძის რედაქციით) და ი. კარსტის ფრანგული თარგმანის სათანადო ადგილებს და აღნიშნავს, რომ არც რუსულა და არც ფრანგულ თარგმანში „ნასაღი“ მართებულად არ არის გავებული.

აკაკი შანიძის აზრით „ნასაღი არს არაბული სიტყვა ნასაყ ანუ ნასაყ, რომელიც ჩვეულებრივ აღნიშნავს რიგს, მწერივს მწყობრად გაეყობულ რასმი“-ს.

არაბულიდან ამ „ნასასხებ სიტყვაში შეცვლილია არა მარტო მისი გამოთქმა, არამედ მნიშვნელობაც, ოღონდ ეს შეცვლა მომხდარა სპარსულ ნიადაგზე, სადაც აღნიშნულ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუღია და გარკვეულ იურიდიულ ტერმინად ქეცულა“. აგტორს მოჰყვავს სტენგამის ლექსიკონიდან სიტყვა ნასაღის განმარტება, ლექსიკონის მიხედვით ნასაღის ქმნა არის „დამარტების დასჯა ცხვრის ან ყურის მოტრით ან სხვაგარი დასახირებით“; ჰამის ლექსიკონში ნასაღის ასეთი მნიშვნელობაც არის მოყვანილი: „დასჯა, ტანჯვა-წამება ტანის რომელიმე ნაწილის დასახირებით“, ხოლო „ნასაყის“ შესახებ იმავე აგტორის ლექსიკონში წერია: „ნასაყის“ ტანჯვა-წამების მიყენებული, დამასახირებული, ვინც წესრიგს აღადგენს თავდაპირელად დასჯის ამ წამების გზით“.

აკაკი შანიძის ამ შრომის მიხედვით, „ნასაღს“ ორი მნიშვნელობა ჰქონდა: 1) ერთი მნიშვნელობით „ნასაღი“ არის ასოს მოკვეთა, დასახირებება 2) მეორე მნიშვნელობით „ნასაღი“ არის წესრიების აღდგენა დამსჯელი ექსპედიციის საშუალებით. „ნასაღის“ ამ მეორე მნიშვნელობას უხალვებება სიტყვა „ყალბამი“. ამის დასასაბუთებლად აგტორს მოჰყვავს სეხნია ჩხეიძის ნაშრომიდან შემდეგი აღიღილი: ყანდარს მყოფი გიორგი XI, — „საითენაც ურჩნი იყო, გაუსევდის ჯარსა და უყვის ყათლამი: ზოგი კლეისა გარდაყარის, ზოგი ცოტხალი დამარსხის, ზოგი კბილებით დააძუირის და თავზე დაარჭევის. შეშინდა ყანდარის ქვეყანა და შეიქმნა უშენთა შენება“. აგტორის აზრით „აქ ნამარი კათლამი“ წარმოშენით არის არაბული სიტყვა, მაგრამ იხმარება სპარსულშიც და თურქულშიც (ყათლი დამშ და ნიშნავს საყველოთა ხოცა-ულეტას“).

სამხედრო წყობილების საკითხებს იხილავს აკად. ა. შანიძე ნაშრომში — „სახლთუხუცესი და ზღვათა მინისტრის“, 2

აკაკი არჩევს ტერმინ „ამილბარს“, რომელიც „ვეზხისტუასანში“ გვხდება (317, 1-2; 316-1; 370-2; 901, 1).

აკაკი არჩევს ტერმინ „ამილბარს“, რომ როცა სარიდანი ფარსადან შეეწყნარა მან მიიღო ამილბარობა, ხოლო სარიდანი გარდაცვალების შემდეგ ეს სახელო გადაეცა მის შეიღილს ტარიელს; ამილბარს კი, „ვეზხისტუასანშის“ მიხედვით ინდოეთში ჰქონდა ამირსპარსალარის სალარის შემთხვევაში მაგრამ მაცნება ცნობილი რუსთველობით კ. ინგოროვა თავის უკანასკნელ ნაშრომში („რუსთველიანას ეპილოგი“, პავლე ინგოროვა



თხზულებათა კრებული, ტომი, I, 1963, გვ. 531) პლავა იმეორებს ნ. მარის განმარტებას, რომ ამირ-ბარიბა — სახლთუხუცესობას ნიშნავს, ამიტომ ა. შანიძემ საჭიროდ მიიჩნია, ისევ შეჩერებულიყო ამ საკითხზე: „არაბულში, წერს ა. შანიძე, რო რ არის: ერთი რბილი, მეორე მაგარი, რომელთაც ან-ბარის რიგის მიხედვით არჩევნ. ჰა-ჰა-ვაზ რბილია, ქართული ჰაეს მსგავსი, ჰა-ჰუტტი — მაგარი, აფ-ხაზური ჰაეს მსგავსი ჰარა („ჩევნ“) სიტყუაში. „ბაპრ-ში“, რომელიც ზღვას ნიშნავს, ჰ-მაგარია (ჰა ჰუტტი). მაგრამ ქართულ გამოთქმაში იგიც ისევე იყარება, როგორც რბილი პ. ამირირ-ულ-ბაპრ ჩე-ულებრივი სამხედრო ტერმინია არაბულში და ნიშ-ნავს „ზღვათა ვაჟირს“. „ვეზენისტყაოსანში“ ნათ-ქეამია, რომ ინდოეთში ამირბარს ამირსპარსალართ-ბაც აქვს. ამირსპარსალარი ხმელეთის ჯარების უფროსია, ამირბარი — საზღვაო ძალთა უფროსია. მაშასადამე, ტარიელი იყო არა სახლთუხუცესი, არა-შედ საზღვაო ძალების უფროსი, რომელსაც ამავე დროს სახმელეთო ძალებიც ემორჩილებოდა. იყი იყო აღმირალიც და გენერალისმუსიც. მაშასადამე, მას ემორჩილებოდა ინდოეთის ყველა სამხედრო ძალა ზღვაზე თუ ხმელეთზე<sup>3</sup>.

დასასრულ, აგტორი ადრიშნავს, რომ ეგროპულ ენებში გავრცელებული ტერმინი აღმირალი, რო-გორც ეს ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში, არაბული ამირბარისაგან მოდის.

აკაკი შანიძე თავის წერილში „ასულო და ჩე-მო ქო“ ეხება ტერმინი „ზედისძე“<sup>4</sup>. ავტორის აზ-რით „ზე-სიძე“ მიღებულია „ქე“ სიძისაგან“; შემდევ ში „ქე-სიძე“ გადაკეთებულია „ზედ-სიძედ“. აკა-კი შანიძე ამტკიცებს რომ „საშუალოსაუკუნეობრი-ვი გაგება ქე სიტყვისა, როგორც მემკვიდრისა, დღე-ვანდელ ქართულში არის შემონახული. ამის საბუ-თია აღმოსავლეთ საქართველოში საყოველთაოდ ხმარებული სიტყვა „ზე-სიძე“.

ავტორი იშვებლიერს სათანადო წყაროებს „ქე“ სიტყვიდან—სიტყვების „ზე-სიძე“, „ზედისძის“ წარ-მოშობის შესახებ და ასკენის: „ფორმათა განვითა-რება ასეთი საპიტ წარმოგვიდგება: ქე-სიძე-ზე სი-ქე-ზედ-სიძე“. ძალიან საყურადღებოა, რომ ცოლე-

ურთას ოჯახში მისულ სიძეს დაერქვა ქე-სიძე, ე. ი. შემცვიდრე სიძე. ამით დასტურდება მისი უფლებრი-ვი მღვიმერეობა: იგი ზდება სრულუფლებიანი წევრი უჯახისა და მასზე ვრცელდება სამეცქვიდრეო უსუბ-ია განსაზღვრული უულება-მოვალეობანი“.

აგტორი ამტკიცებს, რომ სიტყვა ქე მემკვიდრის მიშნეველობით იქმარებოდა როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთ საქართველოშიც.

აკაკი შანიძის ამ ნაშრომის მიხედვით ნათელი ეკინება ზედისძეობის ინსტიტუტის შინაარსს. ირ-კვევა, რომ ზედისძეობის იურიდიული რეზიმის საწ-ყისი უნდა გეძიოთ ტერმინ „ქე“-ს, როგორც „მემ-კვიდრის“ ტერმინი.

საშუალო ქართულში ტერმინი „ქე“ რომ ვაჟის გარ-და ქალსაც ნიშნავდა, თუ კი მასზე მემკვიდრეობა გადადიოდა, ამ საკითხს ავტორი ეხება აგრეთვე ნაშ-რომში „დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დაღვენის საქმეში“<sup>5</sup>.

ტერმინ „ქე“-ს შინაარსის საკითხს ეხება აგტორი თავის წერილში — „ბიძა და ბიძაშილი თუ ბიძა-შეილები“<sup>6</sup>. ავტორი ამტკიცებს, რომ „ქე“-ს შესა-ტყების „შეილი“ ქელათაძელი სიტყვაა ქართულში, მაგრამ მისი ხმარება გვარებში (გარუმშვილი, მა-დალაშვილი) შედარებით ახალი ამბავია“, შეილის ნაცელად უფრო ადრე ქე იშმარებოდა. შემდეგში კი ზოგიერთ გვარის დაბოლოებად საბოლოოდ ქე დამ-კვიდრდა, ზოგიერთიასაში — კი შეილი. ზოგჯერ აღნაშნავ ავტორი, ისე მომზადარა რომ ორივე ფორ-მა დამკვიდრებულა, მაგალითად ანდრიაქე და ან-დრიაშვილი, ქადაგიძე და ქადაგიშვილი და სხვან. შეილი გაუსაც ნიშნავს და ქალსაც. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეობის თეალსაზრისით ქართულ ფერდალურ სამართალში ქალსა და გაჟა-არ პერნიათ თანაბარი უფლებები, გაეს შეირატესობა ჰქონდა, მაგრამ ქალიც არ იყო სავებით მემკვიდ-რეობას მოკლებული.

აკაკი შანიძის წერილში „სამგვარი მზრახველო-ბა“<sup>7</sup> გარკვეულია საკითხი იმის შესახებ თუ რო-გორ მიმართავდა უფროსი უმცროსს, უმცროსი უფ-როსს, აგრეთვე თანასწორნი — ერთმანეთს. მაგა-ლითად უფროსი უმცროსისადმი ბრძანებდა, უმცრო-სი უფროსს პატიონით და ამასხენებდა, ხოლო სწო-

<sup>3</sup> აკაკი შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, 1966, გვ. 180—183.

<sup>4</sup> აკაკი შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, 1966, გვ. 245.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 147—151.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 150.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 250—255.

რი-ცწორს ეტყოდა ან ეუბნებოდა. ამას ავტორი და-  
მაჯერებლად ასაბუთებს „გეფხისტყაოსნიდან“ და  
სხვა წყაროებიდან.

ავტორს სხვა ნაშრომში განხილული აქვს რას  
ნიშნავს მუხლა მოყრა და თითო ხევწნა.<sup>8</sup> საყუ-  
რადლებოა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, მუხლო  
მოყრა კლასობრივ საზოგადოებაში ესაჭიროება სო-  
ციალურად ან იერარქიულად დაბალ საფეხურზე  
მდგომას, მაღალ საფეხურზე მდგომისადმი.

ავტორი აღნიშნავს, რომ დაბეჭითებით ამოხსნა  
„გეფხისტყაოსნის“ გამოთქმისა — „თითო ხევწნა“  
ჯერჯერობით არ ხერხდებათ. რასაკვირველია „თი-  
თო ხევწნის“ წარმოშობის საფუძველიც სოციალურ  
გითარებით უნდა ვეძოთ.

აკაკი შანიძემ გამოსცა იურიდიული შინაარსის

ძეგლები, მათ შორის ოპიზართა და მიჯნამორელთა  
ცნობილი სიგელი, რომელშიაც XI საუკუნის ქარ-  
თული სასამართლო პროცესია ასახული.

ეს სიგელი ჩვენ შემოხევით არ დაგვისახელებია.  
ჩვენი ვარაუდით ამ ძეგლის გამოცემისას სასვენი  
ნიშანი სწორედ იქ უნდა დაისვას, სადაც ის დასმუ-  
ლი აქვს ექვთიმე თაყაშვილსა და აკაკი შანიძეს.  
ამ საკითხს აქ აღარ განვიხილავთ<sup>10</sup>, რადგანაც ამა-  
ზე უპირ ვილაპარაკეთ სხვა ნაშრომში.

ჩვენ არ შევჩერდებით აკ. შანიძის სხვა ნაშრო-  
მებზე. ეს ჩვენს თემას არ შეეხბა; მხოლოდ ერთ-  
ხელ კიდევ აღვნიშნავთ ხაზგასმით, რომ გამოჩენი-  
ლი მკლევარის ამაგი ჩვენი მეცნიერების წინაშე,  
ქართველი ხალხის წინაშე, ფასდაუდებელია.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 204—208.

<sup>9</sup> ა. შანიძე, ძეგლი ქართული ქრესტომათია, 1935 წ. გვ. 23.

<sup>10</sup> დაწვრილებით იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ის-  
ტორიისთვის, 1952, გვ. 55-57.

# ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმიწოდებელი

3. მეტრიკალი

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა ჯერონიმა  
გამოკვლეული ლიტერატურული, ფილოსოფიუ-  
რი, ისტორიული, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული  
ესთეტიკური პოზიციებიდან. სამწუხაროდ ეს  
არ ითქმის მის პოლიტიკურ და სამართლებ-  
რივ შეხედულებათა შესახებ.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ მიზნად ვისახავთ  
გამოვარკვით ილია ჭავჭავაძის შეხედულება-  
ნი სახელმწიფოს წარმოშობის, მისი არსის,  
ფილმებისა და ფუნქციების შესახებ.

სანამ უშუალოდ საკითხის შესწავლას შევუდ-  
გებოდეთ, მოკლედ შევეხოთ იმ ფილოსოფიულ  
თვალსაზრისს, რომელსაც ეყრდნობა ილია ჭავ-  
ჭავაძის შეხედულებან სახელმწიფოსა და სა-  
მართალზე.

ილია ჭავჭავაძე ბუნებისა და საზოგადოების  
მიღვწენების ახსნისას ძირითადად მატე-  
რიალისტურ პოზიციებზე დგას. იგი ბუნებას  
და საზოგადოებას განიხილავს როგორც ობიექ-  
ტურ რეალობას. მაშასადამე, ფილოსოფიის ძი-  
რითად საკითხზე იგი სწორ პასუხს იძლევა.  
ილია დაწმუნებულია ობიექტური სამყაროს  
შეცნობის შესაძლებლობაში, ამასთან მიერთ-  
ებური სამყაროს შემცნება მისთვის სხვა არაფრ-  
რია, თუ არა მისი სწორად ახსავა და გადმოცემა.  
ილიასათვის უცხო არ არის აზროვნების და  
განვითარების დიალექტიკური მეთოდის გამო-  
ყენება, მაგრამ შეცდომა იქნებოდა მისი გამო-  
ცხადება თან მიმდევ რულ დალექტიკო-  
სად.

ილია ჭავჭავაძეს განვითარება ესმის, რო-  
გორც მოვლენათა და საგანთა წინამდებობის  
შედეგი. საზოგადოებში დაპირისპირებულთა  
ბრძოლას ილია აზრით — ეკონომიკური მიზე-  
ზები განაპირობებენ, რომელიც მშვიდობიანი  
გზით უნდა გადაიჭრას.

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიული თვალსაზ-  
რის კარგად ჩანს მის შეხედულებში სახელ-  
მწიფოსა და სამართალზე. სახელმწიფოსა და  
სამართლის ილიასეული გვევბა თავის მხრივ  
შესაძლებლობას იძლევა უფრო ღრმად შევის-  
წავლოთ მისი ფილოსოფიული კრედო.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძე სამყაროს განიხილავს ადა-  
მიანის ნებისმაგან დამოუკიდებელ რეალობად,  
რომელიც აღმავალი ხაზით ვითარდება. აქედან  
გამომდინარე საზოგადოება აღამიანის ნებაზე  
კი არ არის დამოკიდებული, არამედ ობიექტუ-  
რი რეალობაა. ილია საზოგადოების განვითარე-  
ბის საქმეში უპირატესობას ცხოვრების ეკონო-  
მიკურ მხარეს ანიჭებს. ილიას ღრმად სწამს  
რომ ეკონომიკური მხარე განსაზღვრავს საზო-  
გადოების სულიერ ცხოვრებას.

ილია ჭავჭავაძის აზრით, აღამიანთა საზო-  
გადოება შეიქმნა აღამიანთა ურთიერთდაკვში-  
რების შედეგად, იმის გამო, რომ ცალკე პიროვ-  
ნება უძლური იყო ბუნების ძალებს გამკლავე-  
ბოდა: „აღამიანი ცალკედ ერთი სუსტი და ხორ-  
ციელი ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფ-  
ნით, მარტო ყოფნით ვერას — გზით ვერ მი-  
ლწევს ბედნიერებას. ამიტომაც იძულებული  
იქმნა თვისი მსგავს დანაბადონ ერთად ემოქ-  
მედნა. ამ მიზეზმა მიღებუდა, რომ ბოლოს აღ-  
მიანთაგან შესდგა საზოგადოება და საზოგა-  
დოებისაგან სახელმწიფო“.

ამ ციტატის მიხედვით ილია ჭავჭავაძე სა-  
ზოგადოების ჩამოყალიბებას ხსნის ცალკე აღა-  
მიანის უმწეობით ბუნების ძალების წინაშე.  
აქვე ჩანს, რომ აღამიანებს თავისი ნებით კი არ  
შეუქმნიათ სახელმწიფო, არამედ ისინი იძულე-  
ბული გამზღვრან ცხოვრების იძექტური პი-  
რობების გამო მათი ნებისმაგან დამოუკიდებ-  
ლად ერთმანეთს დაკავშირებოდნენ. ისა სა-  
ზოგადოების და სახელმწიფოს წარმოშობის  
საკითხის გარკვევისას ნათლად აღნიშნავს, რომ  
სახელმწიფო თუმცა აღამიანთა შეგნებული  
ურთიერთდაკვშირების შედეგა, მაგრამ იგი ობ-  
იექტური ეკონომიკური გარემოებებით არის გა-  
ნაბირობებული. ასევე ნათლად მიუთითებს იმ  
გარემოებებზე რამაც აუცილებელი გახდა სა-  
ხელმწიფოს წარმოშობა: „ყოველივე წყობილე-  
ბა, რომლის ძალითაც მოქმედობს მოვლი კა-  
ცობრიობა, იმიტომ არის შემოღებული რომ  
აღამიანი, ერთი სუსტი და უღონ დანაბა-

„დია“2. ისევე როგორც სახელმწიფოს, სამართლის წარმოშობასაც იღია ჭიდვებაძე ობიექტური ეკონომიკური გარემოებებით ხსნის: „ეპნონები დადგენილი არიან ქვეყნებურებაზედ იმიტომ კი არა რომ ესე ნებავდა აღამიანსა, არამედ იმიტომ, რომ მაგას ითხოვდა ეკონომიკური საჭიროება...3

ამრიგად, ილიას აზრით სახელმწიფო, საზო-  
ვადოების განვითარების განსაზღვრულ საფე-  
ხურზე წარმოშვა, მისი წარმოშობა იძიექ-  
ტურმა ეკონომიკურმა გარემოებებმა განაპირო-  
ბა. მაგრამ სახელმწიფოს წარმოშობის შესა-  
ხებ ზემოთ მოყვანილი ილიასეული აზრი მე-  
ტად ზოგადია; აქ თითქმის არ ჩანს ის გზა და  
თანმიმდევრობა, რომელსაც ადგილი აქვს სა-  
ხელმწიფოს წარმოშობისას. აქვე უნდა მივუ-  
თოთ, რომ ილია ჭავჭავაძეს სახელმწიფოს წარ-  
მოშობის საკითხზე სპეციალური შრომა არ  
დაუტოვებდა. ამიტომ ამ საკითხის უფრო სის-  
რულით გადმოცემა, ილიას თვალსაზრისის გარ-  
კვევა შესაძლებელი ხდება ილიას მიერ ხიზ-  
ეობის საკითხისადმი მიძღვნილი წერილების  
შეშევეობით. ამ წერილებში ილია მიზნად ისა-  
ხავს გაარტვიოს მიწაზმთვლელობის ერთ-  
ერთი ქართული სახე-ხიზნობა და სწორედ აქ  
ეხება ილია გვარონსულ წყობილებას, კერძო  
საკუთრების და კლასების, ასევე სახელმწიფოს  
წარმოშობის საკითხსაც.

სახელმწიფოს წარმოშობამდე — ილიას აზ-  
ათ — წარმოების საშუალებებზე საზოგადო-  
ებრივი საკუთრება არსებობდა: „ინდოელებს,  
სლავიანებს, — მიწა სათემო საკუთრებად ჰქო-  
ნიათ ისე, როგორც დღეს რსუსტშია და იავას  
კუნძულზედა. ოვითოეულს თემის კაცის სახ-  
ლობას წილადხღომილი მიწა სპერია დროებით.  
დროგამზებით, ეგრე გაწილადებულს მიწებს  
ისევ თემი დაბრუნებდა ხოლმე და ხელახლა  
დაუყოფდა წილის ყრით ერთად თემის კაცებს,  
რომ თვითეულს ავი და კარგი თავის რიგზე  
შეჩევდროდა. თანასწორობა მიწის მფლობე-  
ლობაში ამ სახით დაკვიდრებული იყო, მეტ-  
ნაცემებლობის ჩამოვარდნას გზა შეღლიბილი  
ჰქონდა; მიწის მშრომელი და მიწის მფლობე-  
ლი ერთი და იგივე კაცი იყო. უმამულობა ამ-  
გვარს წყობაში რასაკიირველაა. შეეძლებელი  
იქნებოდა: „კ ყველაზე მნიშვნელოვანი პირველ-  
ყოფილი თემური წყობილების დასასიათების  
დროს ის არის, რომ ილიამ სწორად შეინშნა  
პრეცენტობილი თემური წყობილების ეკო-

ნომიური საფუძველი — წარმოების საშუალე-  
ბებზე საზოგადოებრივი საკუთრება.

ილიას აზრით საზოგადოებრივი საკუთრება ანუ თემობრივი საკუთრება „პირველუაშურია“. საკუთრების ამ ფორმისათვის დამახასიათებელია ის, რომ თემის წევრები მიწაზე თანასწორულდებიანობით სარგებლობენ.

საზოგადოებრივი საკუთრების გარდა ილია  
ჭავჭავაძე იცნობს კერძო საკუთრებასც. ეს  
უკანასკნელი ილიას აზრით სზოგადოებრივი  
საკუთრების წილში ჩაისახა, გაფართოვდა და  
ბოლოს მთლიანად შეზღუდა იგი: „რავი კერ-  
ძო საკუთრება შეეპარა სათემო მიწათმფლო-  
ბელობას, მას მერქედ დაპყრიობამ, ძლიერთა  
ძალობრივობამ, ტაციანობამ, სახეომ მფლო-  
ბელობას ბოლო მოუღო, სული ამოხადა და  
ძლიერთა გაიჩინეს სათემოში საკუთრება კერ-  
ძოობით. ეს კერძოდ დაჩემება მასულებისა  
დროთა მიმავლობაში თანდათან ძლიერდებო-  
და და ამ გაძლიერებამ იქმდინ მიიყვანა საქ-  
მე, რომ ერს ცველვან ერთი და იგვევ დღე  
დააყენა: უმრავლესს ჩამოართვა თითქმის ში-  
წები და უმცირესს დაულოცა”<sup>6</sup>. მაგრავ ეს  
იმას რადი ნიშნავს, რომ საზოგადოებრივმა  
საკუთრებამ არსებობა შეწყვიტა, სზოგადოებ-  
რივი საკუთრება არსებობას განაგრძობს, თუმ-  
ცა უპირატესობას კერძო საკუთრებას უმობს.

ილია ჭავჭავაძე იცნობს კერძო საკუთრების წარმოშობის ორ გზას: 1. კერძო საკუთრება, რომელიც წარმოიშვა უცხოელ დამპყრობთა ძალობრივობის გზით და 2. კერძო საკუთრება, რომელიც წარმოიქმნის საშუალებებზე (მიწაზე) თავდაპირეელმა, თავისუფალმა დაუფლებამ განაპირობა.

როგორც აღვნიშვეთ კერძო საკუთრების ჭარბი  
მოშობის ერთ-ერთ გზად ილიას ომი მიაჩნია.  
უცხოელი დაბჟურობლები თავს ესხმოდნენ  
სხვა ქვეყნების მცხოვრებთ, ჩამოართმევდნენ  
მათ საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებულ  
მიწებს და თვითონ მიისაცუთოებლნენ: „შემო-  
სეულები ჩამოართმევდნენ ხოლმე მკვიდრებს  
მიწებსა და ერთმანეთში დაქმებით მოიჩიგებ-  
დნენ“. ილია მიუთითებს, რომ დაპყრობითი გზით  
ჭარბობიშვი კერძო საკუთრება ინგლისში, საფ-  
რანგეთში, იტალიის ნახევარკუნძულსა და ინ-  
დოეთში. სწორედ ამ დაბჟურობითმა პოლიტი-  
კამ ჭარბობიშვი ამ ქვეყნებში „არისტოკრატია,  
უსწორობა, მეტნაკლებობა“. როგორც ეხედავთ  
ილია კერძო საკუთრების ჭარბობის მიზე-

2. 8. 323723067, თხზ., გ. 5, გვ. 165.

3. a. କେବଳକୁଣ୍ଡା, ପ୍ରଦୀପ, ୮୩- ୧୧୨

4. ୧୯୨୩ମେୟୁ, ପର୍ବତୀ, ୧୧୮ — ୧୨୧

5. ୧. ମେଲାର୍ଯ୍ୟାନ୍, ପ୍ରକାଶିତ, ୧୯୫୩, ୧୦୩

5. 832, 23, 122

କେବିଦିତ ବ୍ୟାନିଶ କୁରାଙ୍ଗାଲାକ୍ଷେତ୍ର ପାଇଁ ମହାମହିମାବଳୀ, ଏ. ଓ. କ୍ରେଟର ସାହୁତରୀକ୍ଷାବାଦ ଗୁମଣିତିରେ „ସୁଶ୍ରୀରକ୍ଷା, ମେତ୍ରିକ୍ୟାଲ୍ୟାବଳନବା ଲା ଏରିସଟ୍ରୀକ୍ୟାରୀ“ ମେଧା-  
ମନ୍ତ୍ରି ହେବ ଗାନ୍ଧିକୋଲାଇସଟ ଲାଇସେନ୍ସ ମହାଶ୍ରୀବଳୀ  
ମଧ୍ୟରେ ଉଚ୍ଚକ୍ଷେତ୍ର, ତୁ ଖାଲି କାମକାରୀ ଗାନ୍ଧାରିନବା ସାହେଜ-  
ମହିମାବଳୀ ପାଇଁ ମହାମହିମାବଳୀ „ସୁଶ୍ରୀରକ୍ଷାବଳୀ, ମେତ୍ରିକ୍ୟାଲ୍ୟା-  
ବଳନବାବା, ଏରିସଟ୍ରୀକ୍ୟାରୀ“.

მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობის მეორე გზად ილია ჰავევაგაძეს აღმიანის შრომა, მიწის თავდაპირველი დაუფლება მიაჩნია. ილია მრუთითებს, რომ აქ სადაც კერძო საკუთრების წარმოშობის დაპყრობით გზას არ ჰქონია აღგილი — გადამწყვეტი როლი პირადმა შრომამ, მიწის თავდაპირველმა, თავისუფალმა დაუფლებამ ითამაშა: „მაგალითებრ, ვინც ახოს გამოიღებდა საოემო მატულში, შეეძლო დაეჩერა ახოდ გამოლებული მიწა. კარგა ხნობით. მაგ კარგა ხნობამ იქამდინ იარა, რომ ახო რჩებოდა კაცს, მანამ ცოცხალ იყო და ბოლოს საშვილიშვილოდაც გახდა. ვინც ცარიელს უხმას მიწას საოემოში ანუ ტყეს შემოლობდა შესამუშავებლად, იმას საშვილიშვილო შეეძლო დაეჭირა შემოლობილი. ამგვარი მიწები თემის ხელვევითობიდან გამოდიოდა, ასე რომ თემს აღარაფერი უფლება არა ჰქონდა. თვით საოემო გარდასახადისაგანაც თავისუფალი იყო“<sup>7</sup>.

კერძო საკუთრების დახასიათებისას ილია ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მიწაზე კერძო საკუთრება „ოფიციალური საკუთრებისაგან“ განსხვავებით უმცირესობათა საკუთრება იყო. იგი სათემო მიწებისაგან ცალკე გამოიყოფოდა და თემს მასზე ხელი არ მიუწვდობოდა. მაშასადამე, კერძო საკუთრება, ილიას აზრით, გარკვეული ჯგუფის კუთვნილებას შეაღენს და იგი ხელშეუხებელია, ამასთან, კერძო საკუთრების საზოგადოების უმრავლესობა მოკლებულია, მას საზოგადოების უმცირესობა ფლობს.

ახლა გვარეკოთ ილია ჭავჭავაძის აზრი  
იმის შესახებ, თუ ორგონზ გამოწვია კერძო  
საკუთრების წარმოშობაშ სახელმწიფოს წარ-  
მოშობა.

მიწაზე კერძო საკუთრების თანდათანობით  
გაუაროვებამ შეზღუდა საზოგადოებრივი სა-  
კუთრების ფარგლები. საზოგადოებრივი საკუთ-  
რების მასშტაბი მცირდება, მის გვერდთ იზრ-  
დება კერძო მესაკუთრეთა ჩიქვე. ოემი ვე-  
ლარ აქმაყოფილებს მასში შემავალ წევრთა მო-  
თხოვნილებას მიწაზე, რის გამოც თემის წევ-  
რაბი ძირითადობით ჩიგირან მას მიმართონ, ვე-

და მიწა გაიჩნია: „ეკრძოობრივი საკუთრებულება დასხლია თემობრივი და ბოლოს იქმდე მიიყვანა რომ თემი, რომელსაც წევრთა რიცხვი ემატებოდა და მიწები კი ხელიდან ეცლებოდა, ვერაც უძლევებოდა გამრავლებულთ თემის კაცებს და უმატლოდ დარჩენილს კაცს თემის გარეთ უნდა მოენახა სახსარი თავის რჩენისა და გამოკვებისა“<sup>8</sup>. ქედან გამომდინარე, ილიას აზრით, თემის დაშლა მიწაზე კრძო საკუთრების ჩასახვამ და შემდგომმა გაფართოებამ გამოიწვია. საზოგადოება ორ ჯგუფად გაიყო: წარმოების საშუალებების მქონებად და წარმოების საშუალებებს მოკლებულებად. პირველს ილია „მიწის მქონებელთ“ უწოდებს. მეორეს კი „უხელოებს“. საზოგადოების გათიშვის კლასებად ილია ბუნებრივი მიმღინარეობის დარღვევას უწოდებს: „მაგ განშორებამ და განცალკევებამ ღიდად შეარყია და შეშალა ბუნებრივი მიმღინარეობა ეკონომიკურის ცხოვრებისა, იმიტომ, რომ ერთ მხრივ დარჩა მუშახელი უმიწოდ და მეორე მხრივ — მიწა უმუშახელოდ“<sup>9</sup>.

ილია ყურადღების გარეშე არ ტოვებს კერძო შესაკუთრებასც. მისი აზრით, კერძო მიწათმფლობელები, რომლებმაც დიდი იღენობით მიწები ჩაიგდეს ხელში, გარკვეულ სინდელეებს ხდებიან იმ მხრივ, რომ ისინი უძლური არიან დამუშაონ აუარებელა მიწები. მათ მუშახელი ესპირირებათ. ამიტომ ჟულებული ხდებიან მიწების დასამუშავებლად მოიწვიონ უმაწოდ ხალხი. ეს უკანასკნელი კი მძიმე ეკონომიკურ ძგლომარეობის გამო თანხმდებიან დაექირაონ მიწის მფლობელთ: „თვითონ მიწის პატრიონებიც, რომელთა ხელში დიდალი მამულები მოგრძოვდა იძულებულ იყვნენ მოეწვიათ მამულის მეთებელი მუშა, და რომ სამერმისიოდაც ჰყოლობდათ, უნდა მამულზედ დაეყნებინათ. და ისე მოქერხებინათ, რომ სამუდამოდაც დაებათ. ერთის მხრივ, უმამულობა მიწის მოქმედისა და მეორის მხრით უხელობა მიწის მეპატრიონებისა იყო დასაბამი ბატონებისა ას...“<sup>10</sup> (ხაზი ჩვენია—ვ. გ.) უფრო ქვემოთ ილია აკონკრეტულს თუ როგორ „მორიგლენენ“ მიწის მუშა და მიწის მფლობელის: „აი სწორედ ამ გარემოებამ, ამ მფლომარეობამ შეახვედრა ერთმანეთს მამულის პატრიონი და მუშავი, მიწათმფლობელი და მიწათმოქმედი. აი სწორედ ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო მიწათ-

7. օ. Հայության, տե՛ս. է. 6, 23. 120

8. 2530, 23: 121

9. ଦେଶ, ୧୩. ୧୪୨.

10. 233, 23. 121

პატრონი და მუშავი ერთმანეთს შექმრონენ  
და მოჰირი გე ბოლნენ (ხაზი ჩვენია — ვ. მ.)  
ერთს ის მიეცა მეორისათვის, რაც ვითონ არა  
პერნდა, თორემ მწაც უქმდ დარჩებოდა და  
ხელიცა“<sup>11</sup>.

როგორც აქედან ჩანს, ილია თუმცა ლაპარა-  
კობს მიწის მქონებელთა და უმიწოთა ურთი-  
ერთდაქაშირების შესახებ, მათი მორიგების  
შესახებ, რაც ბატონების საფუძველი გახ-  
და, მაგრამ არსაც არ ასენებს სახელმწიფოს?  
ისმება კითხვა, რა გვაძლევს საფუძველ ვამ-  
ტეორო, რომ მიწისთა და უმიწოთა მორიგე-  
ბაში ილია სახელმწიფოს წარმოშობას გულის-  
ხმობა? ჩვენი აზრით, ვინაიდან ილია თითქმის  
თანმიმდევრულად ავიწერს სახელმწიფოს წარ-  
მოშობის სტადიებს (გვარინული წყობილების  
რღვევა, კერძო საკუთრების და კლასების წარ-  
მოშობა, მათ შორის თანამშრომლობის დამყა-  
რება) — სხვანარი დასკვნის გაკეთება არ შე-  
იძლება, ილიას სწორ წანამდგრებს ჩვენ მხო-  
ლოდ ლოგიკური დასკვნით ვაგვირგვინებთ და  
ვთვლით, რომ ზემოთ აღნიშვნულ მსჯელობაში  
ილია სახელმწიფოს წარმოშობას გულისხმობს.  
კულასობრივი სტორგადოება სახელმწიფოს გუ-  
ლისხმობს, უკანასკნელის გარეშე პირველი არ  
წარმოიდგინება. „უსახელმწიფო“ კლასობრი-  
ვი საზოგადოება ისევ არ არსებობს, როგორც  
ცოცხალი ორგანიზმი სიცოცხლის გარეშე“<sup>12</sup>.

სახელმწიფოს წარმოშობის ილია ჭავჭავაძი-  
სული თეორია ერთი შეხედვით მე-18 სა-  
უკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის და-  
საწყისში წარმოშობილ პატრი მონ იალუ რ  
თეორიას მოგვაგონებს. ამ თეორიის წარმომად-  
გენლები (შვეიცარიელი კ. ლ. ფონ ჰალლერი  
და ფრანგი უ. დე მესტრი) ასაბუთებდნენ, რომ  
სახელმწიფო მიწაზე კერძო საკუთრების დამ-  
ყარების შედეგად წარმოშვა. სახელმწიფოს  
წარმოშობის პატრიმონიალური თეორია მიზ-  
ნად ისახავდა ფეოდალური წესწყობილების მა-  
რადისობისა და „სამართლიანობის“ დასაბუთე-  
ბას. ილია ჭავჭავაძე ამ თეორიის წარმომადგენ-  
ლები არ შეიძლება ჩაითვალოს, იმდენად, რმ-  
დენადაც მას არასოდეს არ დაუსახავს მიზნად  
მოველებული წესწყობილების დაცვა და დასა-  
ბუთება. პირველი — ილია მთელი თვისი მოღ-  
ვაშეობის პერიოდში მედგრად იბრძოდა ღრო-  
მოშული წესწყიბილების აღსაველად.

ჩვენ იმ აზრისა ვაჩო, რომ სახელმწიფოს

წარმოშობის საკითხში ილია ჭავჭავაძის გარეშე  
ულად უახლოვდება ბუნებითი სამართლის  
სკოლის იმ წარმომადგენლებს, რომელიც სა-  
ხელმწიფოს წარმოშობის საკითხს ხელშეკრუ-  
ლების თეორიით ხსნიდნენ, თუმცა იმ განსხვა-  
ვებით, რომ მათ სრულიად სხვა მიზნები ამოდ-  
რავებდათ, ვიზჩე ილია ჭავჭავაძეს.

ამის დასამტკიცებლად მიზნშეწონილად  
მიგვაჩნია გავალოთ პაროლელი სახელმწიფოს  
წარმოშობის ილია ჭავჭავაძისეულ თეორიასა  
და ხელშეკრულების თეორიის შორის, რითაც  
გაირკვევა თუ რაში უახლოვდება ილია ამ  
თეორიის ან რაში ემიგრება მას.

ბუნებითი სამართლის სკოლა ყოველთვის  
იცავდა არსებულ საზოგადოებრივ წყობილე-  
ბას, თეორიულად ასაბუთებდა მის „სამართლი-  
ანობას“ და მარადისობას.

ხელშეკრულების თეორიის წარმომადგენლე-  
ბი ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომად-  
გენლებიც არიან. ისინი მიზნად ისახავდნენ  
გაბატონებული კლასების მუდმივად არსებობის  
დასაბუთებას და მოუწოდებლენ მშრომელებს  
უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ თვითან გამ-  
გებელთ.

ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომად-  
გენლები — XVII—XVIII საუკუნეების ბურ-  
რუაზიული განმანათლებლები — ჰუგო გრიცი-  
უსი, პობსი, უან-უა რუსო და სხვები ამტკი-  
ცებლენენ, რომ სახელმწიფო წარმოშვა ადა-  
მიანთა ერთიერთშეთანხმების ანუ მათ შორის  
ხელშეკრულების დადების გზით. მანამდე კი  
სახელმწიფო არ არსებობდა და ადამიანები მის  
გარეშე ცხოვრობდნენ. ინგლისელი ფილოსო-  
ფისის პობსის (XVII საუკუნე) აზრით სახელ-  
მწიფოს წარმოშობამდე არსებობდა ადამიანთა  
პირადი თავისუფლება, მაგრამ მის გვერდით  
ადგილი ქონდა ველურ ანარქიას და ომებს<sup>13</sup>.  
ფრანგი განმანათლებელი უან-უა რუსო აცხა-  
დებდა, რომ ადამიანები სახელმწიფოს წარმო-  
შობამდე ბენიერად ცხოვრობდნენ, რომ სა-  
ხელმწიფოს წარმოშობამდე იქროს საუკუნე  
იყო, სადაც საყოველოა მშვიდობა, თავისუფ-  
ლება და თანასწორობა სულევდა<sup>14</sup>.

ხელშეკრულების თეორიის მიხედვით კერძო  
საკუთრების წარმოშობა დარღვევა პირველ-  
ყოფილი მყუდროება, დამყარდა უთანასწორო-  
ბა, დაიწყო ომები და იმისათვის, რომ ადამი-  
ანებს არ გაენადგურებიათ ერთმანეთი — ხელ-

11. იქვე, გვ. 143

12. ივ. სურგულაძე. სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, საქართველოს  
სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 1.  
1961 წ.

13. Т. Гоббс, Философские основания о гражданине, М., 1914, т. I, гл. X.

14. Жан-жак Руссо, Об общественном договоре СПБ, 1907, стр. 25.

შეკრულება დადგის ურთიერთ შორის სახელმწიფოს შესაქმნელად. რუსოს აზრით ხელშეკრულებით ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს მთავარ საზრუნვას. ადამიანთა თავისი უფლებების დამატებით შორის თანასწორობის დამყარება შეაღენდა 15.

სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულადბის თვეორია არამეცნიერულია. ამ თვეორიის შეცდომა მარტო ის კი ორ არის, რომ სახელმწიფოს განიხილავს როგორც ადგანანთა შემოქმედების პროდუქტს, არამედ ისიც, რომ ეს თვეორია ერთმანეთისაგან წყვეტს სახელმწიფოსა და სამართალს. ამ თვეორიის მიხედვით სამართალი მუდმივი მოვლენაა, იგი სახელმწიფოს წარმოშობამდე არსებობდა, თუმც სახელმწიფო კი სამართალზე მოვლანებით წარმოიშვა ადგანიანთა ბუნებითი უფლებების დასაცავად.

სახელმწიფოს წარმოშობის იღია ჰავეკავა-  
სეული თეორია უფრო-პროგრესული და წინ-  
გადადგმული ნაბიჯია ხელშეკრულების თეორი-  
ასთან შედარებით. იღიას უპირატესობა იმაში  
მდგომარეობს, რომ თუ ხელშეკრულების თე-  
ორიის წარმომადგენლები მთლიანად უარყოფენ  
სახელმწიფოს, როგორც კლასთა ბრძოლის  
პროცესზე — იღია სახელმწიფოს განხილვების  
რაოდრც კლასობრივ მოვლენას, თუმცა იგი  
ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო  
ანტრაგნისტურად განწყობილ კლასთა ბრძო-  
ლის შედეგად წარმიშვა. მაშასადმე, იღიას  
უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ხელ-  
შეკრულების თეორიის წარმომადგენლობათვის  
სახელმწიფო აღამიანთა შორის დადგენული  
ხელშეკრულებაა, იღიასათვის კი სახელმწიფო  
კლასობრივი მოვლენა.

ქელშეკრულების ოფორტის წარმომადგენლე-  
ბისაგან განსხვავებით იღება ჭავჭავაძეს მიზნებ  
არასოდეს დაუსახავს დესტუტიგია ღარიბთა  
მორჩილება მდიდრეთა წინაში. პირიქით, იღებას  
მოღვაწეობა იქითევს იყო მიმართული, რომ  
როგორმე შეემსუბუქებინა მურიმელთავის  
ტკიართი, გამოენახა მათი ეკონომიური მდგრად-  
რეობის გაუმჯობესების გზები. ამდენად, იღე-  
სასთვის უცხოა ექსპლორატაციის ისტორიულად  
არსებობის დასაბუთობა.

ଓৰ প্ৰয়োগিকৈ এস সিৰন্মদ্বৱীলুৱ শ্ৰেষ্ঠাদৰ্থেৰা, মাৰ্শিন লংগড়াপুৰীৱ ইৰমেৰা কৃতকৰ্ত্তা: রূপ গুৰুত্ব-  
ৱৰুণা ইৰ পুঁজিৰ, রূপ ইলোৱা পুঁজিৰুৱাকৰ্ম সাক্ষৰণ-  
মৰ্ফিয়োল ফাৰমণশৰুণৰ কেলশ্ৰেণ্যৰুলৱৰ্ধোৰ মিশ্বাৰুৱ  
টোকৰোৱা ফাৰমণায়েনা? হৰ্জেৰো আশৰীত, আমাখী ইমৰ্ফ-  
ৰ্ভেৱা ওৰ্মা দৰিদ্ৰতাৰম মিৰ্ছেৰ্ভো: 1. ইলোৱা পুঁজি-  
ুৱাকৰ্ম ফাৰমণাল ইৰুণৰুণৰ ইম কেৰুণৰুণীলোৱাৰুৱ

წარმომადგენელთა — პობსის, რუსოს, გრიცი-  
უსის, სპარზას, პუფენდორფის, ვოლფის, ლე-  
სინგის და სხვათა შრომებს. უდივო, რომ ამ  
შრომებმა გარევეული გავლენა მოახდინეს ილი-  
ას თეორიის შემუშავებაზე. 2. სახელმწიფოს  
წარმომადგენელის ილია ჭავჭავაძის შეულ  
თეორიის ჩამოყალბერაში მთავარი და გაღმმატყველი რო-  
ლი საქართველოს იმდრაონდელმა სოციალ-  
პოლიტიკურმა ვითარებამ ითამაშა.

ცნობილია, რომ 1801 წელს საქართველო შე-  
უერთდა რუსეთს. მეცის რუსეთი საქართვე-  
ლოში კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდა,  
ფეხსვევში თელავდა ყაველგვარ ეროვნულს და  
ქართველ ხალხს გარუსებით ემუქრებოდა. იმ  
პერიოდის მოწინავე ქართველი ინტელიგენცი-  
ის წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ მოსა-  
ლოდნელი უბედურება და სწორედ ამიტომ იყრ  
რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში მათ  
ეროვნულ-განგათვისუფლებელი მოძრაობის  
დღიურში აღმართეს. ამ მოძრაობას ილია ჭავჭა-  
ვაძე ქლავ სათავეში.

ეროვნულ-განმავისუფლებელი ბრძოლის  
წარმატებისათვის საჭირო იყო ქართველი ხალ-  
ხის ერთსულოვნება, კველა წოდება სოციალ-  
ეკონომიური მდგრამარეობის მიუხედავად სა-  
ქართველოს ეროვნული თვითმყოფების „შესარ-  
ჩუნებისათვის ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო. ამ  
მიზნით ილია ჭავჭავაძე ქადაგებს „მმობას“, „ერ-  
თობას“ და მოუწოდებს მთელ ქართველ ხალხს  
სადაც საკითხების მშეობებიანი გზით გადაჭ-  
რისავენ, მთელი ყურადღების გამახვილებას  
ეროვნული თვითმყოფების შესანარჩუნებლად-  
კოველივე მის გამო ილია ჭავჭავაძე უარყოფს  
საქართველოში კლასიკიზმი ბრძოლას, ქადაგებს  
წოდებათა თანამშრომლობის იდეებს, მათ შო-  
რის მორიგებას: „ჩევენ კარგად ვერ გავიგია  
ამ შემთხვევაში რას ნიშნავს სიტყვა უმაღლესი  
წოდება, რადგანაც ის არევ-დარევა წოდებათა  
მნიშვნელობის შესახებ ეხლანდელს დღოში  
რომელიც ყოველგან არსებობს, მრავალს იქცია  
და გაუგებარს გარემოებას გამოიწვევს“<sup>16</sup>. წო-  
დებათა თანამშრომლობის იდეას ილია არსად  
არ ღალატობს. ეს იდეა ბოლომდე გასდევს მის  
მხატვრულ თუ პუბლიცისტურ მემკვიდრეობას.  
წოდებათა თანამშრომლობისათვის ხშირად იგი  
საქართველოს ისტორიულ წარსულსაც მოიშ-  
ვლიას და ცდილობს დაასაბუთოს რომ, სა-  
ქართველოში ოდითგანვე არსებობდა წოდება-  
თა შორის ჰარმონია. ყოველივე ეს, როგორც  
ზემოთ აღნიშვნეთ, საქართველოს ეროვნული  
გადატჩნის იდეით იყო განვირობებული. სა-

ხელმწიფოს წარმოშობის ილიასეული გაგებაც, საქართველოს ეროვნული თვითმყოფობის თეორიულ დასაბუთებას ემსახურებოდა. მით ილია ჭავჭავაძემ კიდევ ერთხელ მოუწოდა ქართველ ხალხს შემჭიდროებულიყო და მთელი ყურადღება გაემახვილებინა ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე ვერ ამაღლდა სახელმწიფოს წარმოშობის კეშმარიტ-მეცნიერულ თეორიამდე, ვერ შენიშვნა (შეიძლება არ შენიშვნა) რომ საქართველოში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, სახელმწიფოს წარმოშობა ეკონომიურად გაბატონებულ და ეკონომიურად დაჩიგრულ კლასთა შროის ანტაგონისტურმა დამოკიდებულებამ განაპირობა. მაგრამ ამის მიუხედავად ფრიად საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის ის მიგნება, რომ სახელმწიფო ისტორიული კატეგორიაა, სახელმწიფოს წარმოშობამდე უკლასო საზოგადოება არსებობდა, რომლის რღვევის შედეგად წარმოშვა კლასები; ხოლო მათ შროის გარევული წესით დამყარებულმა ურთიერთობამ წარმოშვა სახელმწიფო. სახელმწიფოს წარმოშობის ახსნა სოციალ-ეკონომიური მიზეზებით — ილია ჭავჭავაძეს დიდ მოაზროვნეთა რიგებში აყენებს.

\* \* \*

ილია ჭავჭავაძე მარქსიზმის წინა პერიოდის მოაზროვნება. ამასთან მას სახელმწიფოს საკითხებზე სპეციალური შრომა არ დაუწერია. ამიტომ ბუნებრივია მას ვერ მოვთხოვთ სახელმწიფოს ასუზე ისეთსავე დებულებებს, როგორც მარქსისტი მოეთხოვება. სახელმწიფოს არსის ილიასეული გაგებისათვის უნდა ვიქმაროთ ის, რომ ილია სახელმწიფოს მიიჩნევს კლასობრივ მოვლენად და ამავე დროს მთელი საზოგადოების (განურჩევლად კლასებისა) ინტერესების გამომხატველად.

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოს მიიჩნევს როგორც კლასთა ინტერესების შეხეძების საშუალებას, ასევე მთელი საზოგადოების წინსვლის, ადამიანთა შროის მშვიდობიანობის დამყარების და მათ უფლება-მოვალეობების დაწესების საშუალებას.

ილიას რომ სახელმწიფო კლასთა თანამშრომლობის საშუალებად მიაჩინა, ეს ჩანს მის მიერ კლასთა ბრძოლის უარყოფიდანაც. მაგრამ ილია კლასთა ბრძოლს მარტივი საქართველო-სათვის უარყოფს (სხვა საქმეა თუ რამდენად ახერხებს ამას), რაც შეეხება კლასთა ბრძოლას გრძობის ქვეყნების მაგალითზე-აჯ ილია ინობს' მას. მაგალითად, XIX საუკუნის მეორე

ნახევრის ინგლისის დახასიათებისას ილია არინავნავს: „ამაზედ თუ არა დიდი, არა ხალცები ტკივილი ინგლისისა — მუშახელის აღრევა არის. ეს ისეთი წყლულია, რომ შეიძლება ადამიანი თან გადაიტანოს. თუ იქ, საცა იმოღენა კანონიერი გზა აქვს ცველას თავისი ტკივილი სხვას გააგონოს, თუ იქ, საცა გრძნობა კანონიერებისა, წესიერებისა ცველას სულა და გულში გამჭადარი აქვს, მუშახელი აიშალა და ძარცვა-გლეჭა დაიწყო, ჰსხანს სატყივარი დიდია და ორმად განძირული აგებულებაში...“<sup>17</sup> ამრიგად, ილია ზოგიერთი სახელმწიფოსათვის ცნობს კლასთა ბრძოლის ფაქტს. აქედან გამოდინარე ილიას შეხედულება სახელმწიფოზე, როგორც კლასთა მშვიდობიანი თანამსახურების საშუალებაზე, თანამიმდევრული არ არის. ილია წინამდევგობაში ვარდება. მას სურს დასაბუთოს კლასთა ბრძოლის არ არსებობა, მაგრამ ფაქტებისა და მოვლენების ასახვისს თავისი სურვილის წინამდევ კლასთა ბრძოლის არსებობის მაგალითებსაც გვიჩვენებს. ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძეზე შევგვძლია გავარრცელოთ იგივე სტყვები რაც ვ. ი. ლენინმა აღნიშვნა ლ. ნ. ტოლსტოის მიმართ, უწინდა რა მას რესეტის რევოლუციის სარეა: „წინააღმდეგობა ტოლსტოის ნაწარმოებებში, შეხედულებებში, მოძღვრებებში, სკოლუში მართლაც ხმამაღლა მღლილებელია. ერთი მხრივ, გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რესეტის ცხოვრების უბაღლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირელაბარისხოვანი ნაწარმოებნიც. ...ერთთ მხრივ, კაბიტალისტური ექსპლოატაციის ულმობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოს და სახელმწიფო მმართველობის კომედიის მხილება... მეორე მხრივ — სალოსის ქადაგება „ბოროტებას წინამდევგობა არ გაეწიოს“ ძალადობით“.<sup>18</sup>

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოს არსის გარევებისას ცდილობს დასაბუთოს სახელმწიფო, როგორც კლასთა მშვიდობიანი თანამშრომლობის საშუალება, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებს მას.

ფრიად საყურადღებო ილია ჭავჭავაძის მოსახლეობა სახელმწიფოს ფორმებისა და ფუნქციების საკითხზე.

მარქსამდელი იურიდიული მეცნიერება უძლური იყო ღრმა მეცნიერული დასკვნები გაექვეთებიან სახელმწიფოს ფორმის საკითხზე. მარქსამდელი იურისტები სახელმწიფოს ფორმის ცნებას ძირითადად მმართველობის პრინციპებს უკავშირებდნენ. ამ უკანასკნელში კი-

17 ბ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 9, გვ. 83

18 ვ. ლენინი, თხზ. ტ. 15, გვ. 237—238

გამოხატულებას პოულობდა მმართველი წრეებისა და მათ ქვეშევრდომთა ურთიერთდამკიოდებულება, აგრეთვე პიროვნების მდგომარეობა სახელმწიფოში.

სახელმწიფოს ფორმის ცნებას ილია ჭავჭავაძე უკავშირებს სახელმწიფოში დამყარდებულ პილიტიურ რეებს. მა უკანასკნელში კი გვლისხმობს აროტოც სახელმწიფო წყობილების ისე სახელმწიფო მმართველობის ფორმებს. ყოველივე ეს ილიას მთელი თავით მაღლა აყენებს მარქსისტული პერიოდის იურისტებსა და სახელმწიფოს ურთიერთდამკიოდებას.

მმართველობის მხედვით, ილია ჭავჭავაძე იცნობს დემოკრატიულ და ანტიდემოკრატიულ ფორმის სახელმწიფოებს. ანტიდემოკრატიული (ბიუროკრატიული) სახელმწიფოს შესახებ ილია აღნიშნავს, რომ აქ ყველაფრის მოქმედია მთავრობა და არა ხალხი: „ამ შემთხვევაში მთავრიბა ყოველგვარი საქმის დაწყები და მოთავეა. ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, ყოველის მზრუნველი და გამგება, ასე, რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის, ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარი მოხელე-კაცი ჰყავანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშავს, თვით გადააყენებს და რომელიც მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელი<sup>19</sup>. ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძეს მხედველობაში აქვს ისეთი სახელმწიფო, რომელშიაც ხალხის ფართო მასები მოკლებული არიან ხელისუფლებას, მასასადამე ილია აქ ისეთი ანტიდემოკრატიულ სახელმწიფოზე მიუთითებს, სადაც ადგილი აქვს მმართველობის ცენტრალიზაციას, ბიუროკრატიულ მმართველობას, ან ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს.

სხვა ადგილზე ილია ჭავჭავაძე მმართველობის ასეთი ფორმის სახელმწიფოს შესახებ აღნიშნავს: „ცენტრალიზაციური სისტემა იმგვარს მოწყობილობას ნიშნავს როცა უფლება და გამგეობა საზოგადოებრივი, ანუ სახელმწიფოებრივი, ერთის კაცის ხელშია, ანუ ბევრთა ხელში-მაგრამ ერთს ადგილას კი მაგალითებრ, სპარსეთში უფლება და გამგეობა ერთი კაცის ხელშია, სახელდიბრ შპარის ხელში. იქ ითქმის, რომ ცენტრალიზაციური სისტემაა. საფრანგეთში ეგ უფლება და გამგეობა ბევრის ხელშია, მაგალითებრ-პარლამენტის ხელში, მაგრამ ერთს ადგილას კი, სახელდიბრ პარიზში. აქაც ითქმის რომ ცენტრალიზაციური სისტემაა.

ამ ორივეს, თვალიად სხვადასხვანის მაგალითს, საზოგადო ისა აქვს, რომ ყოველიც უფლება ერთის წერტილიდან (ცენტრიდამ) გამოიდის და ერთსავე წერტილს (ცენტრს) მიერთმევა, ასე რომ ყოველს კუნძულს, ყოველს კუთხეს რომელისამე ერთიანის სახელმწიფოსას ერთის წერტილიდამ ექლევა ყოველივე წესი და რიგი ცხვრებისა, ერთმანეთში მოთავსებისა და ერთმანეთში განწყობისა. ადგილობრივის ტკივილის წამლებათვისაც კი იმ ერთს წერტილს უნდა მიქმართოს ხოლმე კაცმა და იქედამ მოელოდეს შველასა...“<sup>20</sup>

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო მმართველობის მიხედვით იცნობს დემოკრატიულ სახელმწიფოსაც. ილია აღნიშნავს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ცენტრალურ მმართველობას („სახელმწიფო საჭიროებს საქმებს“) მთავრობა განაგებს, ადგილებზე კი-თვითმმართველობაა დამკვიდრებული, ე. ი. ადგილობრივი მოსახლეობა ირჩევს თავის სასურაველ მოხელეებს, რომლებიც განაგებენ ადგილობრივი საჭიროების საქმებს. ადგილობრივი მოხელეები ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე: „მეორე გვარი მმართველობა იგარ, საცა მთავრობას ხელთ უბყრია მარტო მთელის სახელმწიფოს საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაუთოებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივი და განაწილებული განიგებიან უსათუოდ ადგილობრივა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამაცე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან“<sup>21</sup>. სხვა ადგილზე ილია ჭავჭავაძე უკვე დემოკრატიულ და ანტიდემოკრატიულ სახელმწიფოთა ცალკეულ სახეებზე მსჯელობს: „...როგორც უნდა იყოს უმაღლესი მთავრიბა თვითმპყრბელობითა, მონარქიული, წარმომადგენლობითი თუ რესპუბლიკის სახისა...“<sup>22</sup> მაშასადამე, ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოს მმართველობის ფორმის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავდს თვითმპყრბელობით, მონარქიულ, წარმომადგენლობით და რესპუბლიკის სახის სახელმწიფოებს.

მმართველობის მხედვით სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმათა განხილვისას ილია ჭავჭავაძე უპირატესობას დემოკრატიულ რესპუბლიკას ანიჭებს და მიუთითებს, რომ დემოკრატიული

19. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 36

20. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5, გვ. 316 — 317

21. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 36

22. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 42

რესპუბლიკა იმით არის უმჯობესი რომ იგი გზას უსწინის თვითმმართველობას, ან ხალხის ფართო მასების მონაწილეობას სახელმწიფო საქმიანობაში. ილია ჭავჭავაძე სიმპატიურადა განწყობილი პარლამენტარული რესპუბლიკისადმი, მისი გამო, რომ მისი აზრით პარლამენტი გზას უსწინის თვითმმართველობას. ილია ასარებს ის ფაქტი, რომ ინგლისის პარლამენტი უფლებას ანიჭებს ირლანდიას შექმნას თავისი პარლამენტი. მაგრამ მეორეს მხრივ გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ჟაკი ირლანდიას თავისი საკუთარი პარლამენტი ექნება საერთო ინგლისის პარლამენტში ვერ მიიღებს მონაწილეობას: „ამ სახით, ირლანდიას თავის საკუთარ საქმეთა წარმოებაში სრული უფლება და ნება მიენიჭება და საკუთარ სიმბერით საქმეების წარმოებაში კი ხმის ნება არ ექნება. აյ როგორც თავი ბოლოს არ ების, საერთო სიმბერით ხარჯის გაშერჩევი, სამხედრო საქმეების მოწყობაში, საკოლონით პოლიტიკაში და სხვა ამისთანა საყოველთაო საქმეში ირლანდია მოვალე იქნება და ემორჩილოს საერთო ინგლისის პარლამენტსა, საცა არც ერთი წარმომადგენელი და მოსარჩევე არ ეყოლება. იმისთანა ქვეყანაში როგორც ინგლისია საცა არავითარი მოვალეობა მქონდრთავის დადგნილი, მკილრთა დაუკითხავად შესაძლებელი არ არის, ეს საერთო პარლამენტიდან გამოკლება-ირლანდიელთა-ჭეშმარიტის ლიბერალობის შინააღმდეგია“<sup>23</sup>.

ჩენი აზრით, ირლანდია-ინგლისის ურთიერთობის განხილვისას ილია ჭავჭავაძე თავის ბეჭერული სამშობლოს თვითგამორკვევის იდეებით ხელმძღვანელობდა. ირლანდიის სახით ილიას საქართველო ჰყავს მხედველობაში. იგი მომხრეს საქართველოს საკითხი რუსეთის მრავალეროვან იმპერიაში ისევე გადამწყვეტილიყო, როგორც ირლანდიისა ინგლისის სახელმწიფოში. საქართველოს მოწყობის სურვილი ირლანდიის მსგავსად — უფრო თვალიათლივ ჩანს ილია ჭავჭავაძის შეხედულებაში სახელმწიფოს წყობილების ფორმებზე, რასაც ქვემოთ განვიხილავ.

უკიდველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო წყობილების მიხედვით იცნობს მარტივ ანუ უნიტარულ სახელმწიფოს და რთულ სახელმწიფოს. ილია ჭავჭავაძის იდეალია მარტივი სახელმწიფო. მისი აზრით მარტივ სახელმწიფოს საფუძვლად უნდა დაედოს მასში ერთი ხალხის მოწყობაში.

ან უაღრესად აზლო ნათესაობაში მყოფი ერგბის გაერთიანება. ილიას მოპყავს სხვადასხვა მეცნიერთა აზრი უნიტარული სახელმწიფოს უპირატესობის დასტრიციცებლად: „საზოგადო... ინკორპორაცია ქვეყნისა, რომელსაც ჰქონია თავისი ისტორიული ეროვნება, ყოველთვის დიდი სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე სარგებლობა“<sup>24</sup>. აქვე ილია ჭავჭავაძე მიუთხოებს, რომ ისტორიულ ერთა მოსპობა შეუძლებელია, ისტორიული ერები დიდი უბედურებისა და დამცირების მიზეულავად კვლავ აღდგებან და დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულებად ჩამოყალიბდებან: „ეხლანდელ დროში, ხომ როცა ასე საყოველთაოდ განტეიცებულია და ოდგნებულია ეროვნული გრძნობა და თავისუფლების სურვილი, ესე — გვარი საქმე უფრო რო ძნელ საქმეს წარმოადგენს. მოსპობა რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და თვისებისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა, — ეგ იმას ჰნიშვანეს, რომ ძალად და განზრას აიღოს მან თავის თავზედ ხელი, დაივიწყოს თავისი უწინდელი ცხოვრება, თავისი მოგონებანი, თავისი დაცემული დიღება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე, ენა და სუყველა ეს მტრის გასახარელად, მტრის სასარგებლოდ... თუ შეუძლებელია გაერთიანება ერთა, რაღა აზრი უნდა ქონდეს სახელმწიფოთა გაერთიანებას“<sup>25</sup>.

ჯერ კიდევ 1861 წელს, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ როდესაც იგი რუსეთიდან ბრუნდებოდა დააყენა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნა „ჩევნი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — აცხადებდა იგი და ამ განცხადებაში დამოუკიდებელი ეროვნული (მარტივი) სახელმწიფოს მოთხოვნაც იგულისხმებოდა.

შემდგომში, 1870-იან წლებიდან ილია ჭავჭავაძე დარწმუნდა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპვება საქართველოსათვის არც ისე აღვილი იყო და ამიტომ მიზნად დაისახა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოს აღჭურვა ფართო საკანონმდებლო უფლებებით.

ამრიგად, 70-იან წლებიდან ილია ჭავჭავაძე ცნობს რთულ სახელმწიფოს — ფედერაციის და გამოთქვამს მოსაზრებებს თუ როგორი უნდა იყოს იგი. ილია ჭავჭავაძის მოსაზრება რთული სახელმწიფოს — ფედერაციის — შესახებ უნდა გავარკვიოთ იმ პერიოდის რუსეთის იმპე-

23. იქვე, გვ. 195

24. ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. 5, გვ. 278

25. იქვე, გვ. 278 — 279

რის სახელმწიფო წყობილების ილიასავე კრიტიკით. ილია აღნიშნავს, რომ რუსეთში ჯერ კიდევ არ არის ერთმანეთისაგან გამოჯონული საკავშირო სახელმწიფოს უფლება-მოვალეობანი, დაუდგენერლია ასევე მასში შემავალი ეროვნული ერთეულების კომპეტენცია: „რუსეთი ერთი იმისთვის სახელმწიფოს საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ, და მერე ისე — რომ თავინათ მამა-პაპეულ მიწებზე არიან შეჯგუფებული და შიგ-და-შიგ გაფანტულნ. ამიტომაც, ერთს უდიდეს საგანს რუსეთისას შეაღენს ჯერ ის, რომ სხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათო-თოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან“<sup>26</sup>. ილია მოითხოვა რთულ სახელმწიფოში შემავალ ეროვნულ ერთეულთა კომპეტენციის ზუსტად დადგენას. მისი აზრით, ამ საქმის მოუწესრიგებლობა ასუსტებს რთულ სახელმწიფოს: „თუ რამ სამდურევი, გულის-ტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმო მდგომარეობის შესახებ ამ კრცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედნი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნობა, რომელსაც თავის განსაკუთრებულის ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლინი, გულებრ-დაკრეფილი იყო და ხმამოუღებლივ სხვისი მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის აქამოდე აქვს გამოკვლეული და დადგენილი დედაშირი მასზედ, თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსთან“<sup>27</sup>. რთულ სახელმწიფოში შემავალი ეროვნული ერთეულებისათვის ფართო საკანონმდებლო უფლებების მინიჭებისათვის ილია მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა. ილია რთულ სახელმწიფოს მაზინ ცნობს დასაშენად, როგორსაც მასში. შემავალი ეროვნული ერთეულები გარჩევული უფლებების მატარებელი არიან. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ილიამ სახელმწიფო საბჭოში თავისი მოგვაწობა ძირითად და საქართველოს კომპეტენციის გაფართოებისათვის ბრძოლის გზით წარმართა. როგორსაც ილია სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს პეტერბურგში პრემიონის მარმარალენლთა შეკითხვაზე ასე უბასუხა: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურო-

ბაშ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თვადთა საჭიროებაზე ვილაბარა-ცებ. თუ ამას ფიქრობდნენ ზოგი ჩემნი ამომ-რჩეველი, აქაური რუსთა აზნაური — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავად — აზნაურთა სახელით შევდიგარ — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეს. არ დაფუარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიჭნების 28. (ხაზი ჩენია — ვ. გ.) აქედან ცხად ხდება, რომ ილია იბრძოდა საქართველოს, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალი აგრძონობის საკანონმდებლო უფლებათა გაფართოებისათვის. ამ საკითხს კიდევ უფრო ნათელს ჰქონდას უფრნალისტ მალაქია ბოლქვაძის მოგონება, რომელიც აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძემ თავის ერთ-ერთ ინტერესუში განაცხადა: „... საქართველოსთვის მე მომხსდება დავიცვა ფართო თოვლმართველობა საკანონმდებლო უფლებით ადგილობრივ საჭიროებათა და ინტერესების დარგში“<sup>29</sup>.

დასასრულ განვიხილოთ 1905-07 წლების რევოლუციის პერიოდში შედგენლო ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა, რომლის შემდგენლობ და ერთ-ერთ ხელმძღვანელად ილია ჭავჭავაძე ითვლება<sup>30</sup>. აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში ილია ჭავჭავაძე ცნობს რთულ ფედერალურ სახელმწიფოს — რუსეთის იმპერიის სახით — ამავე დროს აუცილებლად მანჩინი მასში შემავალი აგრძონომიების ფართო საკანონმდებლო უფლებით აღჭურა: «Признание за Грузиней, этой неотъемлемой частью русского государства, добровольно связавшей свою судьбу с его судьбой, права на управление законами, устанавливаемыми местным представительным собранием, избираваемым путем всеобщей, равной для всего населения Грузии без различия национальностей и вероисповеданий, подачи голосов»<sup>31</sup>. აღნიშნული პროგრამა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში მოცემულია თუ რა უფრნეციები უნდა განახორციელოს რთულმა სახელმწიფომ (რუსეთის იმპერიამ) და რა ფუნქციები უნდა გადაეცეს ავტონომიას. ილიას აზრით საერ-

26. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5, გვ. 141

27. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5, გვ. 142

28. უფრნალი „განათლება“, 1908 წ. № 3 — 4

29. აქედან

30. აღნიშნული დოკუმენტი პრ. რატიანმა აღმოაჩინა. ციტირებას მისივე წიგნიდან ვახ-დენთ. იხ. პრ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1965, გვ. 208

31. იქვე, გვ. 209

თო საიმპერიო სახელმწიფოს გამგებლობაში უნდა დარჩეს ისეთი ფუნქციები, როგორიცაა შეიარაღების, საგარეო ურთიერთობის და საერთო-საიმპერიო საფინანსო პლანიტიკის საქმეები: «Необходимо... пояснить, что... компетенция автономного представительства не распространяется ни на армию, ни на флот, ни на иностранную политику государства, ни на общеперскуюю финансовую политику»<sup>32</sup>. სხვა ფუნქციები კი ავტონომიის კომპეტენციაში უნდა გადასულიყო, რომელსაც საყოველთაო, თანამშრომა არჩევნების გზით არჩეული ადგილობრივი მოხელეები განახორციელებდნენ.

ამრიგად, ვიხილავთ რა ილია ჭავჭავაძის შეხედულებას სახელმწიფოს ფორმებზე, კიდევ ერთხელ ხაზგაბმით აღნიშნავთ, რომ ილია ჭავჭავაძის იდეალს მარტივი ეროვნული სახელმწიფო ჭარბოადგენდა, მაგრამ იმის გამო, რომ შემდგომში ილიასათვის ნათელი გახდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულად ჩამოყალიბდების შეუძლებლობა, მან ცნო რტული სახელმწიფო — რსუსთის იმპერიის სახით, მაგრამ იმ პირობით, რომ რტულ სახელმწიფოში შემავალი ავტომონიური ერთეულები აღჭურვილი იქნებოდნენ ფართო საკანონიდებლო უფლებებით.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოს ფორმებზე მეტად ორიგინალური და საინტერესოა. მაგრამ იმ დადებითთან ერთად, რაც მას განინია სახელმწიფოს ფორმის საკითხზე — თაგა იჩენს ნაკლოვანებებიც, კერძოდ ილიასათვის ცნობითი იყო სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცნება, რამაც მას საშუალება არ მისცა სახელმწიფოს ფორმათა კლასიფიკაცია მოეხდინა სახელმწიფოს ისტორიული ტიპების მიხედვით. ამიტომა, რომ ილია ერთ სიბრტყეშე ინილავს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოს ფორმებს. მაგრამ ეს სრულიადაც არ მცირებს ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა მნიშვნელობას. ცნობილია, რომ მარქსისმდელი სახელმწიფო მოდენებისათვის სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცნება, ისევე როგორც ილიასათვის, გაურკვეველი დარჩა.

\* \* \*

როდესაც ილია ჭავჭავაძის შეხედულებას ვინალავდით სახელმწიფოს არსზე და დანიშნულებაზე, აღვნიშნეთ, რომ ილია სახელმწიფოს განიხილავს როგორც მთელი ხალხის ბედნიერების საშუალებას. ამდენად სახელმწიფოს ფუნქციების ილასეული გაგებაც ამ მიმართებაში უნდა იქნას განხილული. ილიას აზრით,

სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს სხვადასხვა ფუნქციას მთელი ხალხის საკეთილდღეოდ. სახელმწიფოს ფუნქციათა ილიასეული გაგება შეგვიძლია ორ ჯგუფად დაგყოთ — სახელმწიფოს საშინაო და სახელმწიფოს საგარეო ფუნქციებად დაგყოთ (თუმცა ტერმინები „საშინაო“ და „საგარეო“ ილიას არ უხმარია).

სახელმწიფოს საშინაო ფუნქციად ილიას უპირველეს ყოვლისა ქვეყნის შინაური მდგომარეობის მოწესრიგება მიაჩნია. კერძოდ კი ცენტრალური და აღილობრივი მმართველობის მოწესრიგება, კანონმდებლობის შემუშავება, შეიარაღების ორგანიზაცია ქვეყნის თავდაცვის მიზნით და სხვა. მეტად მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის მოსაზრება სახელმწიფოში მშევიღობინობის და წესრიგის დაცვის შესახებ. ილია აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უნდა ზრუნვლეს მტკაცე წესრიგის დამყარებისათვის, სახელმწიფო არ უნდა უშვებდეს ქვეყნის შიგნით არეულობას, მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ ილია ჭავჭავაძე იცნობს ასევე სახელმწიფოს მეორე ძირითად ფუნქციას — საგარეო ფუნქციას. ილიას აზრით სახელმწიფოს საგარეო ფუნქციაში შედის სხვადასხვა ქვეყნებთან შევეღობინან ურთიერთობა. ილია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოთა შიგის ურთიერთობა მშევიღობინობის გარეთ სიბრტყელების, დგი გმიბს ომებს — როგორც სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების გადაჭრის საშუალებას.

ამრიგად, ვარკვეთ რა ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს სახელმწიფოზე, იმ დასკვნამდე მივღივართ, რომ ილია ჭავჭავაძე, მართალია, თავისი შეხედულებებით ვერ ამაღლდა სახელმწიფოს შესახებ ჰეშმარიტად მეცნიერულმარქსისტულ მოძღვრებამდე, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ საკითხში მეტად ორიგინალურ და ლრმა მოაზროვნედ გვევლინება. საერთოდ მისი შეხედულებანი პროგრესულია. „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუცათ ისტორიული მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“<sup>32</sup>.

თუ ამ თვალსაზრისით მიუღებით ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს სახელმწიფოზე — დავრწყუნდებით, რომ საქართველოში ილია ერთ-ერთმა პირველმა სცადა სახელმწიფოს სკოლის მეცნიერული შესწავლა და მეტად საინტერესო დასკვნები გააკეთა.

32. იქვე. გვ. 210

32. ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 11, გვ. 217

## Города и поселки

ჩევნი რედაქტიის თანამშრომელი ეჭვია სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს,  
„საბჭოთა სამოქალაქო სამართლის“ კაოდერის  
გამგეს, ბროფ. ს. ჯორბენაძეს და რამდენიმე  
კითხვით მიმართა მას.

დიდი მოვლენა იყო უნივერსიტეტის 50  
წლისთავი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.  
ცვლა ჩვენთაგანი არა მარტო თვალს აღვნებ-  
და, არამედ მონაშილეობდა კიდეც ამ დღესა-  
წალენში. ახლა, ოცა განვლი ამ თარიღმა, გვა-  
ინტერესებს რა როლი ითამაშა მან უნივერსი-  
ტეტის მომავლისათვის, კერძოდ, იურიდიული  
ფაულტეტის სტუდენტებისათვის?

კართული ეროვნული კულტურის კერის მხედარის, რა თქმა უნდა, იზიარებდა იურიდიული ფაქულტეტი, უნივერსიტეტის უკველესი ფაკულტეტის მოწმობითა და მინი.

სხვა ფაკულტეტებზე, მაგალითად: ფილო-  
ლოგიურზე, ფინეკურზე, მათემატიკურზე ახალ-  
გაზრდები ერთგვარი მოწოდებით მოდიან. იუ-  
რიდიული დისკალინები სკოლებში არ ისწავ-  
ლება, ამდენად მოსწავლეები არ იცნობენ მიც-  
ნერების ამ სფეროს. როგორია იურიდიული  
ფაკულტეტის კონტინუატი? რითა განირთ-

ბებული ახალგაზრდების ინტერესი ამ ფაქტო-  
ტეტისადმი?

იურიდიული ფაქტურების პოსტურობა სა-  
ყველთაობა ცნობილი არა თუ ახლა, როგო  
როვნელი უნივერსიტეტი გვაძეს, არამედ ძვე-  
ლად, მეფის რუსეთშიც დიდი სწრაფვა იყო ამ  
ფაქტურებზე.

არც ის ითქმის, რომ იურიდიულ დატყიბლნებს თითქოს მოსწავლეები სსშალო სკოლაშივე არ ეუფლებოდნენ, მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის.

სხვადასხვა მიზეზებითაა განპირობებული  
ლტოლვა იურიდიული განათლების მიღები-  
საღმი. ახალგაზრდების ერთი ნაწილი ამ ფა-  
კულტურულების მოდის მოწოდებით, სიმართლისა  
და სიმართლიანობის სიყვარულით. ისინი მარ-  
თლებენ კიდევ ამ ფაკულტეტის სტუდენტის  
სახელს, წარმატებით ამთავრებენ უნივერსი-  
ტეს. არის მეორე ნაწილი ახალგაზრდებისა,  
რომელთაც პირველ ჩატარების ანტერესებთ მხო-  
ლოდ დაწლომი. ასეთ სტუდენტებში ხშირია  
აყადემიური ჩამორჩენილობაც. მათ მიმართ  
ზოგჯერ გვიჩდება ადმინისტრაციული ზემოქ-  
მედებაც, უნივერსიტეტიდან გარიცხაც კი. ეს,  
კვიფტონ, სწორი ვადაშევეტილებაა, ვინაიდან  
იურისტის რთულ და საპატიო პროფესიას  
სჭირდება ხანგრძლივი და სისტემატური მუ-  
შაობა.

ମିଶ୍ନେଲ୍ପ୍ରୋଗ୍ରାମ ନାଟ୍ରିଲ୍ ଅସେତା, ମାର୍ଗାମ ଗ୍ରେନଡ଼ର୍ବିନ୍ ଉଲିଂକସିକ୍ରୀପ୍ ଖୋଗ୍ଯୁର ଟ୍ରେସରିଗ୍ରାମ ଦାମ-ରଳ୍ପେତା ଶିଳାକ୍ଷରି ଉପରିଲାଇୟାଣ ଫ୍ରାଙ୍କୁଲ୍ଟ୍ରେଟ୍ରୀଲ୍ ସର୍ବଜ୍ଞାନିକ ବ୍ୟାକ୍ସନ ନାଥାବତ, ରାପ ମେତ୍ରିଏ ସାମିତ୍ରିଶାରନ ରାତ୍ରିବା.

ରୂପାଙ୍କ ମହିନରେ ତୁମେ ଲୋହବା ବାକ୍ଷସନ୍ତେ, ଶାନ୍ତି-  
କୁର୍ସୁ ରୂପାଙ୍କ ଏହି ବ୍ୟାପକ କାମରେ ଯେବେଳେ କାମରେ କାମରେ  
କାମରେ କାମରେ କାମରେ କାମରେ କାମରେ କାମରେ କାମରେ କାମରେ

ମୁଁଏକରମେତ୍ୟବ୍ୟଲ୍ଲେବିସ, ଇସେ ନୀଳଗର୍ଭର ନାରୀଶ୍ଵର-  
ଶୁଣ୍ଠି କ୍ଷେତ୍ରବନ୍ଦେବିସ ଦ୍ୱାରାପାଇଁ ହରିତ ଶିଖିତା  
ରୁ ଥାରୁଳିବେଳେ ଯୁଗିଲାସ ଅର୍ଥ ଶାଖକଳିବ, ଅମ୍ବସତାଙ୍କ ଧା-

რისტის ავტორიტეტი, პროკურორია იგი თუ მოსამართლე, გარეგნული ეფექტებით არ განისაზღვრება. საუბრის დამაჯერებელი სტილი, ვამართული ლიტერატურული მეტყველება, ზომიერება და ტექტი საწინააღმდეგო შეხედულებათა უარყოფაში, სრულად სკამარისია, რომ ვილაპარაკოთ კატეგ, ნიჭიერ იურისტზე. ამასთან საჯარო გამოსვლის ხელოვნებას პრაქტიკა და დრო სჭირდება. ჩვენ, სამწუხაროდ, მჭევრმეტყველების კურსი იურიდიულ ფაკულტეტზე არ გვაქვს. სასურველია მომავალში მისი შემოღება. ეყადებიყოს აყავი შენიძის წინადაღებით გადაწყვეტილი გვაქვს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს წავუკითხოთ სპეციული ქართული ლიტერატურული მართლწერის ნორმები“. ვაპირებთ სპეციალური კრებულის გამოცემასაც.

ამასთან დაუკავშირებით, ხომ არ ატარებთ რაიმე კონკურსს სტუდენტთა წახალისებისა და დაინტერესების მიზნით, ან ხომ არ ფიქრობთ დაწესოთ რომელიმე გვევრმეტყველის, სახელოვანი იურისტის, ვთქვათ იურიდიული ფაკულტეტის დამარსებლის ლ. ანდრონიკაშვილის სახელობის პრემია ან სტიპენდია?

სამწუხაროდ, მსგავსი რამ არ ტარდება ფაკულტეტზე. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა დაწესებულიყო ანდრონიკაშვილის სახელის სტიპენდია თბილისის უნივერსიტეტში.

გვაინტერესებს პირადად თქვენი საჭირობა, როგორც აღმინისტრაციულ, ისე მეცნიერულ სარბილოზე. როგორც იურიდიული ფაკულტეტის „საბჭოთა სამოქალაქო სამართლის“ კათედრის გამეც, რა ლონისძიებები გაქვთ დაგენერილო?

გვინდა რეპსუბლიკის რაიონებში მოვაწყოთ კათედრის გამსვლელი სხდომები მიწისა და საკავშირო საქორწინო კანონების შესახებ, ჩავატაროთ სამეცნიერო სესიები მიღლვნილი დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

რაზე მუშაობთ ამჭერად და რა მომავალი გეგმები გაქვთ?

ყველ ადამიანს აქვს უხალოესი და პერსპექტიული გეგმები. მათი განხორციელება სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ხერხდება გრაფიკის მიხედვით. ამჟამად ვმუშაობ „საბჭოთა სამოქალაქო სამართლის“ პირებს ტომშე, რომელიც გამიზნულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის. ვამთავრებ შრომებს „საბინაო სამართლზე“, მონოგრაფიას ქართული უნივერსიტეტის დაარსებაზე. ამ გეგმის განხორციელება, ალბათ, გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მეის მაქვს წარმოდგენილი.

# საიუბილეო ღონისძიებები

## ქართველთა კავშირი მეცნიერებები

უნივერსიტეტის საქტო დარბაზში მოწყობილი დიდი ფაულტეტის კურსდამთა გრებულთა ტრადიციული შეხვედრა ფაულტეტის პროფესიონალურ მასწავლებლებთან.

შეხვედრა შესავალი იმპერია გახსნა იურიდიული ფაულტეტის დეკანმა ვ. აბაშვაძემ. ჩენი დღევანდელი შეხვედრის საზომო განწყობილებას, — აღნიშნა მან, — ასკეცებს ის გარემოება, რომ წელს ჩენი საზოგადოება ზემობს სიბრძნის ტაძრის, უნივერსიტეტის დარსების 50-ე წლისთავს.

მოხსენებით — „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაულტეტის დარსება“ — გამოვიდა პროფ. ივ. სურაულაძე.

მან დაწერილებით ილაპარაკა იურიდიული

ფაულტეტის შექმნის ისტორიაზე და საყურადღებო ცნობები მოიტანა ფაულტეტის წარსულიდან, კერძოდ, მოიგონა ის პროფესიონალურ მუშაობას ეწოდნენ ფაულტეტის სახელისა და დიდებისათვის. ილაპარაკა იურისტთა კვალიფიციური კადრების მომზადების აქტუალურ საკითხებზე, პროფესიონალურ მასწავლებლებთა სამეცნიერო-პედაგოგიურ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაზე:

საიუბილეო შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ პრაქტიკოსი მუშაები: შ. ოსმანაშვილი, ს. ჭავჭავაძე და სხვები.

## სურაულაძე-სამართლებრივ კონფერენცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავს მიეღვნა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც 19-24 აპრილს ჩატარდა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო იურიდიული ფაულტეტის მოწინავე სტუდენტების თ. ნინიძის, ვ. ბაბილაშვილის, ვ. ბერიას, მ. ჭვავაძის, მ. ბეგებას, ი. მოდებაძის, თ. გურულის, თ. სტურუას, თ. ვაშკიძის, თ. გაბედავას, მ. გაგუას, რ. გომბრინიძის, ი. ტყეშელაშვილის, მ. ჭავჭავაძისა და ი. შაისლამივის მოხსენებები.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია II კურსის სტუდენტთა თ. ნინიძის შრომაში „ვაჭრანგ მეცნიერების სამართლის წიგნი, როგორც

ფეოდალური სამართლის ქეგლი“, II კურსის სტუდენტის ი. ტყეშელაშვილის შრომაში „ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ შეხედულებათა ზოგაურობით საკითხისათვის“, IV კურსის სტუდენტის კ. ბაბილაშვილის შრომაში „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საბროკესო კოდექსის ზოგიერთი თავისებურების შესახებ“ და სხვა.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს, როგორც პროფესიონალურ მასწავლებლებმა, ასევე სტუდენტებმა, მაღალ დონეზე ჩატარდა.

## განვითარება კადემიკურ ე. ნეშვაბერიან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაულტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, რესპუბლიკის პროკურატურამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთან არსებულმა იური-

დაულმა კომისიამ და ადვოკატთა კოლეგიას პრეზიდიუმმა უნივერსიტეტის საქტო დარბაზში შეხვედრა მოუწყვეს სახელოვან ქართველ მეცნიერს, უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამარტინის სებელს, სოციალ-ეკონომიკური ფაულტეტის

პირველ დეკანს, აკადემიკოს შალვა ისაკის-ძე ნუცუბიძეს.

შეკრებილთ შესავალი სიტყვით მიმართა იურიდიული ფაქულტეტის დეკანმა ვ. აბაშაძემ.

მოხსენებით — „უნივერსიტეტის დაარსების 50 წელი და აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე“—გამოვიდა პროფ. ივ. სურაულაძე. მან დასწრებს დაწვრილებით მოუთხრო სასიქადულო ქართველი მეცნიერის მიერ განვლილ სასახლო გზაზე, ღრმა ანალიზი გაუკეთა აკადემიკოს შ. ნუცუბიძის მიერ გამოქვეყნებული შრომების მნიშვნელობას.

მისასალმებელი სიტყვით გამოსულმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტმა, პროფესიონალითა თ. წევროთვლის მოვინონ თავისი სტუდენტობის პერიოდი — კერძოდ, 1922 წელი. მან დროისათვის, აღნიშნა მომსხვენებელმა, ი. ჯავახიშვილის, პ. მელიქიშვილის, გრ. წერეთლის სახელმებთან ერთად ხშირად გაიგონებდით ახალგაზრდა მეცნიერების; შ. ნუცუბიძის, დ. უზნაძის, ა. შანიძისა და სხვათა სახელების. შ. ნუცუბიძეს იმდროინდელი ახალგაზრდობა იცნობდა, როგორც მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ი. ჯავახიშვილის ერთგულ თანაშემწეს. მის ლექციებში იგრძნობოდა დიდი სიყვარული საშობლოსამი, განსაკუთრებით კი ქართული უნივერსიტეტისადმი.

— პოეტებად იბადებიან, ორატორებად ხდე-

ბიან. პოეტობა თანდაყოლილი მაღლიური ტერიტორიაზე რობა კი ღია შრომის შედეგია. ორივე ეს მაღლი იშვიათია, რომ ვინმეს წილად ხდეს, ისინა მხოლოდ ერთეულთა ხევლია, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის პიროვნებაში ორივე ეს სიკეთე ბეჭდიერად არის შეთავესბული, — ასე დაწყო თავისი სიტყვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. დოლიძე, ვინ იტყვის, — აღნიშნებს აკადემიკოსი ი. დოლიძე, — რომ ღიადებული ქართული ეპონას „ამირანანის“ ათმდგრენელი და რუსთაველია ბრწყინვალე მთარგმნელი ჭიშმარიტი პოეტი არ არის!

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ პროცესირების მოადგილე გ. ბაწაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ასუბებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გ. ველხვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა და იურიდიული ფაქულტეტის II კურსის ფრიადოსანი სტუდენტი თ. ნინიძე.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა შ. ნუცუბიძემ. მან მიდლობა გადაუხადა დამსწრებელ საზოგადოებას გულთბილი შესვედრისათვის და აღუთვე მათ, რომ მომავალშიც ახალგაზრდული ენერგიით განავრძობს მეცნიერულ მუშაობას ჩვენი ქვეყნის საკეთოლდებოდ.

ზ. ჭ.

## თორავისა და პრაქტიკის მჯგნილ ქავშირისათვას

### ქართველი მეცნიერები განვითარის რაიონში

ამას შინათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეცნიერთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ვ. აბაშაძე, პროფ. გრ. ერემოვი, დოც. ნ. ლომისაძე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების განყოფილების გამგე მ. ბალათურია, გამგეზერნენ გეგმიკორის რაიონში, რათა მონაწილეობა მიეღოთ გეგმიკორის რაიონაბჭოს მეთერთმეტე მოწვევის მეშვიდე სესიის მუშაობში.

ჩევნი მიზანი იყო, — განაცხადა ვ. აბაშაძემ — უბრალოდ კი არ დავსწრებოდით სესიის მუშაობას, არამედ ძეგლიური მონაწილეობა მივვეღო მის მომზადებასა და ჩატარებაში.

მეცნიერთა ჯგუფმა მართლაც ღია მუშაობა

გასწია სესიის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. სესიის ჩატარებამდე ისინი გაეცნენ კოლეგურნებების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწვებულებების მუშაობას, ესაუბრენ მუშაომელებს სოციალისტური კანონიერების საკითხებზე, გაუწიეს მოსახლეობას კონსულტაცია, გამართეს კითვა-პასუხის საღმიერები, მონაწილეობა მიიღეს ლეხიანდრაოს სოფლის ყრილობის მუშაობაში, რომელმაც განიხილა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხი, რაიონულ გაზეთში გამოაქვეყნეს მეტად საინტერესო სტატია — „სოციალისტური კანონიერება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის საწინდარია“.

სესიის მუშაობის მსგლელობაში მათ პეტერი საქმიანი და საჭირო რჩევა-დარიგება შეიცეს დეკულტატებს. სესიის მაღალ დონეზე ჩატარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამომჩევ-

ლებმა სესიაზე გასარჩევად წარადგინეს 87 საქმიანი წინადაღება.

სესიაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდნენ წევეშეკორის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. სურმავა, რაიონის პროკურორი ს. ქაჯაა, მილიციის რაიონული განყოფილების უფროსი ნ. დინამიკია და სხვები.

სესიაზე სიტყვები წარმოქვეს პროფ. გ. აბაშ-მაძემ, პროფ. გ. ერემოვამა, დოც. ნ. ლომსაძემ და მ. ბალათურიამ. მათ თავიანთ გამოსვლებში შთაბეჭდილებები გაუზიარეს ღებუტატებს და სასარვებლო რჩევა-დარიგება მისცეს დანაშაულს წინააღმდეგ პროლიტისა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისთვის. მათ ხზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ დანაშაულის თავიდან აცილებისა და საზოგა-

დოებრივი წესრიგის დაცვისათვის მროვლიში დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის მტკიცებულებისას. ამიტომ ყოველაირად უნდა ვიზრუნოთ, რათა საბჭოთა კანონი იცოდეს თითოეულმა მოქალაქემ.

სესიის მაღალ დონეზე ჩატარება შემთხვევა-თი არ არის, — განაცხადა დასასრულს სესიაზე გამოსულმა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩხილონრაიამ, — ამის იბიექტური მიზეზი ისაა, რომ მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა. როგორც გამოცდილებამ ვგიჩვენა, მეცნიერების ცხოვრებაში ასეთი პრაქტიკული ჩარევა მეტად საჭირო და სასარვებლო საქმეა და მომავალში ამას სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს.

## მემონარქი წლის 14 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა, საქართველოს სსრ პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ მოაწყო გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურის“ მკითხველთა კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ქ. მოსკოვიდან ჩამოვიდნენ გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურის“ დარექტორი ამ. ვ. გ. იუზაბშევი და პატრის ლუმუშებას სახელობის ხალხთა მეცნიერობის უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე პროფ. ა. ბ. სახაროვი.

მკითხველთა კონფერენცია გახსნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ვ. აბაშმაძემ. თავის შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურა“ წარმოადგენს ჩევრს ქვეყანაში საბჭოთა იურიდიული აზრის უდიდეს ცენტრს. გამომცემლობის ირგვლივ დარჩემულია იურისტების მეცნიერთა მრავალათასანი კოლექტივი. გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურის“ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ ქართველი იურისტებიც, რომელთა შრომება საბჭოთა იურიდიული მეცნიერების მიწოდებელის საყველთაო აღიარება ჰპოვა.

გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურის“ მუშაობა თავისი ხასიათით მეტად მრავალფეროვანია. მისი საშუალებით ეცნობა ძირითადად ჩევრი ქვეყნის მოსახლეობა საბჭოთა იურიდიული მეცნიერების მიწოდებელსა და სისალეებს, მაგრამ გამომცემლობა „იურიდიული

ლიტერატურა“ წარმოადგენს აგრეთვე მარქ-სიზ-ლენინგრადის იდეების სიშინდისათვის მებრძოლ სამეცნიერო დაწესებულებას. თავისი ნაყოფიერი საქმიანობით გამომცემლობა იცავს დავითარებს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ პარტიისტულ-ლენინურ მოძღვრებას და ამავე დროს ამხელს ბურჟუაზიული იდეოლოგების რეაქციულ არსს.

უკანასკნელ პერიოდში, — აღნიშნავს ვ. აბაშმაძე, — გამომცემლობა „იურიდიულმა ლიტერატურამ“ გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებთა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. ვ. ჩხილონამის სქელტანიანი მონოგრაფია „სახელმწიფო, დემოკრატია, კანონიერება“. შემომავა მეცნიერულად არის შესწავლილი ლენინური იდეების ზემოქმედების ცხოველმყოფელი ძალა თანამედროვეობაზე და მაში მხილებულია აგრეთვე სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ბურჟუაზიის რეაქციული შეხვდულებანი. თანამედროვე აქტუალური სკითხების დაშვიშებებს სიღრმითა და ამ სკითხების გადაწყვეტის მაღალი მეცნიერული დონით, ბჭრუაზიულ-რეაქციულ იდეოლოგიისას ბრძოლის იურიდიული მხარეების განასაზღვრით და სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ანტიმარქისტულ შეხედულებების კრიტიკის დამაჯერებლობით, თანამედროვე საზოგადოების განვითარებაზე ლენინური იდეების ზემოქმედების მეცნიერული შეფასებით, პროფ. ჩხილონამის წიგნი დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო საბჭოთა და საზოგადოებრივი იურისტ-მეცნიერთა შორის, არამედ საზოგადოებრივი მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების-სოცო-

ლოგების, ფილოსოფოსების, ისტორიკოსებისა და სხვათა განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. პროფ. გ. ჩხიფვაძის მონოგრაფია საბჭოთა იურიდიული მეცნიერების დიდი შენაძენია და იგი იურისპრუდენციაში შემდგომი მეცნიერული მუშაობის ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელ ნაწარმოებს წარმოადგენს.

მეითხველთა კონფერენციაზე გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურის“ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა გამომცემლობის დირექტორმა ამხ. გ. იუზბაშევმა.

მეითხველთა კონფერენციაში განიხილა იურისტ-მეცნიერთა კოლექტივის ავტორობით 1967 წელს გამოცემული შრომა «Теория доказательств в советском уголовном процессе» და პროფ. ა. სახაროვის მონოგრაფია «Пра-

вонарушение подростка и закон». არნორთ ლი შრომის განხილვაში მონაწილეობა შეიღება: პროფ. ბ. ფურცხვანიძემ, პროფ. ბ. ხარაზიშვილმა, დოკ. თ. ლილუაშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. მისესანმა, დოკ. ბ. ლეჭვეიშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. გაბიანმა, დოკ. გ. უვანიაშ, მ. გიორგობიანმა, ი. ხიონიძმა, გ. მარგაშვილმა და ა. ვირქერმანმა.

დასასრულს სიტყვებით გამოვიდნენ ზემოთ აღნიშნული შრომების ავტორები: პროფ. ი. კარბეცი და პროფ. გ. სახაროვი, ავტოროვე გამოცემლობა „იურიდიული ლიტერატურის“ ლიტექტორი ვ. იუზბაშევი, რომლებმაც შეაჯამეს მკითხველთა კონფერენციის შედეგები და მალობა გადაუხადეს დამსტრიქ კონფერენციაში მონაწილეობისათვის.

# ანთონი მუხა

## სსკროველოს სსრ ადგილური მთავარი კონფერენცია

1968 წლის 20 დეკემბერს თბილისის ტექნიკური სახლში გაიმართა საქართველოს სსრ ადგილური მთავარი კონფერენცია. შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ ადგილური ტა კოლეგიას პრეზიდიუმის თავმჯდომარებრივი ა. პაიკაძე.

ორჩევნ საქმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას და სამდიღონს. კონფერენციის საბჭოო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგრობა.

ანგარიში საქართველოს სსრ ადგილური ტა კოლეგიის პრეზიდიუმის შესახებ გააქვთ ა. პაიკაძემ (საანგარიშო პრეზიდი მოიცავს 1965 წლის დეკემბრიდან 1968 წლის დეკემბრამდე).

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პრეზიდში ჩევრნა ხალხმა ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები მოიპოვა. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხორციელდება ქვეყნის მთავარი ეკონომიკური ამოცანა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანები უკანასკნელ ხანს სერიოზულ ღონისძიებებს ატარებენ სოციალისტური კანონების შემდგომი განმტკიცებისათვის. საქართველოს ადგილური ტა კოლეგიგა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საქმეში.

1964 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა ადგილურის საქმიანობის საკითხი და მიიღო სათანადო დაგვენილება. ამ დაგვენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა იმავე წლის 22 დეკემბერს განიხილა ადგილურის საკითხი და სხვა მითითებებთან ერთად განსაკუთრებით გამახვილა უზრაღლება ჩევრი კორპორაციის წევრთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის ღონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების საკითხზე, ადგილური კადრების ყოველმხრივად შექმნავლის და განსაკუთრებით ახალგაზრდა ადგილურების პროფესიონალური ცოდნის გაღრმავების აუცილებლობაზე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ადგილური ტა კოლეგიის მიზნით შექმნილია მუდმივი მოქმედი იურიდიული სემინარები. კარგდ ტარგება სემინარები ქ. თბილისის პირველი მაისის, ოქტომბრის, კალინინის, კიროვის რაიო-

ნის იურიდიულ კონსულტაციებში. კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრძელებები ქ. ფოთის, მახარაძის, თელავის, სამტრედიის და სხვა რაიონის იურიდიულ კონსულტაციებს.

ახალგაზრდა ადგილური ტა კოლეგიის მიზნით პრეზიდიუმი პერიოდულად აწყობს ლექცია-მოსხენებებს აქტუალურ საკითხებზე.

მომხსენებელი ლაპარაკობს სამართლებრივი ცოდნის პროგრამისათვის ადგილური ტა კოლეგიის მიზნით ჩატარებულ დიდ და სასაჩვენებლო მუშაობაზე.

მოსახლეობაში საინტერესო ლექციებითა და მოსხენებით გამოიდან ადგილური ტა კოლეგი, ბ. ბარათაშვილი, გ. უგრეველიძე, შ. კალმახელიძე, გ. შონია და სხვები. 1966 წლის 1 იანვრიდან 1968 წლის 1 ივნისამდე სამართლებრივ თემაზე ადგილური ტა კითხვებს 5.834 ლექცია-მოსხენება. მოეწყო 567 კითხვა-პასუხის საღმო, სადაც 9.560 კითხვას გაეცა პასუხი.

„საბჭოთა სამართლის“ რედაქცია სისტემატურად ავეცნებს მოწინავე ადგილური ტა კითხვებს, შერილებს, ნარკევებს.

პრეზიდიუმი ახალისებს იმ ამხანაგებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბჭოთა სამართლის პროგრამაში.

ხელმძღვანელი ორგანიზების დავალებით რესპუბლიკის სახლით მეურნეობის ბეჭრ მსხვილ იზექტონან შექმნილია იურიდიული საკონსულტაციით პუნქტები. ადგილური ტა კატეგორიაზე საზიანებებზე მუშაობენ.

დაღებით მუშაობას ეწევიან ადგილურები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციისა და კოლმეურნეობებისათვის სხვა უზრიდის დახმარების მიზნით.

მოხსენების დიდი ნაწილი დაეთმო იურიდიული კონსულტაციების საქმიანობასა და ადგილური ტა კითხვების მუშაობის განვითარებას.

საანგარიშო პრეზიდები, — ამბობს მომხსენებელი, — წინასწარ გამოიძებაში ადგილური ტა კითხვებმა მონაწილეობა მიიღეს ასიბით საქმეზე. 1968 წლის პარეგილი ნახევრის მონაცემებთ საქართველოს სსრ სსკ 312 მუხლის საფუძვლზე ადგილური ტა კითხვებმა შეიტანეს 370 შუალებომლობა, რომლიდანაც 181 ანუ 49 პროცენტი დამატონილ და.

საფუძვლიანი შუამდგომლობები აქვთ აღმ-  
რული აღვ. აღვ. ბ. ბარათაშვილს, შ. ანდოლა-  
ძეს, შ. გვათუას, მ. ალხაზიშვილს, ი. კაშიას,  
ბ. ხომერიქს, გ. უგრეხელიძეს, შ. ლექვეგიშვილს,  
ვ. ყურაშვილს და სხვებს.

შემოწმება ცხადყოფს, რომ აღვოკატების აპ-  
სოლუტური უმრავლესობა მტკიცედ იცავენ  
საბჭოთა კანონებს, კეთილსინდისიერად უწევენ  
იურიდიულ დახმარებას, როგორც ცალკეულ  
მოქალაქეებს, ისე საწარმოო დაწესებულებებს  
და სხვა. მაგრამ ჯერ კიდევ ვეცდებით გადაც-  
დომებს, უტაქტო მოქმედებასა და საბჭოთა ად-  
ვოკატისათვის შეუფერებელი საქციელის გამო-  
ვლინებას.

ლოთობისა და თავშეუკავებლობისათვის კო-  
ლეგიის რიგებიდან გაირიცხა წულუკიძის რაი-  
ონის იურიდიული კონსულტაციის აღვოკატი  
ო. კუნია.

არაერთგზის გადაცდომისა და შრომის ში-  
ნაგანაწესის სისტემატური დარღვევისათვის კო-  
ლეგიის რიგებიდან გაირიცხა ს. მელიქნუბარო-  
ვი. მექანიზმი იგი პირობით დატოვებულია კო-  
ლეგიის რიგებში.

ამავე დროს პროფესიული მოვალეობის სანი-  
მუშობ შესრულებისა და საზოგადოებრივ სა-  
ქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის მა-  
დლობა გამოიცხადა და ფასიანი საჩქარი გა-  
დაეცა 24 აღვოკატს. მათ შორის: შ. ხურციას,  
ელ. ჩიცევაძეს, ა. ფელდმანს და სხვებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-  
დიუმის 1966 წლის 4 ივნისისა და 1967 წლის  
29 ნოემბრის ბრძანებულებით 10 აღვოკატს მიე-  
რიქა რესპუბლიკის დამსახურებული იურის-  
ტის საბატონ წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-  
მის 1967 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებულებით  
საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოებულია  
აღვოკატი ბ. ბარათაშვილი.

მომხსენებელი ჩერდება კოლეგიის ფინანსი-  
ურ მდგომარეობაზე და აღვოკატთა დასაქმე-  
ბაზე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ აღვოკატის  
ნწილობრივი შეზღუდვა, რომელსაც 200 მა-  
ნეთს ზევით გამომუშავება აქვს სრულებით არ  
ეხმარება მცრავ გამომუშავების აღვოკატებს.  
კიდევ მეტი, ეს წესი არც იურიდიულ კონსულ-  
ტაციის გამგებეს ეხმარება მოქმედი დებულების  
38 მუხლის „ვ“ პუნქტის მოთხოვნის შესრუ-  
ლებაში. ბრეზიდიუმმა უნდა იშუამდგომლოს  
ზემდგომ ორგანოებში, რათა მოიხსნას ის ნა-  
წილობრივი შეზღუდვები, რაც 200 მანეთზე ზე-  
ვით გამომუშავებასთანა დაკავშირებული.

ამხ. ა. ბაიკაძემ თავის მოხსენებაში გამა-  
ზეოდა ყურადღება აღვოკატთა საქმიანობის ხა-  
რისხშე. აღნიშნა აღვოკატების მაღალპრინცი-  
პულობა, საქმიანობის კეთილსინდისიერი დამო-

კიდებულება, რაც მათ გამოიჩინეს სამართალ-  
ში მიცემულის კანონიერი ინტერესების დაც-  
ვასთან დაკავშირებით. აქვე აღნიშნული იყო  
ზოგიერთი აღვოკატის მიერ საქმიანობის უსულ-  
გულო დამოკიდებულება, მოყვანილი იქნა ფა-  
ქტები მოქალაქეებზე ზერელე, გაურკვეველი  
და დაუსაბუთებელი პასუხების გაცემის შესა-  
ხებ.

კასპის რაიონის ცურიდიული კონსულტაციის  
აღვოკატს მდებრიშვილს რჩევა-დარიგებისათვის  
მიმრის მოქ. დემეტრეშვილმა. აღვოკატმა  
რჩევა-დარიგების უზრუნალში ასეთი რამ ჩა-  
წერა: „მეცეცა განმარტება ცოლთან გაცილება  
არასწორი მოსახრებაა იჯახის დარღვევის წინა-  
აღმდეგა კანონი რაც შეეხება იმას, რომ უკი-  
ლებლივითაა გამოწეული სასამართლო ახდენს  
განქორწინებას, ქონების გაყოფას, აღიმერნტის  
დაცსრებას იმ შემთხვევაში თუ ქალი ტუბერ-  
კულოზით დაავადებული, უხსაითო და სხვა“.

აღვოკატების ერთი ნაწილი არ არის დაინ-  
ტერესებული საქმით, ფორმალურად ეკიდებიან  
თავიანთ მოვალეობას, სისტემატურად არ ცხად-  
დებიან იურიდიულ კონსულტაციაში, არ გომ-  
ლიან საქმეებზე და სხვა. დღის წესრიგში დგე-  
ბა საკითხი იმ აღვოკატთა კოლეგიის რიგები-  
დან გათავისუფლებას შესახებ, რომელთაც  
დანშენული აქვთ მოხუცებულების პენსია და  
რომლებიც თავს არიდებენ სააღვოკატო მუშა-  
ობას.

სარევებით კომისიის ანგარიშით კონფერენ-  
ციაზე წარსდგა პ. ინასარიძე.

საფინანსო ანგარიშით გამოვიდა პრეზიდიუ-  
მის მთავარი ბუღალტერი გ. მირზელაშვილი.

საქართველოს სსრ აღვოკატთა შრომის ში-  
ნაგანაწესის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სა-  
ქართველოს სსრ აღვოკატთა კოლეგიის პრე-  
ზიდიუმის თავმჯდომარის მოაღილე ნ. დავი-  
თაია.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

აფხაზებთის ასსრ აღვოკატთა კოლეგიის პრე-  
ზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ახტაბაძ და აჭარის  
ასსრ აღვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავ-  
მჯდომარემ მ. ფალაგაშ კონფერენციის მონაწი-  
ლეთ მოუთხრეს თავიანთ საქმიანობაზე, მიღ-  
წევებას და უარყოფით მხარეებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს  
თავმჯდომარის მიაღილე ს. ქაჯაია თავისი  
გამოსვლაში შეეხო ზოგიერთი აღვოკატის  
მიერ პროფესიული მოვალეობისადმი უსულეუ-  
ლო დამოკიდებულებას. ილაბარაკა სისხლის  
სამართლის საქმეებზე აღვოკატების უცილე-  
ბელი მონაწილეობის შესახებ და სხვ.

აღვ. გ. უგრეხელიძემ აღნიშნა, რომ აუსწე-  
ლია, როგორც აღვოკატთა მოთხოვნას სასა-  
მართლოს ყველა ინსტანციაში უარს კუნძ-



ბიან, მაგრამ 5-7 წლის გასვლისას იგივე მოთხოვნა, იმგვე დასაბუთებით დაკმაყოფილებული ხდება ისე, რომ აღვოკატმა ამაზე არაფერი იცის. დროულად ნათქვეში მართალი სიტყვა, ვალის გასვლის ან სხვა რამ ფაქტორის დახმარებას არ უნდა საჭიროებდეს, რომ იგი მატერიალურ ძალად იქცეს.

„დეკორატი შ. გაათუა თავის გამოსკლაში შეეხო თრ ძირითად საკითხს: იმ აღვოკატების შეზღუდვას, რომელთაც 200 მანეთზე ზევით აქვთ გამომუშავება და ცლაპარაკა ტრთ-ერთ კონკრეტულ საქმეში გამოიძების მიერ დაშვებულ მეტად უხეშ შეცდომებზე, რომლებიც რეაგირების გარეშეა დატოვებული ზემდგომ თრგანოთა მიერ.

საქართველოს სსრ პროექტორის მთადგილებრ გ. ბიწაძემ თავის გამოსკლაში მოიყვანა რამდენიმე მაგალითი აღვოკატების უტაქტო მოქმედებათა შესახებ.

კიმათში მონაწილეობა მიიღეს აღვოკატებმა ჭ. ზარეძემ, გ. კილაძემ, ი. ხაჩილავამ და ალ. კასელმა. ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართლოს სსრ მინისტრთა საბჭოსან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მთადგილებრ გ. ვეფხვაძე.

კონფერენციამ საქართველოს სსრ აღვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მუშაობა დამაკ-

მაყოფილებლად შეაფასა და მუშაობის შემდგრ მი გაუმჯობესების მცხილ მიიღო სათანადო დაღვენილება.

კონფერენციამ აირჩია საქართველოს სსრ აღვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა:

საქართველოს სსრ აღვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე—აკაკი ნიკოფორეს ქე პაიჭაძე, თავმჯდომარის მთადგილე—ნიკოლოზ კირილეს ქე დავითაია, პრეზიდიუმის წევრები: ბიძინა ბარათაშვილი, ვახტანგ უშრაშვილი, ნიკოლოზ გიგინერშვილი, ნინო ბარბიძე, სერგო სიხარულიძე, მიხეილ ახუბა, იუსუფ ფალავა, ლავით რაჭელაშვილი, გურამ უგრეხელიძე, უშანგი კაპანაძე, ვახტანგ დოლიძე, ილია კაშია, პოლონ ჩიქვანანი.

სარევიზო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ალექსანდრე მგალობლიშვილი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული განყოფილების გამგემამს. ზ. არტიანმა.

**რ. თალაპიტარი,**  
საქართველოს სსრ აღვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის რევიზორი, აღვოკატი.

# ბ ი ბ დ ი მ 8 6 1 ფ ი ც ი ა

**ჭურნალ „საგარენო სამართლალში“ 1968 წელს გამოქვეყნიაზღვი  
მასალების საკითხები**

მოჭირავე და სარედაქციო ჯერილები

ქურნალ „საბჭოთა სამართლის“ 15  
წელი, № 4, გვ. 3-7.

სახელმწიფოსა და სამართლის თვორია,  
ისტორია, ადამიისტრაციული, საერთაშო-  
რისო სამართალი.

ვ. აბაშმაძე — იურიდიული მეცნიე-  
რების განვითარება თბილისის უნივერ-  
სიტეტში, № 6, გვ. 3-14.

ა. აბესაძე — საბჭოთა კანონი მოქა-  
ლაქეთა ინტერესების სადარაჯოზე, № 4,  
გვ. 7-15.

გრ. ერემოვი — კანონი საბჭოთა მო-  
ქალაქეობის შესახებ, № 6, გვ. 25-30.

3. ლორია — აღმინისტრაციული პა-  
სუხისმგებლობის საზღვრები, № 5, გვ.  
13-22.

გ. მაჭავარიანი — მოქავშირე რესპუბ-  
ლიკების მინისტრთა საბჭოების კომპე-  
ტენციის გაფართოების შესახებ, № 4,  
გვ. 39-46.

ი. სურგულაძე — ქართული სამართ-  
ლის ისტორიის საკითხები აკაკი შანიძის  
შრომებში, № 6, გვ. 69-72.

სახალხო დემოკრატია — მშრომელ-  
თა რევოლუციური მონაპოვარი, № 6,  
გვ. 15-24.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი,  
არჩიტრაზი

ლ. ადეიშვილი — სრულყოფთ ზედა-  
მხედველობა და კონტროლი მოზარდთა  
შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი,  
№ 6, გვ. 49-56.

ზ. ახვლელიანი — ლატარიის ბილე-  
თის სამართლებრივი ბუნების საკითხი-  
სათვის, № 1, გვ. 41-43.

3. გეწაძე — საქართველოს სსრ საო-  
ჯახო კანონმდებლობის კოდიფიკაციი-  
სათვის, № 5, გვ. 36-47.

გ. დევდარიანი — კომლის საკარმი-  
დამზ ნაკეთის ჩამორთმევასთან დაკავ-  
შირებული ზარალის ანაზღაურების სა-  
კითხისათვის, № 5, გვ. 47-50.

ა. კობახიძე — მუშა-მოსამსახურეთა  
პირადი საკუთრების საცხოვრებელი სა-  
ხლი სოფლად, № 2, გვ. 28-38.

5. ლორთქიფანიძე — შრომის საქმე-  
ების აღმატება სასამართლოში, № 4,  
გვ. 30-39.

6. რჩეულიშვილი — ხილბოსტნეუ-  
ლის სახელმწიფო დაზადების, გადა-  
მუშავებისა და გასაღების სამართლებ-  
რივი საფუძვლების შესახებ, № 2, გვ.  
38-49.

7. შარაშენიძე — შრომის კანონის  
კოდექსის 49-ე მუხლის გამოყენება  
თანამედროვე პირობებში, № 1, გვ.  
35-41.

რ. შენგელია — საბანკო სესხის დახ-  
მარებით აშენებული საცხოვრებელი  
სახლის სამართლებრივი მდგომარეობა,  
№ 6, გვ. 40-48.

6. წერეთელი — სოციალისტური მშე-  
ნებლობის ახლებურად მართვის ზოგი-  
ერთი სამართლებრივი საკითხი, № 6, გვ.  
62-68.



**ს. ჭაფარიძე** — სამეცნიერო რეფორმადა სამოქალაქო სამართალი, № 6, გვ. 57-61.

**ლ. ჯომარჯიძე** — სამშენებლო გაერთიანებათა და მათი საწარმოების უფლებაუნარიანობის საკითხი ახალ პირობებში, № 5, გვ. 22-36.

**ს. ჯორბენაძე** — საცხოვრებელი სადგომის გაცვლა, № 3, გვ. 12-24.

სისხლის სამართალი, პროცესი,  
პრიმიტივისტიკა

**გ. ავაჭიანი** — ავტოტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარის შერჩევა მოძრაობის უშიშროების საწინდარია, № 5, გვ. 69-72.

**ნ. ვასილევი** — ახალი პირის მიმართ აღძრულ საქმეებზე საგამომძიებლო ვადების გამოთვლის შესახებ, № 5, გვ. 58-62.

**უ. კობიაშვილი** — თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, № 3, გვ. 24-36.

**მ. ლევაცეიშვილი** — არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიების ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ, № 5, გვ. 50-55.

**ა. ფალიაშვილი** — სასამართლო ექსპერტიზის პროცესუალური პრინციპები, № 3, გვ. 45-53.

**ს. ჭველიძე, ლ. ზაიჩიკი** — გავაძლიეროთ ბრძოლა უსაფრთხოების ტექნიკის წესების დანაშაულებრივ დარღვევებთან, № 4, გვ. 24-30.

**მ. ჭურდაძე** — პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის, № 1, გვ. 28-31.

**ა. შუშანაშვილი** — ხულიგნობის საქმეების სისხლის სამართლწარმოების თავისებურებები, № 3, გვ. 36-45.

**ჰ. წულაძა** — სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, № 6, გვ. 31-39.

**ი. ხიონიძი** — სამომხმარებლო კოპერაციის სისტემაში გაფლანგვა-მტაცებლობის თავიდან აცილების ზოგიერთი საკითხი, № 4, გვ. 15-24.

თარიღებთან დაკავშირდული სტატიები

**ბ. კაციტაძე** — ნახევარი საუკუნესაბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების სადარაჯობე, № 1, გვ. 17-23.

**გ. ნოდარიძე** — ნიკოლოზ ბარათაშვილი სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში, № 5, გვ. 72-84.

**კ. შავიშვილი** — სახალხო კონტროლის ორგანოები სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯობე, № 2, გვ. 10-18.

**კ. შადური** — ხალხის ინტერესების მტკიცე გუშაგი, № 1, გვ. 6-11.

**კ. ქარუმიძე** — კ. მარქსი კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ, № 3, გვ. 3-12.

**დ. ქილარჯიშვილი** — ვ. ი. ლენინითავრიდის სასახლეში, № 5, გვ. 3-13.

ადგიკატურის ზესახებ

**მ. კომახიძე** — საქართველოს სსრ ადგიკატურის 45 წელი, № 1, გვ. 23-27.

**ა. ლომინაძე** — იუსუფ ცივაძე, № 4, გვ. 69-75.

**გ. სიდამონიძე** — მოსე ქიქოძე, ლუარსაბ ლოლუა, № 4, გვ. 50-69.

**გ. ხარატიშვილი** — ა. თ. კონი და ვ. ი. ზასულინის პროცესი, № 1, გვ. 62-67.

პორტორიტები, ნარკევებები, ინტერვიუ, სასამართლო პროცესი, მხატვრული  
ნაწარმოებები

**ჟ. გვეტაძე** — ნაპრალი, № 1, გვ. 78-88; № 2, გვ. 76-79.

**გ. ვაჟელიშვილი** — შრომისმოყვარე, სამართლიანი, მგრძნობიარე ქალი, № 2, გვ. 69-72.

**ლ. ისაკაძე** — ქართველი ადვოკატი—ხელოვნებათმცოდნების მეცნიერებათა კუნძილატი, № 1, გვ. 73-76.

**ლ. ისაკაძე** — სახელოვანი გზა, № 2, გვ. 67-69.

**გ. შეთეგაური** — ხალხური „სარკე თქმულთა“, № 2, გვ. 72-75.

**გ. ციმაკურიძე** — „სული“ ტოვებს ქვალს, № 3, გვ. 79-86; № 4, გვ. 77-86; № 5, 84-91.

**ალ. ი. პერგამენტი** — სტუმრად უურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციაზი, № 4, გვ. 86-89.

**თ. წერეთელი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, № 1, გვ. 67-73.

ჩვენი ინტერვიუ, № 6, გვ. 83-85.

#### სხვადასხვა სტატიები

**ა. ბაქრაძე** — სრულვყოთ საპროცერორო ზედამხედველობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისადმი, № 2, გვ. 18-28.

**ს. კუპრეიშვილი** — მტკიცედ დავიცვათ ახალი ვეტერინალური წესდების მოთხოვნები, № 4, გვ. 46-50.

**გ. მაყაშვილი** — ქართული ენციკლო-პედიის სამართლის რედაქციის მუშაობის შესახებ, № 1, გვ. 43-50.

**ვ. მეტრეველი** — ილია ჭავჭავაძე სამართლის წარმოშობისა და არსის შესახებ, № 3, გვ. 63-70.

**ვ. მეტრეველი** — ი. ჭავჭავაძის შეხე-დულებანი სახელმწიფოს შესახებ, № 6, გვ. 73-82.

**ხ. ნოდარიძე** — თაოსანი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, № 3, გვ. 77-79.

**ვ. უვანია** — ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილის შესახებ, № 5, 62-69.

**ი. სურგულაძე** — იონა ბოჭორიშვი-ლი, № 3, გვ. 70-77.

**ა. სოჭოლავა** — მცირე მოგონება მასწავლებელზე, № 1, გვ. 50-58.

#### პრიტიპა და გიგანტოგრაფია

**ნ. დურმანივი** — ნაშრომი საბჭოთა სისხლის სამართლის მნიშვნელოვან პრობლემებზე, № 5, გვ. 91-96.

**მ. იაკობაშვილი** — სახელმძღვანელო საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში, № 2, გვ. 85-88.

**ი. სურგულაძე** — საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძვირფასი შენაძენი, № 2, გვ. 79-85.

**ი. ფუტკარაძე** — ნაშრომი ქართული საოჯახო სამართლის ისტორიის საკითხებზე, № 2, გვ. 88-92.

**თ. შავგულიძე** — მონოგრაფია დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ, № 3, გვ. 86-91.

ბიბლიოგრაფია, უურნ. „საბჭოთა სამართლში“ 1967 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი, № 1, გვ. 92-95.

ნეკროლოგი — ა. ი. ნაკაძე, № 1, გვ. 96.

ნეკროლოგი — ა. ა. ჯომიდავა, № 2, გვ. 96.

**გ. ხარატიშვილი** — გელა გარდაფხადის სსოვნისათვის, № 4, გვ. 96.

ინფორმაცია, № 1, გვ. 88-92; № 2, გვ. 92-95; № 4, გვ. 89-95; № 6, გვ. 90-92.

მოქლე ცნობები, № 3, გვ. 91-92; № 4, გვ. 95.

სასამართლო პრაქტიკა, № 3, გვ. 92-96.

#### ოფიციალური გასაღა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მისალმება „საქართველოს სსრ მილიციის მუშაკებს“, „საქართველოს სსრ სამართლო ორგანოების მუშაკებს“, „

„საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკებს“, № 1, გვ. 3-6.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 5; 1967 წლის 20 ნოემბერი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 დეკემბრის № 18 დადგენილების „სასამართლო საქმეებზე შემოსული საჩივრებისა და განცხადებების განხილვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 20 დეკემბრის № 16 შესაბამისი დადგენილების შესრულების მიმღინარეობის შესახებ, № 1, გვ. 58-66.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 6, 1967 წლის 20 ნოემბერი, „სპეცულაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, საქართველოს სსრ

უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის დადგენილების შესრულების მიმღინარეობის თაობაზე, № 1, გვ. 60-62.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 7, 1967 წლის 20 ნოემბერი, სხეულის დაზიანების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ, № 1, გვ. 62-66.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 3, 28 მარტი, 1968 წ. საგაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მყიდველთა მოტყუების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ, № 2, გვ. 49-51.

კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა ქორწინებისა და ოჯახის თაობაზე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ, № 3, გვ. 52-61.